პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ., განცხადებების მიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ხუთშაბათი, 5 ნოემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 255 (1410)

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვ.

დღის ამბები

- პენლევემ გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია
- საფრანგეთმა ახალი უმაღლესი კომისარი დანიშნა სირიაში.
- სირიაში აჯანყებულთა რიცხვი [illegible]
- სირიის დედა-ქალაქ დამასკში სამხედრო წესები გამოცხადებული.

საფრანგეთის იმპერიალიზმი სირიაში

არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ შევაჩეროთ იმ ამბებზე, რომლებიც ვითარდება ამჟამად სირიაში. „განათლებულ“ საფრანგეთის სიმხეცე კოლონიებში ოდნავადაც არ ჩამოუვარდება მეორე „განათლებულ“ ქვეყნის—ინგლისის ძველის-ძველიდან ცნობილ ყაჩაღურ იმპერიალიზმს. „მემარცხენე“ ბლოკის მთავრობა თავისი „მიღწევებით“ აღმოსავლეთის ხალხთა ამოწყვეტაში ჩემბერლენების ღირსეული „პარტნიორი“ გახდა. ყველამ იცის მაროკოს ომის ისტორია. არა ნაკლებ და შეიძლება უფრო საგულისხმოა ფრანგ გენერალ სარრაილის „საგმირო საქმეები“ სირიაში. როგორც რიფები, ისე სირიის ტომები აღსდგნენ საფრანგეთის მიერ მათზე დადებულ მონობის ბორკილის დასამსხვრევად, ნაციონალური დამოუკიდებლობის და ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად, რომელთაც ფეხქვეშ თელავს საფრანგეთის უხეში იმპერიალიზმი.

„კულტუროსან“ ფრანგების აზრით სირიის ხალხთა ასეთი მოქმედება ხომ აჯანყებაა კულტურის წინააღმდეგ და სარრაილიც შეუდგა ამ „ველურ“ ტომებთან გასწორებას. მრავალთა შორის ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი სარრაილის „კულტურულ“ მოღვაწეობიდან: ინგლისური გაზეთი „ტაიმს“ შემდეგ ცნობას გადმოგვცემდა ამას წინედ: „ფრანგებმა დასწვეს რამდენიმე სოფელი დამასკის მახლობლად, „ავაზაკების“ 20 გვამი მიაკრეს აქლემების ზურგზე და დემონსტრატიულად გაატარეს მთელს ქალაქში და მის ახლო-მახლო“. ცხადია, თუ ვინ არიან ეს „ავაზაკები“. ეს ის ხალხია, რომელმაც ხმა აღიმაღლა საფრანგეთის პატრონობის წინააღმდეგ.

მაგრამ ასეთი „ამბები“, რომლებიც ყოველდღიურ მოვლენად იქცა სირიაში ბოლო დროს, სულ უწყინარ ვარჯიშობად უნდა ჩაითვალოს იმ საშინელ ტრაღედიასთან შედარებით, რომელიც დატრიალდა დამასკში. ქალაქი დამასკი ფერფლად იქნა ქცეული საფრანგეთის ტანკებით, ზარბაზნებით და ჰაეროპლანებით. მოკლულ ქალთა და ბავშვთა რიცხვი უდრის 25,000-ს. ეს არ ყოფილა ომი, არამედ უიარაღო მცხოვრებთა ამოჟლეტა ფრანგ ჯარისკაცების წინააღმდეგ აქა-იქ გასროლილ ტყვიის საპასუხოდ.

საფრანგეთის იმპერიალიზმის ჯალათობა ჩვენ არ გვაკვირვებს. აქ საგულისხმოა სულ სხვა რამ. სირიაზე მანდატი საფრანგეთს გადაცემული აქვს ერთა ლიგისაგან, მაშასადამე, ეს ქვეყანა იმყოფება ამ „პატივცემულ“ დაწესებულების „მფარველობის“ ქვეშ. ერთა ლიგაში გაბატონებული ჯგუფები თვალთმაქცურად გაიძახიან, რომ იგი თითქო ხალხთა შორის მშვიდობიანობის განმამტკიცებელი ორგანიზაცია იყოს. მსოფლიოში „მშვიდობიანობის“ დამყარების მიზნით საბჭოთა კავშირსაც ეპატიჟებიან მის წევრად. ჩვენ ვიცით, თუ რას წარმოადგენს ერთა ლიგა. ის ომში გამარჯვებულ ქვეყნების, ინგლის-საფრანგეთის მტაცებლური პოლიტიკის, მათ მიერ სხვა ხალხთა დამონების კვერის დამკვრელი ორგანოა. სხვათა შორის, ამას ადასტურებენ სირიის ამბებიც, დანგრეული დამასკი, ათეულ ათასობით მშვიდობიან მოსახლეობის ამოხოცვა. ამას სჩადის ლიგის წევრი—საფრანგეთი იმ ქვეყნის მიმართ, რომლის შესახებ ლიგის საბჭო თითქო მზრუნველობას უნდა იჩენდეს. ლიგის საბჭო კიდეც იჩენს „მზრუნველობას“, რაც იმაში გამოიხატება, რომ მან პირში წყალი ჩაიგუბა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ან როგორ გაბედავდა ლიგის საბჭო საფრანგეთის წინააღმდეგ გალაშქრებას, როცა თვითონ საფრანგეთია (ინგლისთან ერთად) მისი სულის ჩამდგმელი!

უფრო აღსანიშნავია ფრანგ სოციალისტების პოზიცია. ისინი „თავის“ მთავრობის ავანტიურას იმ თავითვე ზურგს უმაგრებდენ. გავიხსენოთ მათი დამოკიდებულება მაროკოს ომისადმი პირველ ხანებში, როცა მათ ხმა მისცეს მთავრობის მიერ გამოთხოვილ კრედიტს ომის საწარმოებლად. შემდეგ, როცა მშრომელ მასსების უკმაყოფილება გაიზარდა მაროკოს ავანტიურით, „სოციალისტებმა“ დაიწყეს ოპოზიციით თამაში. სინამდვილეში კი ხელიც არ გაუნძრევიათ ომის წინააღმდეგ; პირიქით—ისინი საქმით კვლავ ეხმარებოდენ პენლევეს. ეს ნათელჰყო, სხვათა შორის, კომუნისტების მიერ მოწყობილ საპროტესტო გაფიცვებმა, რომელთა ჩასაშლელად „სოციალისტებს“ არაფერი დაუზოგავთ. ბოლო დროს კი გამოაშკარავდა, რომ საფრანგეთის „სოციალისტების“ ხელმძღვანელი წრეების დასტურით „მემარცხენე“ ბლოკის მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას ისპანიის დიქტატორთან რიფების წინააღმდეგ შეთანხმებული სამხედრო მოქმედების გაძლიერების შესახებ. დამასკის ხოცვა-ჟლეტამაც მათთვის სრულიად „შეუმჩნევლად“ ჩაიარა. საფრანგეთის „სოციალისტურ“ პარტიის საბჭო „უფრო მნიშვნელოვანი საქმეებითაა“ გართული, მაგ. ბურჟუაზიულ გაზეთებში თანამშრომლობის საკითხით, როგორც გუშინდელმა დეპეშამ გვაუწყა, ხსენებულმა საბჭომ პარტიის წევრებს უფლება დართო ითანამშრომლონ ბურჟუაზიულ გაზეთებში. ეს დღემდეც უნდა მომხდარიყო: აბა რა არსებითი გარჩევაა ბურჟუაზიულ და „სოციალისტურ“ პრესას შორის. ორივე ერთ საქმეს აკეთებს ისე, როგორც ბურჟუაზია და „სოციალისტური“ პარტია.

პენლევეს „განახლებულ“ მთავრობას ზურგი აქვს გამაგრებული რენოდელებისაგან. ამითაც აიხსნება რომ თავის დეკლარაციაში გამარჯვებებზე ლაპარაკობს მაროკოს ფრონტზე, ხოლო სირიის ამბები აღნიშვნის ღირსადაც არ მიაჩნია.

მაგრამ სულ სხვაგვარად მსჯელობს საფრანგეთის პროლეტარიატი, რომელმაც ხსენებულ გაფიცვებში გამოაშკარავა თავისი ურყევი ნებისყოფა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რაც შეეხება სირიის აჯანყებულ ტომებს, როგორც დღევანდელი ცნობაც გვაუწყებს, ისინი იარაღს არ ყრიან; აჯანყება სულ უფრო და უფრო ფართოვდება, მოსახლეობის ახალ-ახალი ჯგუფები ებმებიან მასში. აგრეთვე იზრდება თანაგრძნობა თავისუფლებისათვის მობრძოლ ტომებისადმი დანარჩენ მუსლიმანებსა და არაბებს შორის.

შეიძლება ამ ხანად საფრანგეთმა გაიმარჯვოს, მაგრამ დამასკის ტრაღედია მუდამ შავ ლაქად დარჩება „კულტუროსან“ საფრანგეთის ისტორიაში. ამასთან ცხადია, რომ ერთხელ მოძრაობაში მოსული აღმოსავლეთის ხალხები ბოლოს და ბოლოს თავის მიზანს მიაღწევენ. იმპერიალისტების ავაზაკური მოქმედება გააღრმავებს მათდამი სიძულვილს, გამოსჭედს დაჩაგრულ ხალხების ნებისყოფას თავისუფლების მოსაპოვებლად.

იაფი საქონელი სოფელს

ჩვენ არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, რომ საქონლის ეხლანდელი ნაკლებობის ნიადაგზე სპეკულიაციამ ფართედ გაშალა ფრთები. თუმცა სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციაზე მტკიცეთ და შესაძლებლობის ფარგლებში იაფი საბითუმო ფასებია დაწესებული, მაგრამ სანამ საქონელი მიაღწევდეს სოფლის მომხმარებლამდე, იგი უზომოდ ძვირდება, განსხვავება საბითუმო და საწვრილმალო ფასებს შორის ხშირად ასეულ პროცენტებში გამოიხატება. მაშასადამე, ბევრგან თავის მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას ის აპარატი, რომელსაც დაკისრებული აქვს მოსახლეობისათვის, პირველ ყოვლისა გლეხობისათვის საქონლის მიწოდება—ასეთია სახელმწიფო ვაჭრობის დაწესებულებები და უმთავრესად კოოპერატივები.

მთელ რიგ საინსპექციო გამოკვლევებმა აღმოაჩინეს, რომ ზოგან კოოპერატივები და სახ. ვაჭრობის განყოფილებანი საბითუმო ფასებში მიღებულ საქონელს მომხმარებელს კი არ აწვდიდენ, არამედ კერძო ვაჭრებზე ჰყიდდენ დიდი რაოდენობით. ამას ისინი სჩადიოდენ მოგების მიზნით: მათ მოიწადინეს ხელის მოთხობა საქონლის ნაკლებობაზე, სპეკულიანტებისათვის საქონლის ძვირად გაცემით თავიანთი შერყეული ფინანსიური მდგომარეობის გამოკეთება. აქა-იქ ამ მხრივ აგრეთვე ადგილი ჰქონდა აშკარა სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებას, სპეკულიაციას პირადი ანგარებით. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ არა იშვიათად ფართო მოხმარების საგნები კოოპერატივებს არ მოეპოვებათ, მაშინ როცა ასეთები იშოვებოდა კერძო ბაზარზე, კერძო სპეკულიანტებთან, რომელნიც ტყავს აძრობდენ მშრომელ მომხმარებელს.

შემჩნეულია შემდეგი მოვლენაც: ზოგიერთი კოოპერატიული გაერთიანებანი და სხვა სათანადო ორგანოები არც ისე დიდ ხალისს იჩენენ სოფლად საქონლის გაგზავნის საქმეში, ვინაიდან იქ საქონლის ბრუნვა გაცილებით უფრო ნელა ხდება, ვინემ ქალაქში, რაც ფინანსიურად იმდენად არ არის ხელსაყრელი. სხვათა შორის, ამითაც აიხსნება, რომ ქალაქში ასე თუ ისე საქონელი მოიპოვება, ხოლო სოფელი ამ მხრივ დიდ კრიზისს განიცდის.

გარდა ამისა, სოფლის კოოპერატივები საწვრილმალო ფასებს ძალიან მაღლა სწევენ და ულარიბეს მოსახლეობას საქონლის შეძენის საშუალება ესპობა. ადგილი აქვს აგრეთვე „ნათლიმამობას“: არის შემთხვევები, როცა კოოპერატივის თანამშრომელნი პირველ რიგში თავის მახლობლებს აწვდიან ფართოდ მოსახმარ საგნებს. არა იშვიათად ისიც ხდება, რომ თანამდებობის პირნი გავლენას ახდენენ კოოპერატივის ორგანოზე, რომ პირველ რიგში მიიღონ საქონელი.

ყველა ამ მახინჯ მოვლენებს უნდა გამოეცხადოს დაუნდობელი ბრძოლა. ყველაზე უფრო რადიკალური საშუალებაა, რა თქმა უნდა, წარმოების გაფართოვება, რაიც ბუნებრივად მოსპობს სპეკულიაციას. ამ მხრივ ჩვენ წინ მივდივართ, მაგალითად, საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია გადიდდა სექტემბერში აგვისტოსთან შედარებით 34 მილიონი მეტრით, ე. ი. 33 პროცენტით. მაგრამ ჯერჯერობით მაინც სავაჭრო აპარატის გაჯანსაღებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. საქონლის დღევანდელი რაოდენობითაც შეიძლება მოსახლეობის გაცილებით უკეთ დაკმაყოფილება, ვინემ ამას დღეს ვხედავთ, თუ კოოპერაცია პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ არ იქნება დაშვებული საწვრილმალო ფასების გადიდება.

საქონლის სიმცირის ნიადაგზე ეხლა შემჩნეული სპეკულიაცია დიდ უბედურებას უქადის მუშების და გლეხების კეთილდღეობას, მთელ ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკას. საქონლის გაძვირება ამცირებს მუშის ხელფასს, სწევს პურის ფასს, არყევს ჩვენი ვალიუტის სიმტკიცეს, ასუსტებს მუშათა და გლეხთა კავშირს. ამიტომ, ვიმეორებთ, გადაჭრილი ზომები უნდა იქნეს მიღებული საწვრიმალო ფასების უზომო მომატების და სპეკულიაციის წინააღმდეგ.

საქონელი ბრამც და ბრამც არ უნდა ჩაუვარდეს ხელში სპეკულიანტს. კოოპერაციის საშუალებით მან უშუალოდ უნდა მიაღწიოს სოფლის მომხმარებლამდე დაწესებულ ფასებში. საქონლის სოფლად განაწილების დროს, ცხადია, არავითარ მიკერძოებას, უკანონო ზეგავლენას არ უნდა ექნეს ადგილი.

აუცილებლად საჭიროა კონტროლის გაძლიერება ძირითად კოოპერატივებზე კოოპერატიულ გაერთიანებათა და სხვა სათანადო ორგანოების მხრივ. მთავარი მნიშვნელობა კი აქვს შეკავშირებულ მუშა და გლეხ მომხმარებლის თვითმოქმედებას. ისინი კრიჭაში უნდა ჩაუდგნენ თავიანთ კოოპერატივებს, რათა ძირშივე იქნას აღმოფხვრილი ყოველგვარი გადახრა კოოპერატიული გზიდან, ყოველგვარი ბოროტმოქმედება და უკანონობა.

საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნები სრული დატვირთვით მუშაობენ და ამზადებენ საქონლის სულ მეტ რაოდენობას. პროდუქცია ჩვენ შემოგვაქვს უცხოეთიდანაც. მთელი ჩვენი საქმიანობა იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ პირველ რიგში გლეხობა დავაკმაყოფილოთ იაფი საქონლით. ჩვენ არ დავინდობთ არავის, ვინც ამ გზაზე შექმნის დაბრკოლებებს, იქნება ეს კერძო ვაჭარი, სპეკულიანტი თუ მოგების სურვილით გატაცებული კოოპერატივი.

„ახალგაზრდა კომუნისტი“

დეკემბრის პირველ რიცხვებიდან საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობის ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში იწყება ახალი ხანა: ლენინური კომკავშირის ცენტრალური სამდღიური ორგანო „სპარტაკი“-ს ნაცვლად იწყებს გამოსვლას ყოველდღიური გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“.

კომკავშირი დღეს არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება. ეს რიცხვობრივი ზრდა, რომელიც უმთავრესად ხდება გლეხური ახალგაზრდობის ხარჯზე, მთელი თავის მნიშვნელობით აყენებს საკითხს კავშირის თვისობრივი ზრდის შესახებაც. იმისათვის, რომ ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასები ორგანიზაციულად დავრაზმოთ კომკავშირში, საჭიროა ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდიის ლენინურად აღზრდა, რითაც ის უნდა შეიქმნეს ძველი ბოლშევიკური გვარდიის ღირსეული შემცვლელი. სწორედ ამ ძირითად ამოცანის პრაქტიკულად გადასაჭრელად ერთ-ერთი ღონისძიებაა ახალგაზრდათა პრესა, რომელიც დღემდე სუსტი იყო. „ახალგაზრდა კომუნისტმა“ უნდა გამოასწოროს ეს დიდი ნაკლი.

ყოველდღიურ გაზეთის გამოცემის აზრი არ არის ახალი. ეს აზრი დაიბადა და განვითარდა კავშირის დაბადებასა და განვითარებასთან ერთად. კავშირში ახლად მიღებულ წევრების და კანდიდატების პოლიტიკურად მომზადების საჭიროება, კავშირის მუშური და გლეხური ახალგაზრდობის შორის, მთლიანობის, მტკიცე ურთიერთობის დამყარების და კომკავშირელთა ფართო მასების კულტურულ-განმანათლებელ და საზოგადოებრივ მუშაობაში უფრო აქტიურად ჩაბმის აუცილებლობა და მრავალი სხვა აყენებდენ საკითხს ახალგაზრდათა პრესის გაძლიერების შესახებ.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ყოველივე ამას უწევდა ანგარიშს და ამზადებდა ნიადაგს ჩვენი პრესის გასაუმჯობესებლად. პარტიის უშუალო დახმარება ამ მიმართულებით წარმოებულმა მუშაობამ გამოიღო თავისი ნაყოფი და, როგორც აღვნიშნეთ, მომავალი თვის პირველიდან გამოვა ყოველდღიური გაზეთი.

იმ წერილიდან, რომლებიც მოთავსებული იქნებიან ქვემოჩამოთვლილ საჭირბოროტო კითხვებზე და შეადგენენ სათანადო განყოფილებათა საგანს, ცხადია თუ რა ხასიათის გამტარებელი იქნება „ახალგაზრდა კომუნისტი“ და როგორი ამოცანები უნდა გადაჭრას მან.

სახელმძღვანელო ხასიათის წერილები კომკავშირის მუშაობის ყველა დარგებიდან, წერილები საბჭოთა-პარტიულ ამოცანებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მუშათა მსოფლიო მოძრაობაზე, ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობაზე (კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობა და ჩვენი მტრები საზღვარგარეთ), ჩვენი კავშირის ცხოვრება, ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება, პიონერთა შორის მუშაობა, საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობა, მეცნიერება და ტეხნიკა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ახალგაზრდობა და ხელოვნება და სხვა.

როგორც ვხედავთ, ჩვენი ახალი გაზეთის წინაშე მეტად რთული ამოცანები სდგანან.

მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ „ახალგაზრდა კომუნისტი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს იმედებს, თუ მას გამოეხმაურებიან როგორც კომკავშირის, ისე უპარტიო ახალგაზრდობის ფართე მასები, თუ ის გადაიქცევა მასიურ ორგანოთ.

ამჟამად საქ. ლენინური კომკავშირი აერთიანებს 45 ათას წევრს. ეს უზარმაზარი არმიაა, რომელიც უდიდესი მიღწევის მაჩვენებელია. ასეთ პირობებში ჩვენი ლოზუნგია: „თვითეულ ორ კომკავშირელზე „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს თითო ეკზემპლიარი“.

სამწუხაროდ, წარსულში ამ მხრივ სუსტად იყო საქმე. ჩვენი კომკავშირელი ამხანაგები ვერ იჩენდენ საჭირო ენერგიას. „სპარტაკი“-ს ტირაჟი მხოლოდ 2 ათას უდრიდა. კომკავშირის ორგანიზაციის წევრთა რაოდენობას და გაზეთის ხელის მომწერთა და მკითხველთა რიცხვს შორის არ არსებობდა სწორი პროპორცია.

თვითეულმა კომკავშირელმა, ახალგაზრდა მუშამ და გლეხმა, ახალგაზრდა წითელარმიელმა და მოსწავლემ კარგათ უნდა შეიგნონ, რომ მათი გაზეთის არსებობა შეუძლებელი გახდება, თუ მას გვერდში არ ამოუდგებიან ყველა ეს ამხანაგები, თუ ისინი არ გამოიწერენ და არ გაავრცელებენ „ახალგაზრდა კომუნისტს“.

სწორედ ამისათვის კავშირის ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ ხელისმოწერის ფართო კამპანია: ახალგაზრდათა მასებს უნდა განემარტოს „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს მნიშვნელობა, მისი ამოცანები.

ამ შემთხვევაში დიდი როლი უნდა შეასრულონ აგრეთვე ჩვენმა ახკორებმაც. ახკორთა წრეები, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, მთელი შესაძლებლობით უნდა ამოძრავდენ. ახკორებმა უნდა გასწიონ სათანადო აგიტაცია გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს მასიურად გავრცელებისათვის.

საქართველოში არ უნდა დარჩეს არც ერთი ჩამორჩენილი კუთხე-კი, სადაც „ახალგაზრდა კომუნისტს“ არ ეყოლება მკითხველი.

თუ ჩვენ შეგნებულად შევხვდებით ამ ახალ და მეტად დიდ საქმეს. „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს გამოცემის საქმეს, თუ კომკავშირელთა მასსა გვერდში ამოუდგება თავის გაზეთს, იზრუნებს მასზე და მიიღებს მხურვალე მონაწილეობას როგორც მის გავრცელებაში, ისე მასალების მიწოდებაში,—დასახულ ამოცანის შესრულება სავსებით უზრუნველყოფილი იქნება.

შ. ა.

საერთაშორისო პოლიტიკის გზები და საბჭოთა კავშირი

ლიბერალები და კონსერვატორები საბჭოთა კავშირის „ახალი პოლიტიკის“ შესახებ

მაკდონალდის მორიგი გამოსვლა და ლიბერალების უკმაყოფილება

„მუშათა ახალგაზრდობა არ ესვრის თავის მამებს და დედებს“

„დეილი ტელეგრაფი“ რაკოვსკის დანიშვნის შესახებ

ლონდონი, 3 ნოემბერი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულ გაზეთის „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ეხება რაკოვსკის დანიშვნას ელჩად პარიზში, და აღნიშნავს, რომ ეს პოსტი მისცეს რაკოვსკის, როგორც პარიზის პოლიტიკური ცხოვრების მცოდნეს და გამოცდილ პროპაგანდისტს. გაზეთის აზრით, მოსკოვში ფიქრობენ, რომ პირველი ამ თვისებათაგანი საშუალებას მისცემს რაკოვსკის წარმატებით გაატაროს საფრანგეთთან და პოლონეთთან დაახლოვების პოლიტიკა, რომელსაც ამას წინად საძირკველი ჩაუყარა ჩიჩერინმა.

„ფარულად ეს პოლიტიკა—აღნიშნავს ეს გაზეთი—მიმართული იქნება უფრო ინგლისის, ვინემ გერმანიის წინააღმდეგ, რადგან საბჭოთა მთავრობა ცდილობს, რომ ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობას რეინის ოლქში არ მოჰყვეს ასეთივე შეთანხმება ინგლის-საფრანგეთს შორის აზიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში“. შემდეგ გაზეთი განაგრძობს, რომ რაკოვსკის დავალებული აქვს მოახერხოს რუმინეთის გარიყვა პოლონეთსა და რუმინეთს შორის არსებულ თავდაცვის კავშირის და იმ დამოკიდებულების შესუსტების გზით, რომელიც აკავშირებს რუმინეთს საფრანგეთთან“.

„დეილი ნიუზ“ საბჭოთა პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 3 ნოემბერი. ლიბერალური „დეილი ნიუზ“ ეხება მაკდონალდის მიერ ბრიუსელში წარმოთქმულ სიტყვას და აცხადებს, რომ ეხლა, როცა საბჭოთა მთავრობას ეტყობა ერთგვარი სურვილი „გადასინჯოს“ თავისი დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიმართ, მაკდონალდს თავი უნდა შეეკავებია ზოგიერთ განცხადებებისაგან.

გაზეთს მხედველობაში აქვს მაკდონალდის განცხადება, რომ „საბჭოთა მთავრობა არის ყველაზე მეტად ბურჟუაზიული და ყველაზე ნაკლებად მშვიდობიანობის მოყვარული ევროპის მთავრობებს შორის“-ო, და აგრეთვე განცხადება იმის შესახებ, რომ „თუ რუსეთი არ დაიჭერს თავის ადგილს ევროპის ხალხთა ოჯახში, ჩვენ უმისოდაც ადვილად წავალთო“.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ლოკარნომ უფრო მეტი გააკეთა საბჭოთა კავშირის იზოლიაციისათვის, რომელიც წარმოადგენს „გამანადგურებელ პოლიტიკურ გავლენის კერას“, ვინემ რომელიმე მოვლენამ დაწყებული 1917 წლიდან.

აღნიშნავს რა საბჭოთა პრესის და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების „ახალ მეგობრულ კილოს“, გაზეთი აცხადებს, რომ რაკოვსკის შეცვლა კრასინით სრულუფლებიანი წარმომადგენლის პოსტზე ლონდონში უნდა განვიხილოთ ისე, რომ ამ გზით საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად ცხადჰყო თავისი განზრახვა შესცვალოს თავისი დამოკიდებულება ევროპისადმი.

გაზეთის აზრით, ეს განზრახვა ღირსია იმისი, რომ ჩვენც ხელი გაუწოდოთ მათ.

დასასრულ გაზეთი აცხადებს, რომ თუ რუსეთი, რომელიც ასე განცალკევებულია, ვერ შესძლებს თავის კეთილდღეობის აღდგენას, მაშინ ვერც ევროპა გასძლებს შემდეგში ურუსეთოდ.

მუშათა ახალგაზრდობა არმიაში

ლონდონი, 3 ნოემბ. სამთომადნო მუშათა ფედერაციის მდივანმა კუკმა განაცხადა, რომ უმუშევრობა აიძულებს მუშათა ახალგაზრდობას ათასობით ჩაეწერონ არმიასა და ფლოტში. კუკი აფრთხილებდა მწარმოებლებს ბოროტად ნუ იყენებენ მუშათა ახალგაზრდობის მოთმინებას.

„მე დარწმუნებული ვარ,—სთქვა მან,—რომ მუშათა ახალგაზრდობა არ დასთანხმდება თავის მამების და დედების დახვრეტაზე. არმიაში ჩაწერის შემდეგ ახალგაზრდობა სამრეწველო კონფლიქტების მოგვარების დროს იარაღს არ იხმარს თავის მახლობელების წინააღმდეგ“.

ქალაქის თვითმართველობის არჩევნები

ლონდონი, 3 ნოემბ. პირველი ცნობების მიხედვით, ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში მუშათა პარტიამ მოიმატა 55 ადგილი პროვინციაში და მთელი რიგი ადგილებისა ლონდონის გარე-უბნებში.

ფრანგები სირიაში

დამასკის მიდამოებში.

ლონდონი, 3 ნოემბერი. გაზეთების ცნობით დამასკის მიდამოებში მოქმედებენ მეამბოხეთა რაზმები. ჯებელ-დრუზში და მეჯელეში ქამის ოლქში) თავი მოიყარა 30.000 კაცმა, რომლებსაც თავშესაფარი არ გააჩნიათ. მიმოსვლა ბეირუთთან შეწყვეტილია.

დამასკში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

ლონდონი, 3 ნოემბერი. დამასკში ყოველ ქუჩაში ბარიკადებია, ტანკები და ჯავშნიანი ავტომობილები მუდმივ მზად არიან.

დამასკის ერთ-ერთ ცნობილ მცხოვრების სახლი გადასწვეს ფრანგებმა იმის გამო, რომ ამ სახლის პატრონი შეუერთდა მეამბოხეებს.

მცხოვრებლებისაგან იარაღის ჩამორთმევა ნელის ტემპით სწარმოებს. ფრანგების მიერ დამასკზე დადებული კონტრიბუცია გადიდებულია 9,000 გირ. სტერლინგამდე.

„დეილ ექსპრესს“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ საგანგებო სასამართლოები სასწრაფოთ იხილავენ აჯანყებასთან დაკავშირებულ საქმეებს და გამოაქვთ სიკვდილის განაჩენები.

აჯანყების დროშის ქვეშ.

ლონდონი, 3 ნოემბერი. „დეილი ექსპრესის“ სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ დრუზები და ბედუინები ყოველმხრიდან თავს იყრიან დრუზების ბელადის ელა ატრაშის მიერ დაწყებულ აჯანყების დროშის ქვეშ.

პენლევეს კაბინეტის დეკლარაცია

„მსხვერპლი“.

პარიზი. 3 ნოემბ. მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციაში პირველ რიგში წამოყენებულია საფინანსო პრობლემები.

„მთავრობა,—ნათქვამია დეკლარაციაში,—ყურადღებას მიაქცევს ბიუჯეტში სრული წონასწორობის დამყარებას. ამ მიზნით მას განზრახული აქვს შეუდგეს შინაური სესხის დაფარვას, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში დაკავშირებული იქნება შეძლებულ კლასის მხრივ „მსხვერპლის“ გაღებასთან.

დეკლარაციაში არ არის დაწვრილებით განხილული ფინანსიური პროექტები და მხოლოდ ნათქვამია, რომ მთავრობას განზრახული აქვს განაგრძოს მოლაპარაკება ინგლისთან და ამერიკასთან ვალების საკითხის სამართლიანი და მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ.

შემდეგ დეკლარაცია წინადადებას აძლევს პარლამენტს დაამტკიცოს კანონპროექტები სოციალურ დაზღვევის, სამხედრო სამსახურის ვადის ერთ წლამდე შემცირების და საარჩევნო სიების შედგენის სისტემის აღდგენის შესახებ.

დეკლარაცია აღნიშნავს, რომ საფრანგეთი არაა პასუხისმგებელი მაროკოს კონფლიქტისათვის და მხოლოდ აბდ-ელ-ქერიმზეა დამოკიდებული ამ კონფლიქტის მოგვარება. ამასთანავე, დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მაროკოს ფრონტზე მდგომარეობის გაუმჯობესების გამო შესაძლებელია საფრანგეთში გამოწვეულ იქნას ჯარების ერთი ნაწილი.

რაც შეეხება საერთაშორისო მდგომარეობას, დეკლარაცია ადასტურებს მთავრობის განზრახვას განაგრძოს საერთაშორისო გაერთიანების საქმე, რომელიც წარმატებით დაიწყო ლოკარნოს კონფერენციაზე.

სირიის ახალი უმაღლესი კომისარი.

პარიზი, 3 ნოემბ. მთავრობამ შესთავაზა პოლ დუმერგს საფრანგეთის უმაღლესი კომისრის თანამდებობა სირიაში.

სოციალისტები და პენლევეს კაბინეტი.

პარიზი, 3 ნოემბ. სოციალისტურ პარტიის საბჭომ 1431 ხმის უმრავლესობით მიიღო პოლ ფორის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„მოისმინა რა თავის დელეგატების მოხსენება პენლევესთან მოლაპარაკების შესახებ, სოციალისტური პარტიის საბჭო აცხადებს, რომ წინად მიღებული გადაწყვეტილებების ძალით იგი ნდობას ვერ გამოუცხადებს კაბინეტს. ამავე დროს საპარლამენტო ფრაქციას პალატაში ენდობა გადაჭრა საკითხის—გამოუცხადოს მან უნდობლობა მთავრობას მის წინააღმდეგ ხმის მიცემით, თუ თავი შეიკავოს კენჭისყრის დროს და დაასაბუთოს ეს თავისი ნაბიჯი“.

რენოდელის მიერ წარმოდგენილმა რეზოლიუციამ მთავრობისათვის დროებით ნდობის გამოცხადების შესახებ, მიიღო მხოლოდ 1.228 ხმა.

ფრუნზეს დაკრძალვის დღეს

ბაქოში

ბაქო, 4 ნოემბერი. ფრუნზეს დაკრძალვის დღეს გაიმართა სამგლოვიარო დემონსტრაცია, რომელსაც დაესწრო მთელი ბაქოს პროლეტარიატი. დემონსტრაციის ცენტრალური ადგილი იყო—თავისუფლების მოედანი, 26 კომუნარის დაკრძალვის ადგილი.

დემონსტრანტების ჯგუფები თავს იყრიდენ მოედანზე სამგლოვიარო დროშებით. დღის 11 საათისათვის მთელი მოედანი გაჭედილი იყო ხალხით. მრავალრიცხოვანი ორკესტრები ასრულებდენ „ინტერნაციონალს“ და სამგლოვიარო მარშს. სიტყვები წარმოსთქვეს კარაევმა, სემკოვმა და კიაზიმოვმა.

საღამოს მუშათა და წითელარმიელთა ყველა კლუბებში გაიმართა მოგონებების საღამოები.

ერევანში

ერევანი, 4 ნოემბერი. ფრუნზეს დაკრძალვის დღეს 13 საათზე სამაზრო აღმასკომის მოედანზე გაიმართა სამგლოვიარო სამოქალაქო პანაშვიდი მთავრობის, სამხედრო ნაწილების, პროფკავშირთა წევრების და მრავალ მოქალაქეთა თანდასწრებით.

ლიუქსემბურგში

ლიუქსემბურგი, 4 ნოემბერი. როგორც კი მიღებული იქნა ცნობა ფრუნზეს გარდაცვალების შესახებ ლიუქსემბურგი გლოვამ მოიცვა. ადგილობრივმა კედლის გაზეთმა სამგლოვიარო არშიაში მოათავსა მთავრობის ცნობა და რ. კ. პ. ცეკას მიმართვა.

გაიმართა ლიუქსემბურგის ქალაქის საბჭოს და სამაზრო აღმასკომის სამგლოვიარო სხდომა საქ. კომპარტიის ახალგ. ლენინურ კომკავშირის, პროფკავშირების წევრთა და სხვ. მონაწილეობით.

ბორჩალოდან

ბორჩალო, 3 ნოემბერი. ბორჩალოს მშრომელები საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად გლოვობენ წითელი არმიის წინამძღოლის ყველა მშრომელთა და ჩაგრულთა დამცველის, ფრუნზეს უდროვოდ დაკარგვას. ბორჩალოს მშრომელები მზად არიან ყოველთვის რ. კ. პ. მოწოდებისთანავე მჭიდროთ დაირაზმონ ფრუნზეს მიერ დაწყებულ საქმის დასამთავრებლად.

სამგლოვიარო სხდომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კვიტაშვილი.

ზუგდიდში

ზუგდიდი, 4 ნოემბერი. ფრუნზეს დაკრძალვის დღეს გაიმართა მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო მიტინგი პარტიის და პროფკავშირის წევრთა და მრავალ მოქალაქეთა მონაწილეობით.

შულავერიდან

შულავერი, 3 ნოემბერი. ქალაქ შაუმიანის საბჭოს სამგლოვიარო სხდომა კომპარტიის და კომკავშირის უჯრედებთან, გლეხებთან და პროფკავშირთა წევრებთან ერთად, ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მთელს მშრომელ ხალხს ამხ. ფრუნზეს უდროოდ გარდაცვალების გამო. ფიცს ვსდებთ განვაგრძოთ მის მიერ დაწყებული საქმე.

ოზურგეთში

ოზურგეთი, 3 ნოემბერი. ოზურგეთის მაზრის აღმასკომი გურიის მშრომელი გლეხობის და მუშა-მოსამსახურეთა სახელით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მუშურ-გლეხური სახელოვანი წითელი ლაშქრის ბელადის, რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის, კომუნისტური პარტიის ძველი გვარდიის წევრის ამხანაგ მიხეილ ვასილისძე ფრუნზეს უდროვოდ დაკარგვის გამო.

სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე გ. რამიშვილი.

სიღნაღში

სიღნაღი, 3 ნოემბერი. სიღნაღის სამაზრო პარტიულ კომიტეტის, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის, სამაზრო პროფკავშირის, ქალაქ სიღნაღის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს ადგილობრივ დაბანაკებულ წითელარმიელთა ნაწილების და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შემადგენლობის სამგლოვიარო საერთო კრებამ, რომელიც შესდგა სრულიად საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების წითელ არმიის მეთაურის და პროლეტარულ რევოლიუციის შეუდარებელ მებრძოლის ამხანაგ ფრუნზეს გარდაცვალების გამო, მიიღო რა მხედველობაში უაღრესი დანაკლისი, უერთდება მთელი მშრომელი ხალხის და წითელი არმიის ულრმეს მწუხარებას.

გაუმარჯოს, ამხანაგ ფრუნზეს მიერ ომის ქარტეხილში გამობრძმედილ წითელ არმიას.

საამღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მოწონელიძე.

ახალსენაკში

ახალსენაკი, 4 ნოემბ. გუშინ დღის 2 საათზე, ქალაქის ბაღში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი ფრუნზეს დასაფლავების გამო, ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს სიტყვები წითელი არმიის განსვენებულ ხელმძღვანელის ხსოვნის აღსანიშნავად. ადგილობრივ ჯარების ნაწილმა მისცა სალიუტი.

ბათომში.

ბათომი, 4 ნოემბ. გუშინ 13 ნახ. საათზე აზიზიის მოედანზე გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად. ილაპარაკეს მრავალრიცხოვანმა ორატორებმა, რომლებმაც დაახასიათეს ფრუნზეს დამსახურება და მოუწოდეს მშრომელებს და წითელ მებრძოლებს კიდევ უფრო შეამჭიდროვონ რიგები ბრძოლისათვის მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

14 საათზე, ფრუნზეს დასაფლავების დროს, ზარბაზნებმა მისცეს სალიუტი 25 გასროლით. მგლოვიარების ნიშნად ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში მუშაობა შეწყდა 5 წუთით.

იტალიის მუშათა პრესა ამხ. ფრუნზეს შესახებ

რომი, 3 ნოემბ. იტალიის კომპარტიის ორგანო „უნიტა“ სწერს.

„დინჯი და ენერგიული ფრუნზე 20 წლის განმავლობაში იბრძოდა რევოლიუციონერების რიგებში და იყო შეუდარებელი ორგანიზატორი.

ფრუნზემ მთელი თავისი ძალ-ღონე შესწირა არმიის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და ტერიტორიალურ სისტემის განხორციელებას. მისი ხელმძღვანელობით შექმნილია საჰაერო ფლოტი, მოწესრიგებულია ქიმიური თავდაცვა და ჩატარებულია საზღვაო ძალების რეორგანიზაცია. ამ საზღვაო ძალებმა უკანასკნელ მანევრის დროს დაამტკიცეს თავისი ბრძოლის უნარიანობა.

ფრუნზეს სახით არმია ჰკარგავს წინამძღოლს, საბჭოთა კავშირი—ძველი გვარდიის საიმედო მებრძოლს, საერთაშორისო პროლეტარიატი—ერთ-ერთ თავის წინამძღოლს, რომელიც აღსავსე იყო ძალ-ღონით.

იტალიის მუშათა კლასი იზიარებს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის და საბჭოთა მთავრობის გლოვას.

მაქსიმალისტების ორგანო „ავანტი“ სწერს:

ფრუნზე მისდევდა ლენინის ანდერძს; მისი სახით საბჭოთა კავშირმა დაჰკარგა გამობრძმედილი მებრძოლი და რკინის ნებისყოფის ადამიანი.

უკანასკნელი ცნობები

უთანხმოება სოციალისტურ ფრაქციაში

პარიზი, 3 ნოემბერი. დეპუტატთა პალატის სოციალისტურ ფრაქციის სხდომის გათავების შემდეგ პოლ ბონკურმა, რენოდელმა, მუტემ და ორიელმა გადასწყვიტეს გამოვიდენ ფრაქციის პოლიტიკურ კომისიისაგან.

საფრანგეთის მუშა-გლეხთა ახალგაზრდობის ყრილობა

პარიზი, 3 ნოემბერი. მუშა-გლეხთა ახალგაზრდობის ყრილობაზე გამოვიდა შასენი, რომელმაც აღნიშნა მუშა-ახალგაზრდობის როლი ჯარში, რომელიც პროლეტარიატს თანდათან გამოჰყავს თავის მხარეზე.

შემდეგ გამოვიდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სალდათი, რომელმაც განაცხადა, რომ საერთო გაფიცვის დროს ჩვენი პოლკის სალდათები უარს იტყვიან მუშების წინააღმდეგ გამოსვლაზეო.

ყრილობამ იმსჯელა მშრომელ ახალგაზრდობის პროფესიონალურ და პოლიტიკურ ამოცანებზე.

კაშენი მიესალმა ყრილობას კომპარტიის ცკას სახელით და მოუწოდა ახალგაზრდობას აქტიურ მოქმედებისაკენ.

კანტონის ჯარების გამარჯვება

პეკინი, 3 ნოემბერი. უკანასკნელ დღეებში კანტონიდან არ ყოფილა ცნობები. იაპონიის სააგენტოს ცნობით, კანტონის ჯარებმა დაიკავეს სვატოუ. ჩჟენ-ცზიუნ-მინის ჯარებმა დაიხიეს.

მუკდენის ჯარების შეტევა

პეკინი, 3 ნოემბერი. ცნობებია, რომ მუკდენის ჯარებმა დაიკავეს ხან-ჩჟოუ და სამხრეთისაკენ იწევენ.

ოსმალეთის ოფიციოზი ამხ. ფრუნზეს შესახებ

ანგორა, 3 ნოემბერი. ფრუნზეს გარდაცვალებამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის წრეებზე. ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილლიე“ ახასიათებს ფრუნზეს, არა მხოლოდ როგორც მსხვილ სახელმწიფო მოღვაწეს არამედ როგორც გამოჩენილ პიროვნებას, როგორც მეგობარს ოსმალეთის ხალხისას.

ახალი კაბინეტი დეპუტატთა პალატის წინაშე.

კამათი საერთო პოლიტიკაზე.

პარიზი, 3 ნოემბ. დეპუტატთა პალატის სოციალისტურმა ფრაქციამ გადასწყვიტა არ მიიღოს მონაწილეობა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებაში.

პალატამ და სენატმა მოისმინეს მთავრობის დეკლარაცია.

პალატაში დაიწყო კამათი მთავრობის საერთო პოლიტიკაზე. კომუნისტ კაშენმა ბრალი დასდო ბანკებს ფრანკებზე სპეკულიაციაში; მან განაცხადა, რომ მთავრობის დეკლარაციამ ვერ წამოაყენა ვერავითარი წინადადება ინფლიაციის შეჩერების შესახებ. ბოლოს კაშენმა გააკრიტიკა კაბინეტის პოლიტიკა მაროკოსა და სირიაში.

ნდობა უმნიშვნელო უმრავლესობით

პარიზი, 3 ნოემბ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა პენლევეს კაბინეტს. 261 ხმის უმრავლესობით 189 ხმის წინააღმდეგ პალატამ მიიღო შემდეგი ფორმულა, დღის წესრიგზე გადასვლის:

„წონებს რა მთავრობის დეკლარაციას, და დარწმუნებულია რა იმაში, რომ რესპუბლიკანურ უმრავლესობასთან თანხმობით ის განაგრძობს მშვიდობიანობის პოლიტიკას და ფინანსიურ გაჯანსაღების საქმეს, და სცნობს რა ზედმეტად რაიმეს მიმატებას მთავრობის დეკლარაციაზე, პალატა გადადის შემდეგ დღის წესრიგზე“.

კაბინეტი რჩება

პარიზი, 3 ნოემბ. პალატის დატოვების დროს პენლევემ განაცხადა, რომ კაბინეტი რჩება მთავრობის სათავეში.

აჯანყება მოსულის ოლქში.

ანგორა, 3 ნოემბ. უკანასკნელი ცნობებით სირიის აჯანყება მოედვა მოსულის ოლქს. ყველა შეურიგებელ ელემენტებმა, უმთავრესად ხაიდებმა, მოაწყვეს აჯანყება და დაიწყეს ბრძოლა ინგლისის ჯარებთან. აჯანყებას მოელიან ქალაქ მოსულშიც.

მუშათა პარტიის გამარჯვება მუნიციპალურ არჩევნებში.

ანგორა, 3 ნოემბერი. წინასწარი გამოანგარიშებით მუნიციპალურ არჩევნების შედეგები ინგლისში და უელსში შემდეგია: მუშათა პარტიამ მიიღო—190 ადგილი, კონსერვატორებმა დაკარგეს—146 ადგილი, ლიბერალებმა დაკარგეს—24 ადგილი დამოუკიდებლებმა—20 ადგილი. მარტო ლონდონში მუშათა პარტიამ მოიგო 96 ადგილი.

ბულგარეთის დამოუკიდებელი მუშათა ფედერაცია

ვენა, 3 ნოემბერი. ბულგარეთის პროფკავშირების დამოუკიდებელ პროფკავშირებმა გადასწყვიტა გაერთიანდენ და შექნან „დამოუკიდებელი მუშათა ფედერაცია“. დამოუკიდებელი მუშათა ფედერაცია გამოდის ამსტერდამის წინააღმდეგ, მაგრამ მომხრეა მოსკოვისა და ამსტერდამის შეთანხმების.

შტრეზემანი ამშვიდებს!

ბერლინი, 3 ნოემბ. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ ვერავინ ვერ დაიტანს გერმანიას ძალას მისი სურვილის წინააღმდეგ მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირთან ომშიო. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება გერმანიის უნებართვოთ ჯარები გაიყვანოს მის ტერიტორიაზე. გერმანია კვლავინდებურათ ილტვის მეგობრული დამოკიდებულობა იქონიოს საბჭოთა კავშირთან. გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულება ამტკიცებს გერმანიის მეგობრულ განწყობილებას დიდი საბჭოთა სახელმწიფოსადმი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

არაყის სახდელი ქარხანა

ბათომი, 4 ნოემბერი. აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველო ახლო მომავალში დაამთავრებს არაყის სახდელი ქარხნის აგებას ქობულეთში. 15 ნოემბერს ქარხანა ამუშავდება. ქარხანამ უნდა გამოხადოს წლიურად 50,000 ფუთამდე ხილი და ყურძნის ჭაჭა.

მანუფაქტურის გაგზავნა

ბათომი, 4 ნოემბერი. ოქტომბრის ბოლოს საფეიქრო სინდიკატის ბათომის განყოფილებამ გაგზავნა გაგრაში 8.000 მანეთის ბამბის სხვადასხვა ქსოვილები და სოხუმში—ნახევარი ვაგონი მანუფაქტურა 18,000 მანეთის ღირებულებით.

„საქართველოს ჩაი“

ბათომი, 4 ნოემბერი. აჭარისტანის ეკონომიურმა საბჭომ არა საკმაოდ სცნო ის კაპიტალი, რომელიც მიიღო სააქციონერო საზოგადოების „საქართველოს ჩაი“-ს დამაარსებელთა ორგანიზაციულმა კრებამ მოსკოვში.

ამის გამო აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელს უფლება მიეცა მოითხოვოს ამ კაპიტალის გადიდება 2 მილ. მანეთამდე.

პირველი თოვლი

თელავი, 4 ნოემბერი. გუშინ ღამით პირველად მოთოვა. მოსახლეობა მოუმზადებელია ზამთრისათვის. მოსახლეობას არ აქვს ჯერ მომარაგებული საკვები საქონლისათვის. თესვის კომპანია შეწყდა. თოვა გრძელდება.

სატყეო მეურნეობა

ოზურგეთი, 4 ნოემბერი. სამაზრო აღმასკომმა აუკრძალა კერძო პირებს ხე-ტყის გამოტანა და ამის მონოპოლიური უფლება დაუთმო საქართველოს სატყეო ტრესტს.

ნავთი არ იშოვება

ოზურგეთი, 4 ნოემბერი. ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებას ნავთი არ აქვს. ამით ისარგებლეს კერძო ვაჭრებმა, რომლებიც გირვანქა ნავთს ყიდიან აბაზად.

აზერბეიჯანი

ნავთის ამოღება

ბაქო, 4 ნოემბ. ოქტომბრის განმავლობაში ამოღებულია 28.070.000 ფუთი ნავთი და გაზი. პროგრამა ნავთის ამოღების მხრივ შესრულებულია 107 პროც.-ით, გაზის—123 პროც.-ით.

სომხეთი

კომპარტიის სამაზრო კონფერენცია

ლენინკანი, 4 ნოემბერი. გაიხსნა კომპარტიის სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც გამოცხადდა სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამბარცუმიანი. შესავალ სიტყვაში, რომელიც კრებამ ფეხზე დგომით მოისმინა, ამბარცუმიანმა დაახასიათა ფრუნზეს მოღვაწეობა და შემდეგ გააკეთა მოხსენება სომხეთის კომპარტიის ცკას მუშაობის შესახებ.

საბჭოების გადარჩევა და გლეხკომები

ახლო მომავალში დაიწყება საბჭოების გადარჩევა. გლეხკომების მთლიან გადარჩევას ჩვენ მოვახდენთ 5—6 თვის შემდეგ, ეხლა კი გამოკვლევის სახით გლეხკომების ნაწილობრივ გადარჩევას ვაწარმოებთ და იქიდან თანდათანობით ვერეკებით ისეთ პირებს, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს უნარი საქმიანობაში, ბოროტმოქმედება ჩაიდინეს და გლეხკაცობის უნდობლობა დაიმსახურეს.

სულ მალე საბჭოების შემადგენლობა განახლდება და მათი მუშაობა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ გამოცოცხლდება. სანამ ახალ საბჭოს აირჩევდენ, ყველგან გააკეთებენ მოხსენებას საბჭოების მუშაობის შესახებ. აღინიშნება, თუ რა გააკეთა საბჭომ, რის გაკეთება ვერ შესძლო, რა უშლიდა ხელს მას მუშაობაში, რა დაბრკოლებები ეღობებოდა წინ მის საქმიანობას და სხვა. ასეთი მოხსენებების გაკეთებით საშუალება მიეცემა სოფლის მშრომელ მოსახლეობას დააფასოს საბჭოს განვლილი მუშაობა, დასაწუნი დაიწუნოს, გააკრიტიკოს და ახალ არჩეულ საბჭოს რჩევა-დარიგება მისცეს, თუ მომავალში როგორ იმუშაოს და რა გააკეთოს.

ურთიერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებები (გლეხკომები)—ეს ისეთი საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციებია, რომლებიც ხელს უწყობენ და ეხმარებიან საბჭოთა ხელისუფლებას სოფლის და ქვეყნის სასიკეთო ყოველგვარ წამოწყებათა განხორციელებაში, როგორიცაა: ხიდების შეკეთება-გაკეთება, გზების შეკეთება და ახლების გაყვანა, სარწყავი არხების გაჭრა, აგრონომიულ პუნქტების მოწყობა, ქვრივობლებისათვის, ინვალიდებისათვის და წითელარმიელების ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენა, სკოლებისათვის შეშის მიწოდება, სკოლების შენობების აგება-შეკეთება და სხვა.

რადგანაც გლეხკომები თავიანთ საქმიანობით, როგორც დამხმარე და ხელის შემწყობი ორგანოები, მჭიდროთ არიან დაკავშირებული საბჭოებთან, ჩვენ საჭიროთ, სასარგებლოთ და მიზანშეწონილათ მიგვაჩნია საბჭოების გადარჩევის დროს სოფლებში, თემებში, მაზრებში გამართულ კრებებზე გაკეთებულ იქნეს მოხსენებები იმის შესახებ, თუ რა გააკეთა და მომავალში რის გაკეთებას აპირებენ სოფლათ გლეხკომები.

ამით გლეხობის ფართო მასას საშუალება მიეცემა ახლო გაეცნოს შეაფასოს და დაუფარავად გამოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლოა სოფლისათვის გლეხკომების საქმიანობა. საბჭოების გადასარჩევ სამზადისთან ერთად აუცილებლად უნდა მოემზადონ და მოხსენებებით გამოვიდენ გლეხკომებში მომუშავე ამხანაგები.

კ. ხომერიკი.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად

ყველა ოლქკომებს და მაზრკომებს

ძვირფასო ამხანაგებო! კომკავშირი დიდათ დაინტერესებულია სასკოლო აღმშენებლობით და მოწაფეთა კომუნისტური აღზრდით.

დღემდე ჩვენ ამ მიმართულებით ვაწარმოებდით მუშაობას, მაგრამ ეს მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. კომკავშირმა უნდა მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ სახგანკომებმა მომავალში მაინც მოახდინონ არსებულ სკოლების რეორგანიზაცია და გახსნან ახალი სკოლები განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო განათლებისათვის.

მოსწავლე ახალგაზრდობაში მუშაობის გაღრმავება გადაუდებელი ამოცანაა.

სასკოლო და მოწაფეთა შორის მუშაობის საკითხების განსახილველად ცკამ გადასწყვიტა საქართველოს მასშტაბით 10 ნოემბრისათვის მოიწვიოს თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ ყველა ოლქკომების და მაზრკომების პოლიტ-განათლების განყოფილებების გამგენი, ან ის ამხანაგები, რომელთაც დავალებული აქვთ სასკოლო აღმშენებლობის სფეროში მუშაობა. აგრეთვე თითო და მახასიათებელ სასკოლო უჯრედების მდივნები შემდეგ ქალაქებიდან: ოზურგეთი, ბათომი, ქუთაისი, გორი, სენაკი, თელავი.

ქ. თბილისს ეძლევა 15 ადგილი. ამასთანავე დაესწრებიან თბილისის ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებიც.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ თათბირს, ცხადია დღის წესრიგიდან, რომელშიაც დასმულია შემდეგი საკითხები:

1. ადგილებიდან მოხსენება (კომკავშირის კომიტეტები: თბილისი, აჭარა, აფხაზეთი, ოსეთი, ქუთაისი, ოზურგეთი, სენაკი, გორი, თელავი, სასკოლო უჯრედები: ქუთაისი, თბილისი ოზურგეთი, გორი).
2. სახალხო განათლების სისტემის შესახებ.
3. მოსწავლე ახალგაზრდობაში მუშაობა.
4. პროფ-ტეხნიკურ განათლების მდგომარეობა და პერსპექტივები.
5. გლეხურ ახალგაზრდობის სკოლები.
6. პიონერთა მუშაობა სკოლაში.

როგორც მომხსენებლებად გამოყოფილ ამხანაგებმა, ისე დანარჩენებმა უსათუოდ უნდა წარმოადგინონ წერილობითი მოხსენება სასკოლო აღმშენებლობის და მოწაფეთა შორის მუშაობის შესახებ.

დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობების მიღება შეიძლება ადგილობრივ სახალხო განათლების ორგანოებიდან.

ს. ა. ლ. კ. კ. ცკას მდივანი—
დარახველიძე.
სასკოლო განყ. გამგე—ფრანგიშვილი.

გაფლანგველ კომუნისტების წინააღმდეგ საჭიროა სასტიკი ბრძოლა

კოოპერაციაში გაფლანგვამ არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. ისე დღე არ გავა, რომ არ გავიგოთ ამა და ამ კოოპერატივში ნოქარმა, მოლარემ თუ თავმჯდომარემ ფული გაფლანგაო. ვისაც არ ეზარება ყველა სჭამს კოოპერაციის ქონებას. თითქო ყველა ბნელი ძალები შეერთდენ, რომ ჩაშალონ ჩვენი პარტიის ამოცანები კოოპერაციის მშენებლობის საქმეში.

მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ ბნელ ძალებს ზოგიერთ ადგილას გვერდში უდგანან და მათთან ერთად ფლანგავენ მუშებისა და გლეხების ქონებას პარტიის წევრები ან კომკავშირელები.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა ვანის კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ. ვანის (ქუთაისის მაზრა) კოოპერატივი ერთ ძლიერ ორგანიზაციად ითვლებოდა მთელ ვანის რაიონში. კარგი ხელმძღვანელობის გაწევით ამ კოოპერატივს შეეძლო პირველი ადგილი დაეკავა მთელ მაზრაში. მაგრამ დღეს ეს კოოპერატივი გაკოტრების გზას ადგია.

კოოპერატივის მუშაობის გამოსასწორებლათ ადგილობრივმა უჯრედმა კოოპერაციის გამგეობაში გაიყვანა ახალგაზრდა ამხანაგი კომკავშირის წევრი. სოფლის პირობის მიხედვით ეს კომკავშირელი კარგ ჯამაგირს იღებდა

ამ გარემოებამ წონასწორობა დაუკარგა „ჩვენს ახალგაზრდას“. მან თავი დიდ კაცად წარმოიდგინა და ცხოვრებაც დიდკაცურათ დაიწყო. კურთხეულ ვანში ღვინო საკმაოთ არის და იქაური ახალგაზრდებიც მაინცდამაინც არ გაურბიან ნუნუას.

ეს „კომკავშირელიც“ არ ჩამორჩა „საერთო საქმეს“ და ღვინოს ერთობ ხშირათ უშინჯავდა გემოს. ეს ვაჟბატონი ძლიერ შეეჩვია ნაღვინებზე ეტლით სრიალს ერთი სოფლიდან მეორეში და ადგილობრივ მოქეიფე ყმაწვილებთან და მანდილოსნებთან „დროების“ ტარებას. ამის შემყურე გლეხები ცოტა არ იქნებოდეს გაკვირვებული იყვნენ.— შეგვჭამს, ბატონო, ეს კომპარატი (ასე ეძახიან კოოპერატივს) მათ არ ყოფნით და ჩვენ რაღას ვიშოვნით იქ. დროება დროება? რას მოესწრო ეს „პარტიული“, რა საჭმელი ლუკმა იშოვა—ამბობდენ გლეხები, მაგრამ მათ ჩივილს აბა ვინ დაუგდებდა ყურს.

გლეხების სიტყვები გამართლდა. ბოლოს კოოპერაცია შეიქნა დაზარალებული. უცბათ ხმა გავრცელდა: „პარტიულს“ 1.000 მან. დაეკარგაო. ხმები ასეთი იყო, მაგრამ გლეხს მაინც არ სჯეროდა; ის მაინც ამბობდა: „შეხოხნა 1.000 მან.“ ამავე დროს დასძენდა—„რა უშავს, ვინ ახლებს ხელს, პარტიულიაო“. ერთი თვის შემდეგ რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ამ ვაჟბატონს კიდევ 375 მან. „შეუხუხნია“. 1.000 მანეთი და 375 მანეთი ერთნაირათ „დაკარგული“ აღმოჩნდა.

ასე ატარებს ზოგიერთი „პარტიული“ ჩვენი პარტიის ამოცანებს კოოპერაციაში.

ასეთი „პარტიულები“ სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, რომ სხვასაც შეხუხვნის მადა დაეკარგოს.

ე. ლ.

ცეხური უჯრედების მუშაობის გაძლიერებისათვის

რომ პარტიამ მჭიდრო კავშირი დაიჭიროს მასებთან ქალაქებში და კერძოთ კი დიდ წარმოებებში, შემოღებულია ცეხური უჯრედები. ამ უჯრედებმა დღეს უკვე სავსებით გაამართლეს თავიანთი ამოცანები. მიღებულმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ცეხუჯრედების ფორმა ერთად-ერთი საუკეთესო საშუალებაა წარმოებებში პარტმუშაობის გასაღრმავებლად.

ცეხუჯრედების შემოღების შემდეგ, პარტიის გავლენა უფრო გაიზარდა მუშათა მასებში, წარმოებებზე განმტკიცდა პარტხელმძღვანელობაც. მიუხედავათ ყოველივე ამისა, ჩვენ წინაშე სდგას ამოცანა ცეხუჯრედებში მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავების და გაძლიერების შესახებ.

რა ნაკლულოვანებებს აქვს ადგილი ცეხ-უჯრედებში?

ბიურო კოლექტივი ცეხუჯრედებს არ აძლევს მუშაობის საშუალებას. ეს იმაში გამოიხატება. რომ კოლექტივი ერევა ცეხის შინაურ ცხოვრებაში და მის მუშაობაში, ასეთი მდგომარეობა დაღს აჩნევს ცეხუჯრედის მუშაობაზე იმ მხრივ, რომ მას ეკარგება ავტორიტეტი თავის ცეხში, მუშათა მასსაც და თვით ადმინისტრაციაც მაშინ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ცეხუჯრედს.

არის მეორე შემთხვევაც, როდესაც ცეხუჯრედი აკეთებს კოლექტივის საქმეს, როდესაც ის არ კმაყოფილდება ცეხის ფარგლებში მუშაობით და მთელ წარმოების ცხოვრებას განაგებს.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც პარტამხანაგებმა, არც კი იციან ცეხუჯრედების მოვალეობა-დანიშნულება. ამისათვის საჭიროა ინსტრუქტორთა კადრის გაძლიერება ადგილებზე ცოცხალი კავშირის დასაჭერად. მხოლოდ ინსტრუქტორთა შემადგენლობა შერჩეული უნდა იქნეს, ხელმძღვანელი ორგანოები უნდა აძლევდენ დირექტივებს და განმარტებებს ადგილებს, ინსტრუქტორების საშუალებით. ამით ჩვენ ერთი მხრივ შევსძლებთ ცეხ-უჯრედებში მუშაობის გაძლიერებას და მეორეს მხრივ ამავე ინსტრუქტორების საშუალებით ჩვენ გვეცოდინება მთლიანათ მთელი წარმოების ცხოვრება მისი ტკივილები და კარგი მხარეები.

ამრიგად თუ ჩვენ გვინდა ცეხუჯრედების მუშაობამ ნაყოფი მოგვიტანოს, აუცილებლად საჭიროა აღმოვფხვრათ ის ანორმალური დამოკიდებულება, რომელიც არსებობს კოლექტივებსა და ცეხუჯრედებს შორის და ამასთანავე გავაძლიეროთ ინსტრუქტორთა კადრი, რომ დავამყაროთ ცოცხალი კავშირი ადგილებსა და ცენტრს შორის.

ასეთი გზით ცეხუჯრედები სავსებით გაამართლებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს, კერძოთ ისინი უფრო მჭიდროთ დაუახლოვდებიან წარმოებებში გაერთიანებულ მუშებს, უზრუნველყოფენ პარტგავლენას წარმოებებზე და ცეხუჯრედებში გავაძლიერებთ პარტმუშაობას.

ლ. სალუქვაძე.

წერილები ადგილებიდან

ქ. სურამი

ახალი რაიკომის დაარსება

სურამის რაიონში პარტიული მუშაობა ძლიერ მოისუსტებდა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ამ ვეებერთელა რაიონში, არ იყო დაარსებული რაიონული კომიტეტი. დღემდე სურამი ხაშურის რაიონის ერთ-ერთ უჯრედათ ითვლება. ხაშურის რაიკომი კი აუარებელი მუშაობით დატვირთვის გამო, სურამის ორგანიზაციას ვერ უწევდა შესაფერის ხელმძღვანელობას.

მართალია, წინად სურამში ჩამოყალიბებული იყო რაიკომი, მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო, ის გაუქმებული იქნა. ამას მიაქცია სათანადო ყურადღება გორის სამაზრო პარტკომმა, ჩამოაცილა სურამი ხაშურის რაიონს და ჩამოაყალიბა იქ რაიკომი, რომელიც უკვე შეუდგა ორგანიზაციულ მუშაობას. ამ ჟამად სულ სხვა მდგომარეობაა შექმნილი. პარტუჯრედებმა, ქალთა წრეებმა, კომკავშირის უჯრედმა განაახლეს თავიანთი მუშაობა. დარწმუნებული ვართ, რომ დღეიდან მუშაობა წინ წავა.

ახალ რაიკომს დღეს მართებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გლეხთა აქტივის წამოყენებას. რადგან ეს მეტად ხელს შეუწყობს აღმშენებლობითი საქმეს.

ი. გაგოშიძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

დუშეთი

ჩვენი ორგანიზაციის ავ-კარგი.

დუშეთის მაზრის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა. ამიტომაა, რომ უპარტიო ახალგაზრდობის ლტოლვაც კომკავშირისაკენ დიდია. თუ ამ ორი თვის წინად კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია აერთიანებდა 840 წევრს და 12 კანდიდატს, პირველ ოქტომბრისათვის ორგანიზაცია ითვლის 943 წევრს და 15 კანდიდატს. ეს დიდი მიღწევაა.

კომკავშირელთა პოლიტიკური განვითარება უფრო მაღლა სდგას, ვიდრე პარტიის წევრების. მაგრამ აქაც არ არის ყველაფერი რიგზე: ამჟამად ორგანიზაციაში ითვლება 148 წერაკითხვის უცოდინარი. ამას უნდა გამოეცხადოს ბრძოლა.

პარტიული კადრი კომკავშირში არ არის დამაკმაყოფილებელი. ორგანიზაციაში ითვლება მხოლოდ 10 წევრი და 1 კანდიდატი. ამ მხრივ უკვე მიღებულია ზომები და 40 განცხადება პარტიაში გადარიცხვის შესახებ გადაცემულია სამზრკომში.

ხელმძღვანელობა უჯრედებზე მოისუსტებს. თუმცა, ხელმძღვანელობა ბავშვთა კოლექტივებზე, რომელთა რიცხვი აღწევს 22 კარგია. ბავშვთა ორგანიზაციაში ირიცხება 915 პიონერი, მათში 470 ქალია.

დ. კ.—ლი.

ახალგაზრდათა კომკავშირის ამოცანების შესახებ *)

1. რა მოვალეობას აკისრებს ახალგ. კომკავშირს საბჭოთა კავშირის თანამედროვე საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა?

საკითხი ზოგადათ არის დაყენებული და პასუხიც შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადი ხასიათის. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა აკისრებს კომკავშირს ისეთ მოვალეობას, რათა მან სიტყვით და საქმით ხელი შეუწყოს ყველა ქვეყნების ჩაგრულ კლასების რევოლიუციონურ მოძრაობას და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ბრძოლას სოციალიზმის მშენებლობისათვის, პროლეტარულ სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ კომკავშირს შეუძლია შეასრულოს ეს თავისი ზოგადი ხასიათის ამოცანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მთელ თავის მუშაობაში იხელმძღვანელებს კომუნისტური ინტერნაციონალის და რუსეთის კომუნისტური პარტიის დირექტივებით.

2. როგორი ამოცანები სდგას კომკავშირის წინაშე ლიკვიდატორობის (სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივების დაკარგვა), ნაციონალიზმის (საერთაშორისო რევოლიუციონურ პერსპექტივის დაკარგვა) და პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტების საშიშროებასთან დაკავშირებით, ე. ი. იმ საშიშროებასთან დაკავშირებით, რომელიც აღნუსხული იყო ბროშიურაში: „კითხვები და პასუხები“?

მოკლეთ რომ ვთქვათ, კომკავშირის ამოცანები მდგომარეობენ იმაში, რათა აღვზარდოთ ჩვენი მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა ლენინიზმის თანახმად. რას ნიშნავს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის აღზრდა ლენინიზმის თანახმათ? ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა: შთავუნერგოთ მათ შეგნებაში, რომ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება ჩვენ ქვეყანაში შესაძლებელია და აუცილებელი. მეორე, ეს ნიშნავს: განვამტკიცოთ მასში რწმენა, რომ ჩვენი მუშური სახელმწიფო არის საერთაშორისო პროლეტარიატის პირმშო შვილი, რომ იგი არის ყველა ქვეყნებში რევოლიუციის განვითარების ბაზა, რომ ჩვენი რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება არის საერთაშორისო პროლეტარიატის საქმე. მესამე, ეს ნიშნავს: აღვზარდოთ ახალგაზრდობა ისე, რათა იგი ნდობით იყოს გამსჭვალული რუსეთის კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობისადმი. უნდა შეიქმნან კომკავშირში ისეთი კადრები და ისეთი აქტივი, რომლებიც აღზრდიან ამ ახალგაზრდობას სწორედ ამ მიმართულებით.

კომკავშირელები ეწევიან მუშაობას მშენებლობის ყველა დარგში, მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობაში, კოოპერაციაში, საბჭოებში, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში და სხვ. საჭიროა, რათა თვითეულმა კომკავშირელმა-აქტივისტმა დაუკავშიროს თავისი ყოველდღიური მუშაობა მშენებლობის ყველა დარგში სოციალისტურ საზოგადოების შენების პერსპექტივას. საჭიროა, რათა იგი ახერხებდეს ყოველდღიურ მუშაობას ამ პერსპექტივის განხორციელების მიმართულებით.

კომკავშირელები აწარმოებენ მუშაობას სხვადასხვა ეროვნებათა მუშებსა და გლეხებს შორის. თვით კომკავშირი წარმოადგენს თავისებურ ინტერნაციონალს. ამასთანავე მნიშვნელობა აქვს არა მარტო კომკავშირის ეროვნულ შემადგენლობას, არამედ იმ ფაქტსაც, რომ კომკავშირი უშუალოდ დაკავშირებულია რუსეთის კომპარტიასთან, ~~რომელიც~~ წარმოადგენს ~~მსოფლიო პროლეტარულ ინტერნაციონალის~~ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რაზმს. ინტერნაციონალიზმი წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლითაც ისჭვალება კომკავშირის მუშაობა. ამაშია მისი ძალა. ამაშია მისი ძლიერება. საჭიროა, რათა ინტერნაციონალიზმის სულით იქნას გაჟღენთილი კომკავშირი. საჭიროა, რათა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის ბრძოლის გამარჯვება და დამარცხება კომკავშირელების შეგნებაში უკავშირდებოდეს საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის წარმატებას და დამარცხებას. საჭიროა, რათა ჩვენ რევოლიუციის კომკავშირელები უცქეროდენ არა როგორც თვით მიზანს, არამედ როგორც საშუალებას და იარაღს ყველა ქვეყნებში პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

კომკავშირი ფორმალურად არა პარტიული ორგანიზაციაა. მაგრამ ამასთანავე იგი არის კომუნისტური ორგანიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს ფორმალურად მუშათა და გლეხთა არაპარტიულ ორგანიზაციას, მაგრამ ამასთანავე უნდა მუშაობდეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენი პარტიისადმი ახალგაზრდობის უზრუნველყოფა, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა კომკავშირში,—ასეთია ამოცანა. კომკავშირელს უნდა ახსოვდეს, რომ პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა არის მთავარი და მნიშვნელოვანი მომენტი კომკავშირის მთელ მუშაობაში. კომკავშირელს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირს არ შეუძლია შეასრულოს პროლეტარიატის დიქტატურის და კომუნიზმის მიხედვით მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის აღზრდის უმთავრესი ამოცანა.

3. როგორ უნდა დავაყენოთ ამჟამად საკითხი კომკავშირის ზრდის შესახებ: საჭიროა თუ არა განვაგრძოთ ჩვენს რიგებში მთელი მუშათა, დაქირავებულ მუშების და საშუალო შეძლების გლეხთა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის თავის მოყრა, თუ საჭიროა უმთავრესი ყურადღება მიექცეს კავშირში უკვე გაერთიანებულ ახალგაზრდათა მასების განმტკიცებას და აღზრდას?

არ შეიძლება თქმა: ან ერთი ან მეორე. საჭიროა ერთიც და მეორეც. უნდა მივიზიდოთ კომკავშირში შეძლებისდაგვარად მთელი მუშათა ახალგაზრდობა და სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა საუკეთესო ელემენტები.

მაგრამ ამასთანავე საჭიროა მთელი ყურადღება მიექცეს კომკავშირის აქტივის მიერ ახალ წევრების აღზრდას. პროლეტარულ კადრის გაძლიერება წარმოადგენს კომკავშირის მნიშვნელოვან მორიგ ამოცანას. ამ ამოცანის გატარება შეადგენს საწინდარს იმისას, რომ კომკავშირი ივლის სწორი გზით. მაგრამ კომკავშირი არ არის მხოლოდ მუშათა ახალგაზრდობის ორგანიზაცია. კომკავშირი არის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ორგანიზაცია. ამიტომ პროლეტარულ კადრის გაძლიერებასთან ერთად უნდა სწარმოებდეს მუშაობა გლეხთა ახალგაზრდობის საუკეთესო ელემენტების მისაზიდავათ პროლეტარულ კადრსა და გლეხურ ნაწილს შორის მტკიცე კავშირის უზრუნველსაყოფად. უამისოთ არ შეიძლება პროლეტარულ კადრის ხელმძღვანელობა გლეხთა ახალგაზრდობისადმი კომკავშირში.

4. რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ზოგიერთი საგუბერნიო კომიტეტები, ემყარებიან რა ქალთა სადელეგატო კრებების მაგალითს, შეუდგენ უპარტიო გლეხთა ახალგაზრდობის სადელეგატო კრებების მოწყობას მუდმივი შემადგენლობით.

ამ კრებების როლი მდგომარეობს კომკავშირის ხელმძღვანელობით გლეხურ, უმთავრესათ საშუალო შეძლების გლეხთა ახალგაზრდობის აქტივის გაერთიანებაში. სწორია თუ არა ასეთი პოზიცია და იფარება თუ არა ამაში საფრთხე, რომ ეს სადელეგატო კრებები შეიძლება გადაგვარდეს ერთგვარ უპარტიო გლეხურ ახალგაზრდობის კავშირებათ, რომლებიც შეიძლება დაუპირდაპირდენ ახალგაზრდობის ჩვენ კავშირს?

ასეთი პოზიცია, ჩემი აზრით, არ არის სწორი. რატომ? აი რატომ.

ჯერ ერთი, აქ იმალება რაღაცნაირი შიში საშუალო გლეხის წინაშე საშუალო გლეხურ ახალგაზრდობისაგან დაშორების სურვილი, მისგან ჩამოცილების ცდა. სწორია ასეთი მისწრაფება? რასაკვირველია, არა. ჩვენ კი არ უნდა დავაშოროთ ჩვენგან საშუალო გლეხური ახალგაზრდობა, არამედ დავაახლოვოთ იგი ჩვენთან, დავაახლოვოთ კომკავშირთან. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება განვამტკიცოთ საშუალო გლეხურ ახალგაზრდობაში ნდობა მუშებისადმი, ნდობა კომკავშირის პროლეტარული კადრებისადმი, ნდობა ჩვენი პარტიისადმი. მეორე ეჭვს გარეშეა, რომ საშუალო გლეხური ახალგაზრდობის განსაკუთრებული სადელეგატო კრებები კომკავშირთან აუცილებლად გადაიქცევიან გლეხობის ყველა ჯგუფთა გამოცოცხლების ეხლანდელ პირობებში საშუალო გლეხური ახალგაზრდობის განსაკუთრებულ კავშირად. ამასთან ერთად ეს განსაკუთრებული კავშირი აუცილებლობის გამო იძულებული იქნება დაუპირისპირდეს ახალგაზრდობის არსებულ კავშირს და მის ხელმძღვანელს რ. კ. პ-ს, ის შეეცდება მიიზიდოს კომკავშირის გლეხური ნაწილი და ამრიგად შექმნის საფრთხეს კომკავშირის ორ კავშირად—მუშური ახალგაზრდობის და გლეხური ახალგაზრდობის კავშირებად დაყოფისას. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ანგარიში არ გაუწიოთ ასეთ საფრთხეს? რასაკვირველია, არ შეგვიძლია არ გაუწიოთ ანგარიში. საჭიროა ჩვენთვის ასეთი გათიშვა განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებში, განსაკუთრებით ჩვენი განვითარების ეხლანდელ პირობებში? რასაკვირველია, არ არის საჭირო. პირიქით, ჩვენ ეხლა გვესაჭიროება არა გამოყოფა, არამედ დაახლოვება გლეხური ახალგაზრდობისა კომკავშირის პროლეტარულ კადრებთან, არა გათიშვა, არამედ მტკიცე კავშირი მათ შორის.

მესამე, არ შეიძლება გამართლებულ იქნეს საშუალო გლეხური ახალგაზრდობის სადელეგატო კავშირების შექმნა მუშა-ქალთა და გლეხქალთა სადელეგატო კრებების არსებობის საბუთად მოყვანით. არ შეიძლება ერთად დავაყენოთ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, რომელსაც აქვს თავისი ცალკე ორგანიზაცია კომკავშირის სახით, და მუშა-ქალები და გლეხ-ქალები, რომელთაც არა აქვთ თავისი საკუთარი ორგანიზაცია, ისევე, როგორც შეუძლებელია აურიოთ საშუალო გლეხური ახალგაზრდობა მუშა-ქალებში, რომლებიც წარმოადგენენ მუშათა კლასის ნაწილს.

საშუალო გლეხური ახალგაზრდობის სადელეგატო კრებების არსებობა-ქმნის საფრთხეს ახალგაზრდათა კავშირისათვის, მაშინ როცა მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებებას არსებობა არავისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან ამ ჟამად მუშა-ქალებს და გლეხ-ქალებს არა აქვთ ახალგაზრდათა კავშირის მზგავსი თავისი განსაკუთრებული მუდმივი ორგანიზაცია.

აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ კომკავშირთან საშუალო გლეხური ახალგაზრდობის სპეციალურ სადელეგატო კრებების შექმნა ზედმეტია.

მე ვფიქრობ, რომ კომკავშირის მეექვსე ყრილობა სწორად მოიქცა, როცა დაკმაყოფილდა წინადადებით, კომკავშირის გარშემო სოფლად ისეთი დამხმარე ორგანიზაციების შექმნის შესახებ, როგორიც არიან თვითგანვითარების წრეები, სასოფლო-სამეურნეო ჯგუფები და სხვ...

5. შეუძლია თუ არა ჩვენს პირობებში კომკავშირის აქტივს შეათავსოს პრაქტიკული მუშაობა მარქსიზმის და ლენინიზმის საფუძვლიანად შესწავლასთან, და რა უნდა აკეთონ ამ მიმართულებით კომკავშირთა ორგანიზაციებმა და ცალკე კომკავშირელებმა?

პირველი, მცირე შენიშვნა მარქსიზმის და ლენინიზმის შესახებ. საკითხის ასე ჩამოყალიბების დროს შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მარქსიზმი ერთია, ხოლო ლენინიზმი მეორე; რომ შეიძლება იყო ლენინელი და არ იყო მარქსისტი. მაგრამ ასეთი წარმოდგენა შემცდარათ უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმი არის ლენინის მოძღვრება არა მარქსიზმის გამოკლებით. ლენინიზმი არის იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლიუციის ეპოქის მარქსიზმი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ლენინიზმი სავსებით შეიცავს ყველაფერს, რაც მოგვცა მარქსმა, პლიუს ის ახალი, რაც შეიტანა ლენინმა მარქსიზმის საგანძურში, და რაც აუცილებლად გამომდინარეობს ყოველივე იმისაგან, რაც მოგვცა მარქსმა (მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, გლეხობის საკითხი, ნაციონალური საკითხი, პარტია, საკითხი რეფორმიზმის სოციალიურ საფუძვლების შესახებ, საკითხი მთავარ გადახრების შესახებ კომუნიზმში და სხვ.). ამიტომ უმჯობესი იქნებოდა ჩამოგვეყალიბებია საკითხი ისე, რომ ლაპარაკი იყოს მარქსიზმზე ან ლენინიზმზე (რაც უმთავრესად ერთი და იგივეა), და არა მარქსიზმზე და ლენინიზმზე.

მეორე, ეჭვს გარეშეა, რომ კომკავშირის აქტივის პრაქტიკული მუშაობის შეუთავსებლად მის თეორეტიულ მომზადებასთან („ლენინიზმის შესწავლა“) ყოვლად შეუძლებელია რაიმე საფუძვლიანი კომუნისტური მუშაობა კომკავშირში. ლენინიზმი არის ყველა ქვეყნის მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის გამოცდილების განზოგადოება. ეს გამოცდილება წარმოადგენს იმ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს, რომელიც გზას უნათებს პრაქტიკოსებს მათ ყოველდღიურ მუშაობაში და რომელიც აძლევს მათ მიმართულებას. პრაქტიკოსებს ვერ ექნებათ ვერც იმედი თავისი მუშაობის, ვერც ამ მუშაობის სისწორის შეგნება, თუ მათ არ შეუთვისებიათ ეს გამოცდილება თუნდაც მინიმალურად. გაუბედავი მუშაობა, გაუბედავი ნაბიჯები,—ეს არის პრაქტიკულ მუშაკების ხვედრი, თუ ისინი არ სწავლობენ ლენინიზმს, თუ ისინი არ ცდილობენ შეითვისონ ლენინიზმი, თუ მათ არ სურთ შეათავსონ თავიანთი პრაქტიკული მუშაობა აუცილებელ თეორეტიულ მომზადებასთან. ამიტომ ლენინიზმის შესწავლა, ლენინური სწავლა, წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ ეხლანდელი კომკავშირის აქტივი იქცეს ნამდვილ ლენინურ აქტივად, რომელსაც შეეძლება აღზარდოს კომკავშირის მრავალმილიონიანი ახალგაზრდობა პროლეტარიატის დიქტატურის და კომუნიზმის საფუძველზე.

მაგრამ შესაძლებელია თეორიის და პრაქტიკის ასეთი შეთავსება ეხლანდელ პირობებში, როცა ასეა დატვირთული კომკავშირის აქტივი? დიახ, შესაძლებელია. ეს ძნელი საქმეა, რასაკვირველია, მაგრამ ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან ეს ასე აუცილებელია, რადგან ამ პირობის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ლენინური აქტივის შექმნა კომკავშირში. ჩვენ ვერ დავემსგავსებით დაღლილ ხალხს, რომლებიც გაურბიან სიძნელეს და ეძებენ ადვილ სამუშაოს. სიძნელენი იმიტომ არსებობენ რომ ვებრძოლოთ მათ და გადავლახოთ ისინი. ბოლშევიკები უსათუოდ დაიღუპებოდენ თავის ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომ მათ არ ესწავლათ დაბრკოლებების გადალახვა. კომკავშირი ვერ იქნებოდა კომკავშირი, რომ მას ეშინოდეს სიძნელეების. დიდი ამოცანა იკისრა კომკავშირის აქტივმა. ამიტომ მან უნდა გამოიჩინოს იმდენი ძალა, რომ გადალახოს ყველა და ყოველგვარი სიძნელენი თავის გზაზე.

დაუზარებელი და გულდასმითი შესწავლა ლენინიზმის,—ასეთია ის გზა, რომელიც უნდა გაიაროს კომკავშირის აქტივმა, თუ მას მართლაც სურს აღზარდოს ახალგაზრდობის მრავალმილიონიანი მასები პროლეტარული რევოლიუციის საფუძველზე.

ი. სტალინი.

---

*) ეს წერილი წარმოადგენს პასუხს, რომელიც გასცა ამხ. სტალინმა „კომსომოლსკაია პრავდა“-ს რედაქციის კითხვებზე.

ეკონომიური ცხოვრება

ნედლეულის ბაზრის მდგომარეობა

თბილისის საფონდო და სავაჭრო ბირჟის ეკონომიურ-სტატისტიკურმა სექციამ გამოიკვლია ნედლეულის ბაზრის მდგომარეობა თბილისში.

ცალკ-ცალკე პროდუქტების ბაზრის მდგომარეობა გამოკვლევის თანახმად ასეთია:

მატყლის ბაზარი.

მატყლის ბაზარზე მდგომარეობა მტკიცეა. მოთხოვნილება მატყლზე როგორც ადგილობრივ, ისე მთელ საბჭოთა კავშირში დიდია. მატყლზე ფასები თანდათან იზრდება. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ბაზარზე მრავალი დამამზადებლები გამოდიან.

თბილისის ბაზარზე უმთავრეს დამამზადებლად ითვლება მეცხვარეთა საზ-ბა „მწყემსი“, რომელიც ამზადებს უმთავრესად თუშურ მატყლს. 1 ფუთი შემოდგომის გაურეცხავი თუშური მატყლი ამჟამად ფასობს 16 მ. 50 კაპ. 17 მანეთამდე.

პარკის ბაზარი

აბრეშუმის პარკის ბაზრის მდგომარეობა მტკიცეა, ემჩნევა ნაწილობრივი ტენდენცია ზრდისაკენ. მოთხოვნილება აბრეშუმის პარკზე დიდია, როგორც უცხოეთში გასატანად, ისე რუსეთის აბრეშუმის მრეწველობისათვის.

ფუთი აბრეშუმის პარკის ფასი ირყევა 80-დან 100 მანეთამდე. ფასის მერყეობა დამოკიდებულია პარკის ხარისხზე და იმაზე, თუ რომელ რაიონშია იგი მოყვანილი.

რძის ნაწარმოების ბაზარი

ამ უკანასკნელ ხანებში რძის ნაწარმოების ფასები ბაზარზე იზრდება. ეს აიხსნება ბაზარზე საქონლის უმნიშვნელო რაოდენობის შემოტანით. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მერძევეთა არტელებში გაერთიანებული რძის მწარმოებლები ძალიან მცირედ და მტკიცე ფასებში უშვებენ თავის პროდუქტებს ბაზარზე.

ამის გამო საგრძნობლად გაიზარდა ფასები, როგორც ყველზე, ისე ერბო-კარაქზე. ამჟამად ფუთი თუშური ყველი იყიდება—18 მანეთამდე, ფუთი დაწნეხილი კარაქის ფასი ავიდა—43—45 მანეთამდე.

ბაზარზე გაჩნდა აგრეთვე ვოლოგდის ერბო, რომელიც თავის ხარისხით ადგილობრივს ვერ შეედრება და იგი ფასობს—42 მანეთად ფუთი.

ტყავეულის ბაზარი

ბაზარზე საპირე და საძირე ტყავების ფასების შორის არა ერთნაირი მდგომარეობაა. ვინაიდან ამ უკანასკნელად საპირე ტყავები შემოაქვთ როგორც უცხოეთიდან, ისე ს. ს. რ. კავშირიდან—მდგომარეობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა—ბაზარი ხრომისა და შევროს ტყავებით უზრუნველყოფილია. მიუხედავად ამისა მოთხოვნილება მაინც დიდია.

რაც შეეხება საძირე, ტყავს იგი ბაზარზე მცირე რაოდენობითაა. ადგილობრივი წარმოება ბაზრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს; საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან საქონლის მოწოდება კი უმნიშვნელოა. ამის გამო ფუთი საძირე ტყავი თავისუფალ ბაზარზე ფასობს 80 მანეთად.

მებამბეთა რაიონების მომარაგება საქონლით

ა-კავკასიის საბამბო კომიტეტში მებამბეთა რაიონების საქონლით მომარაგების შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს: წელს მებამბეთა რაიონებისათვის პურის მიწოდების საქმეში ადგილი ჰქონდა დაგვიანებას. ამის მიზეზი შემდეგია: წელს ს. ს. რ. კავშირის შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ მთავარ საბამბო კომიტეტს დავალებული ჰქონდა 1.800.000 ფუთი პურის შესყიდვა და შემოტანა ა.-კ. მებამბეთათვის, მაგრამ ამავე დროს მას წინადადება ჰქონდა მიცემული, რომ პურის შესყიდვის დროს დაეცვა პრინციპი პურის დამამზადებელთათვის ზიანის არ მიყენებისა.

პურის ბაზრის მდგომარეობის გამოკვლევამ ჩრდილო-კავკასიაში დაამტკიცა, რომ პურის დამამზადებლები ფუთ პურზე თხოულობდენ—1 მ. და 38—40 კაპიკს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩრდილო-კავკასიიდან პურის გატანა ბამბის რაიონებამდე და მისი განაწილება ჯდება—55 კაპიკათ—ფუთი, ცხადია—ბამბის დამამზადებელ ორგანიზაციებს ფუთი პური უნდა შეეტანათ რაიონებში 1 მ. 95 კაპ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით კი პურის გაყიდვა არ შეიძლებოდა—1 მ. და 50 კაპიკზე ძვირად; აქედან გამოდის, რომ ბამბის დამამზადებელ ორგანიზაციებს ფუთ პურზე უნდა ეზარალნათ—45 კაპიკი. ამ ზარალზე კი ბამბის დამამზადებელ ორგანიზაციებს დათანხმება არ შეეძლოთ, რადგანაც იგი წინასწარ გათვალისწინებული არ ყოფილა და მას მოჰყვებოდა ზიანის მიყენება საქმისათვის.

საჭირო შეიქნა მოსკოვში შუამდგომლობა, რასაც შედეგად მოჰყვა 1. და 40 კაპ. დაწესება—ფუთ პურის პირობით ფასად. საკითხის შრომის და თავდაცვის საბჭოში განხილვამდე.

ამ დრომდე, ამ პირობით ფასის მიხედვით დადებულ იქნა ხელშეკრულება 1.800,000 ფუთ პურზე, რომელთაგან 250 ათასი ფუთი—გზაშია და მოდის, ხოლო ნაწილი უკვე მიღებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ პური, ხარისხით ძალიან ცუდია: 85 პროცენტით იგი მტვერიანია, და დაავადებულია თავთავის სენით და სხვა. ამის გამო მიმართეს თხოვნით მოსკოვს, ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

რაც შეეხება რაიონების ფართლეულით მომარაგებას, იმედია, რომ შესაძლებელი გახდება ამ საქმის უმტკივნეულოთ მოგვარება.

ნაწლავების მრეწველობის მოწესრიგება

ა/კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში განხილულ იქნა საკითხი, ა/კავკასიაში ნაწლავების მრეწველობის მოწესრიგების შესახებ, რომელზეც გამოტანილია შემდეგი დადგენილება:

ნაწლავების მრეწველობის მოწესრიგება და მისი უცხოეთში გატანის საქმე გადაეცეს საზ-ბა „ზაკუტილსირიო“-ს.

ა/კ. საგეგმო კომისია წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო ორგანიზაციებს ნაწლავები გადასამუშავებლად გადასცენ „ზაკუტილსირიო“-ს, რისთვისაც მათ უნდა დასდონ ამ უკანასკნელთან გენერალური ხელშეკრულება.

საგეგმო კომისია უარს არ ჰყოფს კოოპერაციის მიერ ნაწლავების დამზადებას და გადამუშავებას ძირითად ორგანიზაციების საშუალებით, თუ იგი შეეთანხმება დაწესებულ გადამუშავების ტეხნიკას.

ამისდამიხედვით საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა ა/კ. შინავაჭრობის კომისარიატს, რათა სასწრაფოთ მოაგვაროს ნაწლავების დამზადების საქმე ა/კავკასიაში, და ამასთანავე გამოიმუშაოს სადირექტივო ფასები, რომლის საფუძველზეც „ზაკუტილსირიო“ მ უნდა აწარმოოს თავისი ანგარიშები ნაწლავების ჩამბარებლებთან.

ამასთანავე წინადადება აქვს მიცემული „ზაკუტილსირიო“-ს წარადგინოს საგეგმო კომისიაში 1925—26 წლის მუშაობის და გადამუშავების ტეხნიკის გაუმჯობესების გეგმა.

ეკონომიური ქრონიკა

— **პირნახული სპირტისა და ლუდისათვის.** მთელ საქართველოში მიმდინარეობს სიმინდის ფართო დამზადება გომის სპირტის ქარხნისათვის.

ქარხანა დაამზადებს 4.000.000 გრადუს პირნახულის სპირტს, რისთვისაც საჭიროა 100 ვაგონი სიმინდი, ამ რაოდენობიდან უკვე შესყიდულია 40 ვაგონი:

— ლუდის ქარხნისათვის სახღვინტრესტმა შეისყიდა 20 ვაგონი ქერი, რომელთაგან 10 ვაგონი უკვე მიიღო.

— **ახალი ქარხანა.** სახღვინტრესტი თბილისში აწყობს ქარხანას კონიაკის დასამზადებელ სპირტის გამოსახდელად.

— **კონიაკის დასამზადებელ სპირტის მიწოდება.** სახღვინტრესტმა დასდო ხელშეკრულება „უნიონ“-თან—300.000 გრადუსი კონიაკის დასამზადებელ სპირტის მისაწოდებლად.

— **სპირტის ნაწარმოები—უკრაინას.** სახღვინტრესტმა დასდო გენერალური ხელშეკრულება უკრაინის ღვინის მმართველობასთან ერთი წლის განმავლობაში სპირტის ნაწარმოების მისაწოდებლად.

— **ფეხსაცმელები ა/კავკასიისათვის.** „სევზაპტორგ“-ს განზრახვა აქვს შემოიტანოს ამიერ-კავკასიაში „სკოროხოდი“-ს ფირმის 100.000 წყვილი ფეხსაცმელი.

— **ფართალი კოოპერაციას.** საფეიქრო სინდიკატის და „ზაკსოიუზ“-ის შორის დადებულ ხელშეკრულების მიხედვით, ოქტომბრის ნორმის ანგარიშში, ცეკავშირი მიიღებს 7-ნახევარ ვაგონ ფართალს, რომელსაც გაანაწილებს რაიონებზე.

ბამბის დამზადება ამიერ-კავკასიაში

საქართველო

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის რწმუნებულმა ქუთაისის რაიონში სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების საშუალებით მებამბეებს დაურიგა ავანსები და ხელშეკრულება დასდო მათთან ბამბის დათესვისა და ჩაბარების შესახებ.

ამ ჟამად გამოირკვა, რომ ავანსი მიიღო 1.305 ცალკე მეურნეობამ 960 დესეტინის დასათესავათ, მაგრამ ამ რაოდენობიდან ფაქტიურათ დათესილია მხოლოდ 432 დესეტინა. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ბამბის ნათესების ნაწილი დაიღუპა გაზაფხულზე გვალვების გამო, ასე რომ ბოლოს და ბოლოს, მოსავლის შეგროვება დაიწყო მხოლოდ 421 დესეტინაზე.

როგორც ზემოაღნიშნულ ციფრებიდან სჩანს, ყველა მებამბეებს არ გამოუყენებიათ სრულიად მიღებული ავანსები ბამბის დასათესავათ, ზოგიერთებმა კი სრულებით არ დათესეს ბამბა, საბამბო ავანსი კი გამოიყენეს მეურნეობის და ოჯახის სხვა საჭიროებისათვის. ვინაიდან გაცემული ავანსები დაუფარავი რჩება და მრავალ გლეხებზე ითვლება ვალი, მოსალოდნელია მთელი რიგი წვრილი პროცესები ამ ვალების გასანაღდებლად. ქუთაისის ბამბის ქარხნის მოწყობა დამთავრდება ამ ბოლო თვის რიცხვებში. ეს ქარხანა დღეღამის განმავლობაში გადაამუშავებს 1500 ფ. ბამბას.

სომხეთი

27 ოქტომბრამდე ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის მიერ სომხეთში შესყიდული იქნა 3.000 ტონა ბამბა. ბამბის მიტანა მისაღებ პუნქტებში შეუწყვეტლივ სწარმოებს.

აზერბეიჯანი

სეზონის დაწყებიდან 20 ოქტომბრამდე განჯის ბამბის ქარხანამ მიიღო 278.381 კილო გადარჩეული ნედლი ბამბა. ამას გარდა მიღებულია კიდევ 1.576.436 კილო სხვადასხვა ხარისხის ბამბა. გაწმენდილია 768.916 კილო. მოსკოვში გაიგზავნა 179.235 კილო. მებამბე-გლეხები ჩაბარებულ ბამბაში მოითხოვენ საცვლებს, მანუფაქტურას, თბილ ტანისამოსს, ფქვილს და ხორბალს. ეს პროდუქტები ქარხანას არ აქვს.

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის აზერბეიჯანის განყოფილებამ სექტემბერში თავისი დუქნების საშუალებით მებამბეებს დაურიგა 122.500 მანეთის მანუფაქტურა, 96.000 მანეთის ხორბალი და ფქვილი და 3.210 მანეთის სხვაგვარი საქონელი.

თამბაქოს დამზადება

თამბაქოს დამზადების შესახებ ჩვენს თანამშრომელს წარმოკავშირში აცნობეს შემდეგი:

— წარმოკავშირის სისტემაში შედის 14 ძირითადი ამხანაგობა, რომელნიც სთესავენ და ამზადებენ თამბაქოს.

წელს საქართველოში დათესილი იყო 2000 დესეტინა თამბაქო. აქედან 1,301 დესეტინა დასთესეს ამხანაგობებმა, დანარჩენი სივრცე კი დათესილია აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტის და შეძლებული პლანტატორების მიერ. თამბაქოს საერთო მოსავალი მთელს საქართველოში უნდა გამოიხატოს 120,000 ფუთში. წრევანდელი თამბაქო ზედმიწევნით კარგი ღირსებისაა.

თამბაქოს დამზადებისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის და წარმოკავშირის მიერ გაცემული იყო ავანსები: კახეთში—(ლაგოდეხის რაიონი) ერთ დესეტინაზე 400 მანეთი, ქიზიყს და გურიას მიეცა—350 მანეთი და სამეგრელოს—500 მანეთი.

მოყვანილი თამბაქო გლეხებმა უნდა ჩააბარონ თავთავიანთ ამხანაგობებს მტკიცე ფასებში; თამბაქოს რეალიზაციას კი აწარმოებს წარმოკავშირი.

რაც შეეხება ფასებს, უნდა ითქვას, რომ შარშან და შარშანწინ თამბაქოს ფასები ძალიან დაწეული იყო და მისი რეალიზაცია გლეხების საზარალოთ ხდებოდა. წელს კი, როცა მრეწველობამ გაიმაგრა წელი და თამბაქოს გადამუშავების გეგმაც გადიდდა, წარმოკავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წინაშე, რათა გამომუშავებული ყოფილიყო მტკიცე ან და სადირექტივო ფასები. ამასვე მოითხოვდენ გლეხებიც.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებული იქნა სადირექტივო ფასი—18 მანეთის რაოდენობით ფუთზე.

უკვე დამზადებული თამბაქოდან წარმოკავშირის მიერ საქართველოს თამბაქოს ტრესტზე გაყიდულია 26.000 ფუთი თამბაქო.

მეთამბაქოობის განვითარების მიზნით, წარმოკავშირს განზრახული აქვს გააფართოვოს სახმობი ფარდულების და სათბურების ქსელი. ამას გარდა საზღვარ-გარეთიდან გამოწერილია 10,000 ფუთი ახალი თესლი, რომელიც იანვრიდან დაურიგდება ამხანაგობებს და მათი საშუალებით გლეხებს.

მ—ნი.

სამრეწველო საქონლის მიწოდებისათვის

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს მოაწყოს სოფლად წინასწარი ხელისმოწერა სამრეწველო საქონელზე. ამ მიზნით შინა-ვაჭრობის სახ. კომატი ამ მოკლე ხანში იწვევს საგანგებო თათბირს. თათბირზე მოწვეულნი იქნებიან ცენტრალური სასოფლო სამეურნეო ბანკის და იმ სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელთაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შემოაქვთ სასოფლო სამეურნეო იარაღები, საამშენებლო მასალა: რკინეულობა, სახურავი თუნუქი, სათანჯრე მინები, საერთოდ ისეთი სამრეწველო საქონელი, რომელსაც ჩვენებური გლეხი საჭიროებს ზამთრის დასასრულს და მთელი საგაზაფხულო სეზონის განმავლობაში.

თათბირმა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით უნდა გამოიმუშაოს გეგმა გლეხობაში სამრეწველო საქონელზე ხელისმოწერის ჩასატარებლად. ძირითადი საკითხები, რომელიც თათბირმა თავის დღის წესრიგში უნდა დასვას და სათანადოთ გადაწყვიტოს, არის შემდეგი: პირველ ყოვლისა დამუშავებული უნდა იქნეს საკითხი—სამრეწველო საქონელზე სოფლად ხელისმოწერის ჩასატარებელი კამპანიის ხელმძღვანელი დაწესებულებების შერჩევის შესახებ, შემდეგ მოგვარებული უნდა იქნეს საკითხი გლეხების მიერ შეკვეთილი სამრეწველო საქონლის სხვადასხვა სამრეწველოს და სავაჭრო დაწესებულებებში დაკვეთის და შეძენის შესახებ, საქონლის ასორტიმენტის შერჩევის და ფასების დაწესების შესახებ.

გადასახადები სოფლად

საგადასახადო პოლიტიკა სოფლად

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ეკონომიური განყოფილება შეუდგა სოფლად წარმოებულ საგადასახადო პოლიტიკის შესახებ მასალების შეგროვების და მათ დამუშავებას. განყოფილებამ უკვე დაიწყო ძირითადი საგადასახადო აპარატის გამოკვლევა. გარდა ამ აპარატისა გამოკვლევა შეეხება საგადასახადო ობიექტების აღრიცხვის, გადასახადების გაწერის, შედგენის და საგადასახადო ფურცლების ადგილებზე დაგზავნის საქმეს. ამასთანავე გამოკვლეული იქნება გადასახადების შეტანის საქმე, გადასახადებზე შემოსული საჩივრების და მისი გადაწყვეტის საკითხები.

საგადასახადო პოლიტიკაში სოფლად მთავარი ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. და ამ გამოკვლევამ უნდა გამოაშკარავოს ყველა ის დოკუმენტები და ნაკლულოვანებანი, რომელნიც თან სდევს სასოფლო-სამეურნეო გადასახადების აკრეფის პრაქტიკას საქართველოში და ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში.

გამოკვლევა დიდ მასალებს მისცემს აგრეთვე ფინანსთა სახ. კომის საგადასახადო ორგანოებს გამოიმუშაონ ისეთი ღონისძიებები, რომელიც გააუმჯობესებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემას მომავალ წლისათვის და რომელნიც შეეფერებიან ჩვენი სოფლის თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობას.

პარასკევს, 6 ნოემბერს, საღამოს 6 ს. სახელმწიფო ოპერის შენობაში
გაიმართება თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების
საბჭოს საზეიმო სხდომა
პარტიულ, პროფორგანიზაციების (ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების) და წითელი არმიის წარმომადგენელთა თანდასწრებით ოქტომბრის რევოლიუციის რვა წლის თავის აღსანიშნავად. ოქტომბრის რევოლიუციის და ჩვენი მიღწევების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. შ. ელიავა.
სხდომის შემდეგ დამსწრეთათვის გაიმართება კონცერტი.
თბილისის საბჭოს თავმჯდომარე—ლ. სუხიშვილი.

კოოპერაცია

სას.-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობა

კოოპერატიული მშენებლობა ბოლო დროს მიმდინარეობდა ორი მიმართულებით—სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო. შემდეგ აღმოცენდა საკრედიტო კოოპერატივები. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მოხდა სას.-სამ. და საკრედიტო კოოპერაციის გაერთიანება.

ორიოდე თვის წინად საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის „სელსკოსოიუზი“-ს ყრილობაზე ამხ. რიკოვმა ხაზგასმით განაცხადა: „სოფლად უნდა იყოს მხოლოდ ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივიო“, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლად, გარდა სამომხმარებლო კოოპერატივისა, არსებობს ერთი მთლიანი სას.-სამ.-საკრედიტო კოოპერატივი.

როგორია მდგომარეობა რუსეთში? რუსეთში არსებობს მთლიანი სას.-სამ.-საკრედიტო ამხანაგობები უნივერსალური ტიპის, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას ყოველ დარგში. ერთი კოოპერატივი ამზადებს, მაგ., ხორბლეულებას, კანაფს, კარტოფილს, ღვინოს, ხილს და სხვა. ეს ნაწარმოები შემდეგ ხელშეკრულებით მიეყიდება სათანადო კოოპერატიულ ცენტრებს, რომელნიც გამოყოფილია სპეციალურათ ამა თუ იმ მეურნეობაზე საზრუნველათ. ასეთებია „პლოდოვინსოიუზი“, „ლნოცენტრი“, „სოიუზკარტოფელი“ და სხვა. აღნიშნული ცენტრალური კავშირები აწარმოებენ სესხის გაცემას, ნაწარმოების დამზადებას ამ მთლიანი სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით, შემდეგ აწყობენ ექსპორტს, გასაღებას, გადამუშავებას და სხვ.

ჩვენშიც განვითარებულია მეურნეობის ესა თუ ის დარგი და კოოპერატიულადაც შეკავშირებული, მაგ., მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა, მეთამბაქოობა, მებამბეობა, მესაქონლეობა, მერძეობა და სხვა. ჩვენშიაც გამოიყო ჯერ-ჯერობით სამი ცენტრი: ერთი მეღვინეთა „საქართველოს ღვინის“ სახელწოდებით, მეორე მეხილე-მებოსტნეთა — „ხილ-ბოსტანკავშირი“-ს სახელწოდებით და მესამე კი შედარებით უფრო დიდი ხანია რაც შექმნილია—ამხ-ბა „აბრეშუმი“. ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ პირველ ორ ორგანიზაციას შეექმნათ მხოლოდ ერთი ცენტრი, როგორც რუსეთშია „პლოდოვინსოიუზი“. თუ რუსეთის ვეებერთელა ტერიტორიაზე ვერ შეიქმნა ცალკე ცენტრები ღვინისთვის და ხილისთვის, აშკარაა, ჩვენში მათი ცალკე არსებობა არ არის სასარგებლო. კერძოდ მეხილეობა-მებოსტნეობას ეს ძალიან გაუჭირდება.

ეხლა ისმება მთავარი კითხვა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს: შეიძლება და საჭიროა თუ არა აღნიშნულ გამოყოფილ ცენტრებს ჰქონდეთ თავისი პირველსაფეხურის სპეციალური კოოპერატივები და როგორ მდგომარეობას შექმნის ეს სოფლათ?

მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოს რომელიმე კუთხე, თუ გნებავთ—კახეთი. რამდენი კოოპერატივი უნდა არსებობდეს კახეთის ერთ სოფელში, თუ ყოველი მეურნეობისათვის ცალკე კოოპერატივს დავაარსებთ, თავისთავათ ცხადია: ერთი სამომხმარებლო, ერთი სას.-სამ.-საკრედიტო, ერთი მეღვინეთა, ერთი მეაბრეშუმეთა, ერთი მეთამბაქოეთა, ერთი მებამბეთა და სხვა. დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობა შეიქმნება საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებშიც.

მიზანშეწონილია თუ არა ეს? აშკარაა, რომ არა. ასეთი მშენებლობა სავსებით ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს და არ შეეფერება ჩვენს სინამდვილეს. შეუძლებელია ერთ სოფელში 5—6 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის არსებობა. ამას ვერ გაამართლებენ ვერავითარი პირობები. სოფლათ უნდა იყოს ერთი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატივი,- რომელიც აწარმოებს მუშაობას ამ რაიონის ყოველ მეურნეობაში რაც შეეხება სპეციალური კოოპერატივების შექმნას, უმაღლესმა პარტორგანოებმა ნათლად სთქვეს, ამ საკითხს მოეპყარით ფრთხილათ. ასეთი კოოპერატივების დაარსება შეიძლება მაშინ, როდესაც ჩვენი სოფელი მოღონიერდება და ესა თუ ის მეურნეობა სავსებით აღსდგება. ჯერ კი გლეხობას არ შეუძლია ამდენი კოოპერატივის შენახვა ერთ რაიონში.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ თითქო უკვე შექმნილი ცენტრების წინააღმდეგ ვილაშქრებდეთ. სრულიათ არა. ცენტრებმა უნდა იარსებონ. ჩვენ ვფიქრობთ კიდევ სხვა ცენტრების გამოყოფას. მაგრამ როგორც რუსეთში, ცენტრები ჩვენშიც უნდა ემყარებოდენ სოფლათ მთლიანი სას.-სამ.-საკრედიტო ამხანაგობებს. თუ როგორ მოხერხდება ეს ტეხნიკურად, ამისათვის გვაქვს რუსეთის გამოცდილება და შეგვიძლია ის გამოვიყენოთ. აშკარაა, რომ, მაგ. აბრეშუმის 3 თვიან ოპერაციისითვის არ შეიქმნება პირველსაფეხურის კოოპერატივები—მთელი წლის შტატით და ხარჯებით, ეს არც საჭიროა და არც მიზანშეწონილი. ამხ. რიკოვის სიტყვები ცხოვრებაში უნდა განვახორციელოთ: „სოფელში უნდა იყოს მხოლოდ ერთი სას.-სამ.-საკრედიტო კოოპერატივი“.

ვლ. ცაგარელი.

კოოპერატიული ქრონიკა

— **ნავთის მიწოდება.** 1925 წლის განმავლობაში ცეკავშირმა პროვინციებს მიაწოდა 320 ათასი ფუთი ნავთი.

— **წიგნები კოოპერაციის შესახებ.** ცეკავშირმა გამოსცა კოოპერაციაზე შემდეგი წიგნები: ა. ერქომაიშვილი—„კოოპერაციის თეორია და ისტორია“ და ალ. კახელიძე—„როგორ უნდა შესდგეს მომხ. კოოპერაციის სავაჭრო-საფინანსო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

— **ახალი კოოპერატივი.** ცეკავშირმა კიწიას რაიონში (სენაკის მაზრა) დაარსა ახალი კოოპერატივი.

— **კოოპერატივების გაერთიანება.** ცეკავშირმა მიზანშეწონილად სცნო გააერთიანოს ზემო-ხანდაკის, ხოვლეს და ყარალაჯის (გორის მაზრა) კოოპერატივები.

— **კოოპერატიული კავშირების** საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირზე მონაწილეობის მისაღებად ცეკავშირმა მოსკოვში გაგზავნა ამხ. კახელაკი.

საქონლის ჭირი და მასთან ბრძოლა

უკანასკნელი სასოფლო-სამეურნეო აღწერის დროს საქართველოში აღრიცხულია 2.500.000 სული საქონელი, რომელიც შეფასებულია 100 მილიონ მანეთად. მიწათმოქმედების სახ. კომის. საქართველოს სოფლებში დაგზავნილი ჰყავს 40-მდე საქონლის ექიმი-ბეითალი.

თვითეულ ბეითალზე მოდის 70 ათასი სული საქონელი. ვეტერინალურ დახმარებაზე საშუალოდ იხარჯება წლის განმავლობაში 200.000 მანეთი.

1924—25 წლის განმავლობაში სავეტერინარო განყოფილებამ გასინჯა და შეამოწმა 202.576 სული სამრეწველო საქონლის ჯანმრთელობა, ამავე დროს შემოწმებული იქნა მესაქონლეობის ნედლი პროდუქტები: 173.250 ცალი ნედლი ტყავი, 98 ათასი ფუთი მატყლი და ძაგარი. სასაკლაოებზე და მიკროსკოპიულ სადგურებზე გასინჯულ იქნა 226,611 სული საქონელი.

წელს საქონლის ჭირი საქართველოში შემოიჭრა აზერბეიჯანიდან, საიდანაც ჭირი გავრცელდა საქართველოს საზაფხულო საძოვრებზე იმ დროს, როცა ჯოგი ბრუნდებოდა უკან სოფლებში. ადგილობრივმა აღმასკომებმა ვერ მიიღეს თავის დროზე საკარანტინო ღონისძიებანი. სავეტერინარო განყოფილებამ მიმდინარე წელს ჭირთან საბრძოლველად მოაწყო 116 პუნქტი, რომელთაც აუცრეს ჭირის საწინააღმდეგო შრატით 59.515 სულს.

აცრის შემდეგ ჭირმა დახოცა მხოლოდ 585 სული საქონელი ანუ მთელი რაოდენობის 0,9 პროც.

მიმდინარე წელს დასავლეთ საქართველოში თავი იჩინა აგრეთვე ციმბირის წყლულმა. მოწყობილ იქნა სულ 225 სავეტერინარო პუნქტი. აცრამდე დაავადმყოფდა 895 სული, გაწყდა 850. პუნქტებმა აუცრეს სულ 52.574 სულ საქონელს. აცრის შემდეგ მოკვდა მხოლოდ 5 სული. წყლული გადაედვა აგრეთვე 540 გლეხს, რომელნიც აცრის საშუალებით განკურნებულ იქნენ.

ჭირმა და ციმბირის წყლულმა მთელს საქართველოში იმსხვერპლა 4.760 სული საქონელი. საბეითლო პუნქტები რომ არ ყოფილიყო, მსხვერპლი გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა.

სავეტერინარო განყოფილებას ეპიზოოტიასთან საბრძოლველად აქვს ლაბორატორიები და სადგურები. ტაბახმელას ჭირის საწინააღმდეგო სადგურმა წელს დაამზადა 5.839 ლიტრი შრატი, 1925—26 წლისათვის განზრახულია 20 ათასი ლიტრი შრატის დამზადება. ამ ღონისძიებათა გარდა სავეტ. განყოფილებამ სოფლებში მოაწყო საქონლის ამბულატორული დახმარება. ამ ჟამად საქართველოში არსებობს 19 ამბულატორია და 3 სამკურნალო.

ლომის კარელი

გურულებს, განსაკუთრებით სურებლებს, კარგათ ახსოვთ ლომის კარელი.

ეს იყო მოვერცხლილი ხატი, საიდანაც მკაცრი გამომეტყველებით გამოიყურებოდა ვინმე შუა ხნის კაცი. არავინ არ იცოდა ამ „წმინდანის“ ვინაობა, არც ერთ საღვთო და საერო წიგნში არ იყო აწერილი მისი ცხოვრება და „სასწაულთმოქმედება“. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ეს ხატი შიშის ზარს სცემდა გლეხკაცობას.

ბევრი ცოდვები მიუძღოდა ამ „წმინდანს“ გლეხკაცობის წინაშე. მისი საშუალებით სამღვდელოებას და მეფის პოლიციას შიშით ყავდათ მოცული გურია-სამეგრელო და იმერეთი.

შესაწირავი ხომ მისდიოდა და მისდიოდა ლომის-კარელის ეკლესიას სურებში, მაგრამ თუ სადმე რამე მთავრობის და სასულიერო წოდების საწინააღმდეგო გჭაჭანდებოდა, იმავ წამს დასძრავდენ ადგილიდან ლომის კარელს და „ფიცით გაზერავდენ“ გლეხკაცობას, რომ თუ ვინმემ რამე იცოდა, რომელიმე მთავრობის და სამღვდელოების მოწინააღმდეგე პირზე—განეცხადებიათ ამ ხატის წინაშე, თორემ ის სასტიკათ დასჯილი იქნებოდა სიცრუისთვის „ყოვლათ შემძლებელ“ ხატის მიერ.

მართლაც და იყო შემთხვევა რომელიმე ცრუმორწმუნეს ჭკუიდან შეშლისა ამ ხატზე დაფიცების შემდეგ, თუნდაც მას ყველაფერი გულახდილათ აღიარებინა მის წინაშე.

ეს ეხლა მისახვედრი და გასაგებია, ოთხწლედის მოწაფისთვისაც კი, მაგრამ ოცი-ოცდა ხუთი წლის წინათ სხვა გონებრივი განვითარების დონეზე იდგა ხალხი.

ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის წინა ხანებში მთავრობამ და სამღვდელოებამ ზედმეტათ აამუშავეს ეს ხატი, ასე რომ გურიის პარტიული კომიტეტი იძულებული შეიქნა „დაენიშნა ტერორი“ მის წინააღმდეგ. ის მოტაცებული და ცეცხლზე გადამწვარი იქნა, რამდენიმე ახალგაზრდების მიერ. არც ამის მომქმედნი შეშლილან ჭკუიდან და არც სხვა ვინმე

ამის შემდეგ მთავრობას და სამღვდელოებას კი მოაკლდა ხალხის დასაბრმავებელი და დამთურგვნელი იარაღი.

მას შემდეგ თითქმის დავიწყებას იყო მიცემული ლომის კარელის ხატის ამბავი. მაგრამ ერთ მოხერხებულ სურებელს არ დავიწყებია ის. ეს გახლავთ ნოე რამიშვილი, რომელსაც მოუწადინებია ლომის კარელის „რეგისტრაცია“, მაგრამ ცოტაოდენ განსხვავებით, ვიდრე წინათ იყო.

ლომის კარელის მაგიერ მას გამოუყენებია „თეთრი გიორგი“, რომლის „საქმენი საგმირონი“, აგრეთვე არც ერთ სამღვთო და საერო ისტორიაში არ არის აწერილი. იქ ცნობილია მხოლოდ „წმინდა გიორგი“.

მაგრამ „სოციალისტ“ ნოე რამიშვილს არ შეეფერებოდა წმინდანთან კავშირის გაბმა და ამიტომ უმჯობინებია „წმინდას“ „თეთრით“ შეცვლა.

თუ ლომის კარელის გარშემო რამდენიმე სასულიერო პირები ითბობდენ ხელს, თეთრი გიორგის გარშემო მთელი ლეგიონი შემდგარა და ირჩენენ თავს ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობების ნასუფრალით, რადგან საქართველოდან გატანილი განძეულობა უკვე გათავებულია.

მაგრამ, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ეს არის ის გარემოება, რომ თეთრ გიორგის თავისი სასწაულთ-მოქმედება გამოუყენებია თავისივე ამალის წინააღმდეგ და ყველა ისინი შეუშლია ჭკუიდან.

პირველად ყოვლისა, ამ ჭკუა შეშლილებს დაუწყიათ ჟურნალის გამოცემა, რომლისათვისაც სახელად უწოდებიათ „ბრძოლა“. მათ სრულებით დავიწყებიათ, რომ „ბრძოლა“ ბოლშევიკების არალეგალური ჟურნალი იყო საქართველოში დღიდან მათი მიმართულების ჩასახვისა და არას დროს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია მენშევიზმთან.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი; თუ კი შეიძლება ლომის კარელის ხსოვნის წართმევა სამღვდელოებისათვის და თეთრი გიორგის სახელით მისი მოთვისება, რატომ არ შეიძლება ბოლშევიკების ყოფილი ორგანოს სახელის მითვისებაც!

მაგრამ ღირსშესანიშნავია თვით ამ ჟურნალის (№ 2) შინაარსი, რომლის ზოგი ამონაწერი მოგვყავს აქვე და რომლებიც ცხადჰყოფენ ჟურნალის სულის ჩამდგმელების „ზემო სართულის“ მდგომარეობას.

—„პირველათ ახლა დაისვა მიმდინარე პოლიტიკის დღის წესრიგში ნათლათ და საჯაროთ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ევროპის ბლოკის შექმნის საკითხი“.

წერილი პირველი.

ამას ჰქვია სწორეთ—ყველაფრის დაწყება და არაფრის შეთვისება.

რვა წელიწადია ბოლშევიკური რუსეთი მის წინააღმდეგ შექმნილ ევროპის ბლოკს ებრძვის ნათლად და საჯაროთ. თეთრი გიორგის ლეგიონერებს კი მხოლოთ ეხლა შეუმჩნევიათ ეს.

საფიქრებელია,—როდის იყვენ ისინი ჭკუასთან უფრო მწყრალათ—გასულ რვა წლის განმავლობაში, თუ ეხლა.

წერილი თავდება თქმულებით:

—„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

სრული ჭეშმარიტებაა: თეთრი გიორგის სასწაულთ მოქმედების შემყურეთ თუ თეთრი ანთება გაუჩნდებათ თავში, ეს არავისთვის გასაკვირველი არ უნდა იქნეს ელექტრონის, რადიოს და აეროპლანის ხანაში.

რომ თეთრ გიორგის ასეთი თეთრი ანთება დაუნთია ლეგიონერების თავში,—ეს გასაგებია ასე თუ ისე, მარა რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ამ ლეგიონის არა წევრზე, საფრანგეთის სოციალისტ პიერ რენოდელზედაც გამოუჩენია თავისი სასწაულთ-მოქმედება ამ თეთრ ტაიჭზე მჯდომ მხედარს.

მეორე წერილის ერთ-ერთ აბზაცში აი რა მარგალიტებს ყაჭავს ეს ვაჟბატონი:

—„დღეს-დღეობით არის ერთი ინტერნაციონალური ძალა, რომელიც აქეთკენ (მშვიდობიანობისკენ) მიისწრაფვის, თუმცა ჯერ კიდევ დიდის გაჭირვებით, რადგან მრავალ დაბრკოლებებით და წინააღმდეგობებით არის გარემოცული, რაშიაც მარტო თვითონ არ არის პასუხისმგებელი—ესაა ნაციათა ლიგა“... „და ჩვენი ვალია ის ვამაგროთ, ვაძლიეროთ“.

ამფერუმ სოციალისტო, პიერ რენოდელო! ამაგრე, ამაგრე ჩემბერლენების, ბრიანების, მუსოლინების და სხვა კაციჭამიების ინტერნაციონალი. გამოგადგება იმ დროსათვის, როცა მეორე ინტერნაციონალის ხუხულა მთლად დაიშლება და თავშესაფარის ძებნა დაგჭირდება.

წერილი მესამე ეკუთვნის „მოხუც სიმეონ მიმრქმეველს“,—როგორც უწოდებს მას რედაქცია თავის შენიშვნაში,—აქსელროდს.

—„თითქმის მესამედ საუკუნის განმავლობაში რევოლიუციონური მოძრაობა ვითარდებოდა საქართველოში არა მარტო პარალელურათ, არამედ ხელი-ხელჩაკიდებული რუს მუშათა მოძრაობასთან, მასთან უმჭიდროესად და შეიძლება ითქვას, ორგანიულად დაკავშირებული, საერთო იდეურ საფუძველზე, საერთო პროგრამით. ბოლშევიკებმა რკინით და სისხლით გასწყვიტეს ეს კავშირი რუს და ქართველ ამხანაგებს შორის“...

გამოდის, თითქოს ბოლშევიკებმა ომიც კი აწარმოეს საქართველოს რუსეთიდან გამოსაყოფად.

ხუთი წლის განმავლობაში ყურები გამოგვიჭედეს ქართველმა მენშევიკებმა, რომ თქვენ, ბოლშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა წაართვით და რუსეთს შეუერთეთო“.

„მოხუცი სიმეონ მიმრქმეველი“—კი იმდენათ გამოყრუებულა, რომ ეს არ სმენია და წინააღმდეგს გვისაყვედურებს—ბოლშევიკებმა საქართველო გათიშეს რუსეთიდანო“.

მაგრამ ეპატიება ეს მოხუცს, რომელმაც ფეხი შესდგა მესამოცდა თექვსმეტე წელში.

სიბერეს სირეგვნემდე მიჰყავს ადამიანიო,—ნათქვამია.

არაფერს ვიტყვი მეოთხე წერილზე, რომელიც ეკუთვნის ირ. წერეთელს. სჩანს, რომ თეთრი ანთება მას ვერ მორევია და რამდენიმეთ შერჩენია აზროვნების სისალე.

მაგრამ მაგიერში, თეთრი გიორგის სიძლიერე ცხადათ სჩანს მეხუთე წერილში—ნოე რამიშვილის აბდაუბდაში.

წინეთ, როცა მას თეთრი გიორგი გამწყრალი არ ჰყავდა, მის წერილებს ვცნობდი ხელმოუწერელათაც კი, რადგან ის მუდამ ერთნაირათ იწყებდა მათ შემდეგი სიტყვებით:

—„ბოლშევიკები გაკოტრდენ, მათი დღეები დათვლილია“..

მაგრამ რადგანაც რვა წლის განმავლობაში მისი ათასჯერ გამეორებული წინასწარმეტყველება არ გამართლდა, ამიტომ მას კიდევ შერჩენია იმდენი გონიერება, რომ გამოცვალა ეს წინადადება შემდეგით:

— „ბოლშევიზმი ახალ ფერისცვალებას განიცდის“.

მერე რაში გამოიხატება ეს ფერისცვალება?

თურმე ბოლშევიკები ეხლა ეყრდნობიან „კულაკებს“, ჩარჩებს და მსხვილ გლეხებს და არა ღარიბ ხალხს. ეს ამბავი დანამდვილებით გაუგია პარიზში ნოე რამიშვილს. გასაკვირველია მხოლოთ ის მოვლენა, რომ არაფერი არ იციან ჯერ ამის შესახებ თვით ამ დაინტერესებულმა პირებმა—„კულაკებმა“, ჩარჩებმა და მსხვილმა გლეხებმა.

ალბათ ნოე რამიშვილის ჯინზე თეთრ გიორგის არ სურს გააგებინოს მათ ეს სასიხარულო ამბავი.

მართალია, თეთრი ანთების ტემპერატურა უმაღლეს წერტილამდის ადის ნ. რამიშვილის ტვინში, მაგრამ ხანდახან მაინც ბრწყინვალე აზრი მოსდის მას თავში.

ის ამბობს:

— „გამოფხიზლებულ ერებს დღეს იარაღათ იყენებს საბჭოთა რუსეთი აძლევს ფინანსიურ დახმარებას, უგზავნის აგიტატორ-პროპაგანდისტებს, აწვდის თოფ-ზარბაზნებს და ევროპა-ამერიკის წინ მომართავს“...

„დამორჩილებულ ერთა ბრძოლა თანდათან ფართოვდება. მთელი აღმოსავლეთი ფეხზე სდგას. ის საომრათ უკვე დარაზმულა, ძალღონეს იკრებს და ასპარეზზე გამოსასვლელათ ეწყობა. მსოფლიო ომის შემდეგ პატარა ერთა ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო, მათი განთავისუფლება დღის წესრიგში დაისვა, კიდევ მეტი, ის აუცილებელი შეიქნა“...

„როგორც ხედავთ, საბჭოთა რუსეთი აკეთებს ერთ საქმეს,—ამხედრებს დამორჩილებულ ერებს ევროპის იმპერიალისტთა წინააღმდეგ“...

აქ კი შეუპრინტა ნოე რამიშვილის გონებას თეთრმა გიორგიმ და ყოველივე ამისგან გამოუყვანია დასკვნა:

„საბჭოთა რუსეთმა თავისი დასაკლავი დანა თვითონვე გალესა“,—ამბობს ის, რისთვის, რატომ?—ალახმა უწყის!

საზოგადოთ ნოე რამიშვილის ამ წერილიდან შემდეგი აზრის გამოწურვა შეიძლება: ბოლშევიკებმა, დაჰკარგეს რა იმედი ევროპის სოციალურ რევოლიუციაზე,—მთელი თავისი ყურადღება მიაქციეს აღმოსავლეთის დამონავებულ ხალხების ნაციონალურ განთავისუფლებას,—რაც თურმე საბჭოთა რუსეთისთვის თავის დასაკლავი დანა ყოფილა.

მაგრამ ნოე რამიშვილის ამ სალ და თან შეპრენტილ აზრს სრულებით აქარწყლებს ვეებერთელა წერილში ვინმე ბერლინელი „მეგობარი“. ის საბუთებით ხელში ამტკიცებს, რომ ბოლშევიკები დარჩენ ისეთივე, როგორიც იყვენ და როგორიც უნდა ყოფილიყვენ. მთელ თავის ძალღონეს ისინი ანდომებენ მსოფლიო რევოლიუციის გაჩაღებას და პირველათ ყოვლისა ევროპაში—უპირველესათ კი გერმანიაშიო.

ამ მიზნისთვის, თურმე, ათეული და ასეული მილიონები იხარჯება რუსეთის სალაროდან. იქვე კი ამტკიცებენ ეს ვაჟბატონები, რომ ბოლშევიკებმა, თუ რამდენიმე მილიონი სესხი არ მიიღეს ევროპის სახელმწიფოებიდან უმახლობელს ხანში, მათი არსებობის არამც თუ წლები, საათებიც დათვლილიაო.

ნამდვილი ბაბილონისებური ენის და აზრის არევაა ამ ნაცოდვილარ ჟურნალში.

თეთრი გიორგი კი არა; გამძნარმა ლომის კარელმა რომ მიიღოს თავისი წინანდელი სახე და გადაფრინდეს სურებიდან პარიზში,—ისიც ვეღარ უშველის იქაურ მენშევიკების აწეწ-დაწეწილ საქმეებს.

—„რაც მოგივა დავითაო,—ყველა შენი თავითაო“.

ს. თ—ია.

დავეხმაროთ „წერკუმს"-ს

შემაქვს „წერკუმს"-ის სასარგებლოდ ამხ. მელიტონ თევდორაძის გამოწვევით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. ბაგრატ ხონელიძეს, 2. ვლასი რატიანს, 3. მიხელ ადუაშვილს, 4. ბაბილინა გაბუნიას, 5. ათანასი ქელიძეს, 6. ბესარიონ გეგენავას, 7. დავით ჟუჟუნაძეს, 8. კაპიტონ ფერაძეს, 9. აკაკი მაჭავარიანს, 10. ვარლამ ვარდოსანიძეს.

გედევან ჩხობაძე.

—

შემაქვს „წერკუმს"-ის სასარგებლოდ ამხ. ერასტი ჭოლოკავას გამოწვევით 6 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

თბილისის მაზრა:

1. მათიკაშვილს, 2. სილიბისტრო თოდრიას, 3. მაკარი ბედიას, 4. შალვა ხმალაძეს, 5. დათიკო ციხელაშვილს, 6. ირაკლი ხუხუას, 7. გრიგოლ თოფურიას, 8. ირაკლი კიზირიას, 9. შუშანიკ მეზურნიშვილს, 10. ანეტა ხუხუა-ნოდიასას, 11. ლადო მამალაძეს, 12. ვალიკო ჭურღულიას, 13. გრიშა კარანაძეს, 14. იოსებ ბრეგვაძეს.

სენაკის მაზრიდან:

1. არჩილ გიორგაძეს, 2. ათანას კოკაიას, 3. მიხა კაჭარავას, 4. იპოლიტე თოფურიას, 5. ლადო ზაქარაიას, 6. ხარიტონ ვეკუას, 7. ვანო ჩანქვეტაძეს, 8. ილია ქანტურიას, 9. ლავრენტი ჯავახიას, 10. ვასო ჯავახიას, 11. ვარლამ წადარეიშვილს, 12 ნიკოლოზ ტიურის, 13. ექიმ ჩხეტიას, 14. ექიმ გვახარიას, 15. ექიმ ხოცერიას, 16. ექიმ ადამიას, 17. ერასტი გვასალიას, 18. ლავრენტი კარტოზიას, 19. ოლია ჩიჩუას.

თადეოზ ტაბალუა.

—

შემაქვს „წერკუმს"-ის სასარგებლოდ ამხ. მელიტონ თევდორაძის გამოწვევით 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს 5 მანეთზე:

თბილისის მაზრიდან:

1. ვარლამ ხუროძეს, 2. გიორგი ბახტაძეს, 3. დათიკო ბახტაძეს, 4. პარმენ ლეჟავას, 5. არტემ რუხაძეს, 6. ალექსანდრე კეილიხისს, 7. იოსებ ჭავჭანიძეს.

ხონის რაიონიდან:

1. ერისტო ჭავჭანიძეს, 2. დათიკო ფანცულაიას, 3. პლატონ ფანცულაიას, 4. გიორგი მაჭარაძეს, 5. ერისტო უგრეხელიძეს, 6. ილარიონ ტაბიძეს, 7. ნოე ტაბიძეს, 8. სილიბისტრო სალარაძეს, 9. ვანო სალარაძეს, 10. ალექსანდრე მებუკეს, 11. პოლიევქტ მებუკეს.

ალნიშნულ პირებისაგან ფულის მოკრებას ვანდობ ხონის მცხოვრებ დათიკო ფანცულაიას და ვთხოვ მიღებული თანხა გადმოგზავნოს „წერკუმს"-ის ცენტრალურ გამგეობის სახელზე. (რუსთაველის პროსპექტი, № 11).

ივლიანე ტაბიძე.

ჩვენი კურორტების მდგომარეობა

(საქ. საგეგმო კომისიაში გამართული თათბირი)

ორშაბათს, 2 ნოემბერს, სასახლის წითელ დარბაზში ამხ. ს. ჯუღელის თავჯდომარეობით გაიმართა თათბირი საქართველოს კურორტების მცოდნე პირების თანდასწრებით. კრებას დაესწრო ორმოცამდე კაცი. მათ შორის პროფ. ვირსალაძე, გოგიტიძე, ალადაშვილი, თიკანაძე, ასათიანი, ქურდიანი, ღამბარაშვილი, ჯანსახკომის კომისარი ამხ. კუჭაიძე, გეოლოგი ჯანელიძე, მედიცინის დოქტორი ს. ყიფშიძე, ექ. გოპაძე, ექ. ზანდუკელი, ინჟ. ალშიბაია, ინჟ. ქურდიანი, ინჟ. ბუზკალი და სხვ.

თათბირი გახსნა ამხ. ს. **ჯუღელმა**, რომელმაც აღნიშნა ჩვენი კურორტების მოუწყობლობა. მათ ასაღორძინებლად საჭიროა გეგმიანი აღმშენებლობის წარმოება. ჩვენი კურორტების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათ შეუძლიათ გახდენ მსოფლიო მნიშვნელობის კურორტებად. ამისათვის საგეგმო კომისიამ გადაწყვიტა მიმართოს მცოდნე პირებს, რომლებიც დიდი-ხანია, რაც ჩვენი კურორტების მდგომარეობით დიდათ დაინტერესებულნი არიან.

შემდეგ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა საკურორტო სამმართველოს გამგემ ამხ. აზიანიძემ, რომელმაც გააცნო კრებას ჩვენი კურორტების: აბასთუმნის, ბორჯომის, წაღვერის, ცემის, წყალტუბოს და ახტალის დღევანდელი მდგომარეობა. როგორც მეფის დროს, ისე მენშევიკებისას ჩვენი კურორტები მხოლოდ რჩეულ პირთათვის არსებობდენ. კურორტები კერძო პირების ხელში იყვენ და ისინი მათ შემოსავლიან წყაროს წარმოადგენდენ. ამიტომ ჩვენი ვალია კურორტები ისე მოვაწყოთ, რომ ისინი გახდენ ყველასათვის ხელმისაწვდომი.

კერძო პატრონები კურორტებზე სახლებს არ აკეთებენ. ძველი სახლები კი ინგრევა, აბასთუმანში სასტუმრო კი არ არის, რომ ჩამომსვლელმა ერთი ან ორი დღე გაათიოს, ვიდრე ბინას იშოვიდეს.

რაც შეეხება წყალტუბოს და ახტალას, აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია ბინის საკითხის შესახებ. ასეთ პირობებში ჩვენი კურორტები მაშინ, როდესაც ყოველწლიურად იზრდება აგარაკებში მიმსვლელთა რიცხვი.

ჩვენი კურორტებით, აღნიშნავს მომხსენებელი, დაინტერესებულია საბჭოთა რუსეთიც, საიდანაც მრავლად მოდიან განსაკურნავად. ამას გარდა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი კურორტები არიან საერთაშორისო მნიშვნელობისა. ზემოხსენებული მდგომარეობა ჩვენს წინ აყენებს ახალ ამოცანას ჩვენი კურორტების აღმშენებლობის შესახებ. პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტებს. მომხსენებელის აზრით შესაძლებელია ზოგიერთი კურორტების კონცესიის წესით გაცემა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებას ამ საკითხის სავსებით დაძლევა ამ ჟამად არ შეუძლია.

გარდა ამისა, ამხ. აზიანიძის აზრით, საჭიროა ჩვენი კურორტების მეცნიერულად შესწავლა. ამისათვის საჭიროა საკურორტო სამმართველოსთან მოეწყოს მუდმივი სამეცნიერო საბჭო.

ჩვენს აღმშენებლობას უნდა ჰქონდეს გეგმიანი მუშაობის **ხასიათი**, რისთვისაც საჭიროა საკურორტო სამმართველო იყოს მოსილი სრულუფლებიანობით და მის მუშაობას არავინ არ უნდა ეღობებოდეს წინ. ჩვენი თათბირის მიზანია ამ საქმის ყოველმხრივი გაშუქება და საჭირო კომისიების დაარსება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა საქმიანი კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ს. ჯუღელმა, პროფ. ვირსალაძემ, ექ. ზანდუკელმა, პროფ. თიკანაძემ, პროფ. გოგიტიძემ, პროფ. ღამბარაშვილმა და სხვ.

დასასრულ თათბირმა აირჩია კომისია საკითხის ყოველმხრივად შესასწავლად და საგეგმო კომისიაში სათანადო მოხსენების წარმოსადგენად, რომელშიაც შევიდენ — პროფ. ვირსალაძე, ალადაშვილი, ქურდიანი, თიკანაძე, ღამბარაშვილი, კახიანი, ექ. ვაწაძე, ამხ. აზიანიძე და სხ.

საბჭოთა აჭარისტანში

ბრძოლა სიმულიაციასთან

აჭარისტანის ჯანმრთელობის კომისარიატის მუშათა მედიცინის სამმართველოდან ყოველდღიურად იცემა დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებზე ორდერები ბინაზე საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

ამ დღეებში საგანგებოთ დანიშნულ კომისიამ აღმოაჩინა, რომ ორდერების სწორად წამლებთა რიცხვი შეადგენს მხოლოდ 5—6 პროცენტს, დანარჩენები კი ბოროტად სარგებლობენ ექიმების გამოწვევის უფლებით.

დათვალიერებულ იქნა ორდერების წამლები ყველა დაზღვეულები და აღმოჩნდა, რომ გაცემულ 50 ორდერში მხოლოდ სამი იყო მწოლარე ავადმყოფი, დანარჩენები კი სიმულიაციას ეწეოდენ. იყო შემთხვევები, როდესაც კომისიამ ორდერის წამლების ბინაზე ავადმყოფის ნაცვლად ქეიფი აღმოაჩინა.

ბოლო ხანებში ორდერების ყოველდღიური რიცხვი აღწევს 50—60, რაც თვეში უდრის 1500—1600 ორდერს; თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აქედან 90—94 სიმულიანტებია, მივიღებთ, რომ სამმართველო სრულიად უნაყოფოთ მარტო ექიმების ხელფასად თვეში დაახლოებით 600—700 მანეთს ხარჯავს.

აჭარისტანის ჯანსახკომისარიატის მუშათა მედიცინის სამმართველოს მიერ მიღებულია ყოველივე ზომები სიმულიაციის საწინააღმდეგოთ. პასუხისგებაში იქნება მიცემული ყოველი დაზღვეული, რომელიც ექიმს გამოიწვევს არსებულ ინსტრუქციის გარეშე (ინსტრუქციაში ნათლად არის ნათქვამი, რომ ექიმები მოიწვევიან ბინაში იმ შემთხვევებში, თუ ავადმყოფი ლოგინად წევს).

ცხოიძე.

საქონლის ჭირი

სოფ. ციხისძირში (ხულოს მაზრა) გაჩნდა მსხვილფეხა საქონლის ჭირი. როგორც ფიქრობენ ჭირი აქ შემოტანილ ოსმალეთიდან.

ამ ამბის გაგებისთანავე საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიიღო სასწრაფო ზომები და გაგზავნა აჭარისტანში ჭირის საწინააღმდეგო ასაცრელი შრატი.

საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატმა ამ რამოდენიმე დღის წინათ მიიღო აგრეთვე დეპეშა, რომ ჭირმა თავი იჩინა სოფ. მახინჯაურშიაც (ბათუმის პირზე). აქაც, როგორც [illegible] ამბობენ, ჭირი შემოუტანიათ ოსმალეთიდან დასაკლავათ შერეკილ საქონელს.

ამავე დღეს მახინჯაურის რაიონში კომისარიატმა სასწრაფოდ გაგზავნა ჭირის საწინააღმდეგო შრატი საქონლის ასაცრელად.

მთელ აჭარისტანში გაცემულია განკარგულება, რომ მიიღონ საჭირო საკარანტინო ზომები.

ვინაიდან აჭარისტანის საქონლის ჭირით დაავადებული რაიონები ეხლოვებიან ოზურგეთის მაზრას და მოსალოდნელია სენის გურიაში გადმოტანაც, ოზურგეთის მაზრის აღმასკომს მიცემული აქვს წინადადება დააწესოს სასტიკი კარანტინი საზღვარზე, აჭარისტანსა და გურიას შორის.

კელ.

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირის მე-5 ყრილობა

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მოხსენება კავშირის ახალი გამგეობის მუშაობის ამოცანების შესახებ. მოხსენების მიხედვით ყრილობამ წამოაყენა პრაქტიკული წინადადებები, რომელიც შემდეგ წარედგინა ახალ გამგეობას განსახორციელებლად.

ქიმიური მრეწველობა ჩვენში

მეოთხე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდენ ამხ: **გელბუხი და გარინი.** პირველმა ყრილობას გააცნო საქართველოს ქიმიური მრეწველობის ფაქტიური მდგომარეობა და მისი უახლოესი პერსპექტივები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქიმიური მრეწველობა ჩვენში თანდათან ვითარდება, რის ცოცხალ მაგალითს ჩვენ ვხედავთ ბორჯომის მინერალური წყლის ექსპლოატაციის განვითარებაში (რაც ბუნებრივად ითხოვს მისთვის ბოთლის წარმოების გადიდებას). მეორეც, ლაბორატორია № 4111 მუშაობაში, რომლის ნაწარმოები იპყრობს არამც თუ ამ.-კავკასიის ბაზარს, არამედ გადის რუსეთის და უკრაინის ბაზრებზედაც კი. ამავე ამტკიცებს აგრეთვე საპნის, ეთის და სხვა ქიმიურ მრეწველობათა ზრდა განვითარება.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ქიმიური მრეწველობის პერსპექტივებზე. აქ პირველყოვლისა იგი აღნიშნავს, რომ საქართველო თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით არ ჩამოუვარდება სხვა მდიდარ ქვეყნებს მასთან მომხსენებელი დასძენს, რომ საქართველოს და საერთოდ ცენტრის ყურადღება მიპყრობილია ამ სიმდიდრის გამოყენებისაკენ და ხელისუფლებას უახლოეს გეგმად დასახული აქვს საქართველოში მოაწყოს სამთო-ქიმიური საწარმოო დაწესებულებები.

ქიმიურ მრეწველობის პერსპექტივების განხილვის დროს ამხ. გელბუხი შეეხო ძვლების საუტილიზაციო, ხის მშრალად გამოხდის და სხვა ქარხნების მოწყობას, ბარიტის დამუშავებას, და სხვა კვლევა-ძიებით სამუშაოებს, რომლებიც ეხლა სწარმოებენ სამთო-ქიმიურ მრეწველობის დარგში.

ამხ. **გარინმა** ილაპარაკა მხოლოდ ბორჯომის კომბინატის საქმიანობაზე; ის შეეხო მის მიღწევებს და აღნიშნა დეფექტებიც.

მან განაცხადა, რომ იმდენად გაიზარდა მოთხოვნილება ბორჯომის წყალზე, რომ მინის ქარხანა ვერ უდის ბოთლების დამზადებას და 50 პროცენტი მოთხოვნილებისა დაუკმაყოფილებელი რჩება: ამის მიზეზად მომხსენებელს, სხვათა შორის, მიაჩნია ძველი, ჩაბერვითი წესით ბოთლების გამომუშავება. ეხლა უკვე მიღებული ყოფილა ზომები წარმოების მექანიზაციისათვის (გამოწერილია მანქანები გერმანიიდან) და უახლოეს მომავალში კომბინატი თავისუფლად შესძლებს ბაზრის მოთხოვნილებათა მთლიანად დაკმაყოფილებას.

მომხსენებელმა აგრეთვე განაცხადა, რომ ქარხანაში ამჟამად მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი და იგი ნაწილობრივ დამთავრებულია:

მომხსენებელს უდიდეს დამაბრკოლებელ მიზეზად, რომელიც ხელს უშლის კომბინატის მუშაობას მიაჩნია ის გარემოება, რომ ძველ კომბინატის ქონებაზე გაჩნდენ ახალი ორგანიზაციები, სატყეო ტრესტის და საკურორტო სამმართველოს სახით, რომლებიც ეპატრონებიან მას. მაგალითად, ტყის მრეწველობა გადავიდა ტყის ტრესტის განკარგულებაში, რის შემდეგაც ბორჯომის წყლის გასაგზავნი ყუთები გაძვირებულია; მათ თავის დროზე ვერ ღებულობენ და ეს გარემოებაც ხელს უშლის ბორჯომის წყლით ბაზრის თავის დროზე დაკმაყოფილებას.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი. მოკამათენი გამოდიოდენ უმთავრესად ამხ. გარინის მოხსენების ირგვლივ და უთითებდენ უმთავრესად იმ გარემოებაზე, რომ ბორჯომის კომბინატის მუშები სათანადოთ უზრუნველყოფილნი არ არიან და სხვა.

მომხსენებელმა საბოლოო სიტყვაში ყველას პასუხი გასცა, რითაც ისინი დაკმაყოფილდენ და მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, კომბინატის როგორც მიღწევები, ისე დეფექტები და გამოთქმულია სურვილი ამ დეფექტების მოსასპობად.

არჩევნები

მეხუთე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება. ყრილობამ კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და გადავიდა ახალი გამგეობის არჩევნებზე.

პერსონალური დასახელებით და ასეთივე კენჭის ყრით არჩეულ იქნენ წევრებად ქიმიკოსთა კავშირის ახალ გამგეობაში: ამხ. ამხ. **არაქელოვი, გელბუხი, ფილატოვი, შარაშიძე, ბაბაჯანოვი, ხაჩიძე, კუზნეცოვი, ნონიანი, სკიდანენკო, ქაჯაია, მჭედლიშვილი, მარტიროსოვი, მირონოვი და მშვიდობაძე.** კანდიდატებად: **ტაბაკუა, ნარუშენკო, ალექსეევი, ქართველიშვილი და ბუხნიკაშვილი.** სარევიზიო კომისიაში: **აკოფოვი, სამადაშვილი და გლუხოვსკი,** მათ კანდიდატებად: **მატვეევი და ივლიევი.**

ყრილობამ აირჩია აგრეთვე სრულიად საკავშირო ქიმიკოსთა კავშირის ყრილობაზე საქართველოს წარმომადგენლებად: ამხ. ამხ. **არაქელოვი და ბაბაჯანოვი,** ხოლო მათ კანდიდატათ ამხ. **კუზნეცოვი.**

ამის შემდეგ საქ. ქიმიკოსთა კავშირის მე-5 ყრილობა ინტერნაციონალის ჰიმნის შესრულებით დაიხურა.

პროფმუშაობის ქრონიკა

კომუნალურ მეურნეობის კავშირში

— **საურთიერთო დამხმარე სალაროსადმი დავალიანების შესახებ.** კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრ. გამ. წინადადება მისცა კომ. მეურ. კავშირის ყველა საურთიერთო დამხმარე სალაროების ბიუროებს მახლობელ დროში მოიწვიონ სალაროების წევრები და დასვან დღის წესრიგში საკითხი სალაროებისადმი დავალიანების შესახებ.

— **ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის შესახებ.** კავშირის ც. გ. დაავალა კავშირის კლუბის კულტ-განყოფილებას მოელაპარაკოს ქალაქის აღმასკომის კულტგანყოფილებას ამხ. მიხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის ტრამვაის დირექციაზე გადაცემის შესახებ.

განათლების მუშ. კავშირში

— **კონფერენცია.** განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამ. 4 ნოემბერს იწვევს საქალაქო კონფერენციას. დღის წესრიგშია: 1. კავშირების მდგომარეობა და მათი ამოცანები, 2. მოხსენება ხელფასის შესახებ და სხვ.

— **1905 წ. რევოლიუციის 20 წ. იუბილეში მონაწილეობის მისაღებად.** განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. დაადგინა მიიღოს აქტიური მონაწილეობა 1905 წ. რევოლიუციის 20 წ. იუბილეში. გამოიყო კომისია ამხ. მეგრელიძის, ჭანიშვილის, ჭეიშვილისა და ტრ. ხუნდაძის შემადგენლობით.

— **დახმარება სიღნაღის განათლების მუშაკთა სახლს.** სიღნაღის განათლების მუშაკთა სახლის დასახმარებლად განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. გაიღო 100 მან.

— **წევრთათვის დასახმარებლად.** განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. გადასდო 200 მან. ზოგიერთ გაჭირვებულ წევრთა დასახმარებლად.

ალმშენებელთა კავშირში

— **მესამე პლენუმის მოწვევა.** ალმშენებელთა კავშირის ცენტრ. გამ. დადგენილებით ალმშენებელთა კავშირის მესამე პლენუმი მოწვეული იქნება 8 ნოემბერს.

— **კავშირის ყრილობის მოწვევა.** ალმშენებელთა კავშირის მეხუთე ყრილობა მოწვეული იქნება 1926 წ. 10 იანვარს.

— **ხელფასის გადიდება.** ალმშენებელთა კავშირის ც. გ. 22 პროც. გაადიდა ხელფასი კავშირში შემავალ ორგანიზაციების ტეხ. მომუშავეებს.

— **აჭარისტანში კონფერენციის მოწვევის შესახებ.** ალმშენებელთა კავშირის ც. გ. დადგენილებით აჭარისტანის ალმშენებელ მუშების კონფერენცია მოწვეული იქნება 5 დეკემბერს.

რაჭის სამპროფბიუროში

— **ფიზკულტურის ბიურო.** რაჭის სამპროფბიურომ გამოჰყო ფიზკულტურის ბიურო.

— **მილიციის ტანსაცმელის შესახებ.** რაჭის სამპროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა და სავაჭრ. მუშაკების კავშირის ცენტრ. გამ. წინაშე რაჭის მაზრაში მოსამსახურე მილიციონერთა 1925 წ. ზაფხულის განმავლობაში მიუღებელ საზაფხულო ტანსაცმელით დაკმაყოფილების შესახებ.

— **სასოფლო სამდივნოების შესახებ.** რაჭის სამპროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა პროფსაბჭოსთან რაჭის ზოგიერთ რაიონებში სასოფლო სამდივნოების დაარსების შესახებ. პროფსაბჭომ ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად დასტოვა.

სიღნაღის სამპროფბიუროში

— **სიღნაღის სამპროფბიუროში შემავალ კავშირების მოწვევის დროს შეცვლა.** სიღნაღის სამპროფბიურომ შესცვალა ადგილობრივ კავშირების კონფერენციის მოწვევის დრო და დაადგინა კონფერენცია 11 დეკემბრისათვის მოიწვიოს.

შორაპნის (ჭიათურის) სამპროფბიუროში

— **საჩხერის მუშათა დასასვენებელი სახლის გადაცემა.** საჩხერის მუშათა დასასვენებელი სახლი, შორაპნის სამპროფბიუროს დადგენილებით გადაეცა საჩხერის საბავშვო სახლს.

— **„ჩემოს" სალიკვიდაციო კომისიაში** სამპროფბიუროდან გაიგზავნა ამხ. კ. თოფაძე.

ფოთის პროფბიუროში.

— **ტანთსაცმელის შეძენა პიონერთა კოლექტივისათვის.** ფოთის პროფბიურომ გადასდო პიონერთა კოლექტივისათვის 225 მ. ტანსაცმელის შესაძენად.

— **კლუბების გამგეობათა გადახალისება.** ფოთის პროფბიუროს დადგენილებით ა | წ. 20 ოქტომბრიდან დაიწყო ადგილობრივი კლუბების გამგეობათა გადახალისება.

თათბირი შემნახველი სალაროების მოწყობის შესახებ

3 ნოემბერს ფინ. სახ. კომისარიატში შესდგა სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი შემნახველ სალაროების მოწყობის და გაფართოების შესახებ. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საბჭოთა კავშირის შემნახველი სალაროების მთავარ სამმართველოს ინსპექტორმა ამხ. ლუცენკომ, რომელმაც თათბირს აცნობა, რომ საბჭ. კავშირის ფინ. სახ. კომის., ს. მ. უ. ს.-ს, სახელმწიფო ბანკის, გზათა სახ. კომ. და სხვა სამეურნეო ორგანოების სამმართველოებს შორის მომხდარა შეთანხმება იმის შესახებ, რომ მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფილიალებთან, სააგენტოებთან, წარმოებებთან და სხვაგან მოეწყოს მარტივი შემნახველი სალაროების ქსელი.

თათბირს უნდა გამოერკვია და განეხილა საკითხი, თუ რა პირობებია ამიერ-კავკასიაში შექმნილი შემნახველი სალაროების მოსაწყობად და არსებული ქსელის გასაფართოებლად ცენტრში მომხდარ შეთანხმების მიხედვით. მეორე მხრივ თათბირს უნდა გამოერკვია მოსახერხებელია თუ არა შემნახველ სალაროების ორგანიზაციების საქმეში იმ ადგილობრივ ორგანოების მონაწილეობა, რომლებზედაც არ ვრცელდება ცენტრალურ ორგანოების მიერ დადებული შეთანხმება.

სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სახელ. ბანკს ამიერ-კავკასიაში ქონია 14 ფილიალური განყოფილება, სადაც მოწყობილია—შემნახველი კასები, რომელნიც მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან უკვე მოქმედებენ.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომის. 296 დაწესებულებებიდან შემნახველი სალაროები მოწყობილი ყოფილა 266 დაწესებულებასთან.

სამხედრო უწყება და რკინისგზის დაწესებულებანი კი ამ დღეებში შეუდგებიან შემნახველ სალაროების მოწყობას თავიანთ დაწესებულებებში. დანარჩენმა ორგანიზაციებმა თათბირზე პრინციპიალური თანხმობა განაცხადეს თავიანთ წარმოებებში და სააგენტოებში სალაროების მოწყობის შესახებ.

ამხ. ლუცენკოს მოხსენებით დაგროვილი თანხის სალაროებში მიბარება შეიძლება საფოსტო მარკების საშუალებით. სალაროში ფულის მიბარების მსურველი საფოსტო მარკებს დააკრავს განსაკუთრებულ ბარათზე, რომელსაც საგანგებოდ ამზადებს და გასავრცელებლად უშვებს ფინ. სახ. კომ. წინანდელი შემნახველი მარკების მაგიერობა ამიერიდან შეუძლიათ გასწიონ საფოსტო მარკებმა.

უმუშევრობასთან ბრძოლა სოფლად

უკანასკნელ ხანებში უმუშევართა მთავარ წყაროს წარმოადგენს სოფელი, საიდანაც აუარებელი უკვალიფიკაციო მუშახელი აწყდება ქალაქის ბაზარს, სადაც იგი იშვიათად თუ შოულობს სამუშაოს. უმუშევრობის გადიდება სოფლელ მასსებში იძულებულს ხდის შრომის სახალხო კომისარიატს გამოითხოვოს სათანადო ორგანოებიდან უფრო მეტი კრედიტი საზოგადოებრივი სამუშაოების და შრომის კოლექტივების მოსაწყობად.

საზოგად. სამუშაოების და კოლექტივების მოწყობის მიზანი არის უმთავრესად არაკვალიფიციურ მუშების, უმთავრესად გლეხებისთვის, დროებით სამუშაოების გაჩენა.

სახარჯთაღრიცხვო გეგმის მიხედვით 1925—26 წლისათვის გადადებულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი სამუშაოების მოსაწყობად 2.104.300 მანეთი, ხოლო შრომის კოლექტივების ორგინიზაციისთვის 482.806 მან. საზოგადოებრივ სამუშაოებზე და შრომის კოლექტივებში დასაქმებული იქნებიან მცირე ადგილმამულიანი და უადგილმამულო გლეხები.

მიმდინარე სამეურნეო წელს განზრახულია შრომის კოლექტივების მოწყობა შინამრეწველობის სხვადასხვა დარგებში. მატყლის კარგი მოსავალი საშუალებას იძლევა მოეწყოს მაუდის წარმოება, ნოხების ქსოვა, წინდების, ყაბალახების, ქუდების და სხვა ქსოვილ საქონლის დამზადება. ტყეების სიუხვე სხვადასხვა ძვირფასი ხეებით, საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს ხის ხელოსანთა კოლექტიურად ასამუშნვებლად ამ დარგში.

განზრახულია აგრეთვე კოლექტიური მებოსტნეობის და მებაღეობის მოწყობა, რაც საკმარისს ხელფასს მისცემს იქ დაბანდებულ მუშახელს, თუ ხეირიანად იქნა დაყენებული მებაღეობის და მებოსტნეობის პროდუქტების გაზიდვა ჩვენი რესპუბლიკის გარეთ.

ქრონიკა

კაზანცევის სისტემის მუხრუჭებიანი მატარებლები თბილისში

ხვალ საღამოს 5 საათზე თბილისში ჩამოვა 2 მატარებელი მოწყობილი კაზანცევის სისტემის ავტომატიური მუხრუჭებით.

საშემოდგომო თესვის კამპანია

— **თესლის დამზადება.** საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საგერბო და სხვანაირ გადასახადებისაგან თავისუფალია ის ხელშეკრულებები, რომელთაც მიწათმოქმედების კომისარიატი დასდებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის თესლის დამზადების შესახებ.

ჰაეროპლანების გადაცემა

— ოქტომბრის დღესასწაულის დღეს, 7 ნოემბერს, ჰაეროდრომზე მოხდება ჰაეროპლანების საზეიმო გადაცემა კავკასიის წითელდროშოვან არმიის ავიორაზმისათვის. სომხეთის ავიოქიმი გადასცემს ჰაეროპლან „ხორურდაინ ჰაიასტანი"-ს, აჭარის ავიოქიმი გადასცემს „წითელ აჭარისტან"-ს და ა | კ. რკ. გზელთა პროფკავშირი გადასცემს თავის თვითმფრინავს.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **ლექცია საუბრები.** მიწათმოქ. კომისარიატის აგრო-დახმარების საღგურების მიერ 1925 წელში მოწყობილი ლექცია-საუბრები მოისმინა 58,288 გლეხმა.

— **აგრო-დახმარება.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატი ამჟამად იმუშავებს დებულება-ინსტრუქციას აგრო-ორგანიზაციებში მომუშავეთა მოვალეობის შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატში

— **ტელეფონის ქსელის გაფართოება.** აჭარის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა მაზრებში ტელეფონის ქსელის გასაფართოებლად გადასდო 5.000 მან.

ჯანსახკომში

— **ჭლექის წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი ამ დღეებში ქუთაისში ხსნის ჭლექიანების სამკურნალოს (დისპანსერს).

— **დახმარება სულით ავადმყოფებს.** სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო ჯანმრთელობის კომისარიატს დაარსოს სულით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოება.

— **კბილის ექიმთა ყრილობა.** ახლო ხანში მოსკოვში შესდგება კბილის ექიმთა საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე ჯანსახკომი აგზავნის თავის 5 წარმომადგენელს.

— **კურორტებზე.** ქობულეთსა და სოხუმში თბ. დამზღვევმა სალარომ უკვე გაგზავნა დაზღვეულ ავადმყოფთა პირველი წყება. სულ გაგზავნილია 40 კაცი.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

— **დაზღვეულთა რიცხვი.** სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის მთელ საქართველოში ითვლება 6063 დამზღვევი დაწესებულება.

— **დაზღვეულთა ავადმყოფობა.** სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით, გასულ 1924—25 წლის განმავლობაში მთელ საქართველოში ავად გახდარა 57,978 დაზღვეული.

— **ახალი ძალები.** გასული წლის განმავლობაში საქართველოში დაიბადა დაზღვეულთა შორის 10,870 ბავშვი.

სხვადასხვა

— **რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატები** უკვე შეუდგენ წ.-კ. უცოდინარ წვევამდელთა და ცვალებადელთა აღრიცხვას, სალიკვიდაციო სკოლებზე მათი მიმაგრების მიზნით.

— **თბილისის დამზღვევ სალაროს** ორთაჭალის სადგური ამ დღეებში გადავა ახალ ბინაზე.

— **მიწნობრივი გადასახადი.** თბ. აღმასკომის ცნობით, თბილისში უკვე აკრეფილია საბინაო-მიწნობრივ გადასახადის ცხრა მეათედი.

— **ლობიოს გატანა.** ცეკავშირი შეუდგა ლობიოს დამზადებას. დამზადებული იქნება 30 ათასი ფუთი ლობიო, რომელიც გასასაღებლად გატანილი იქნება სტამბოლში.

— **მშრალი ხილის შესყიდვა.** მიმდინარე წელს ნოვოროსიისკის ტრესტვაჭრობა ფიქრობს შეისყიდოს ჩვენში მშრალი ხილი (ჩირი)

— **სიმინდის დამზადება.** ცეკავშირს განზრახული აქვს 500.000 ფუთამდე სიმინდის დამზადება.

— **უჩანეიშვილის გამართლება.** ჩვენი გაზეთის 30 ოქტ. ნომერში მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ სტუდენტმა უჩანეიშვილმა მოიპარა ელექტრონის ლამფები ა | კ. კომუნივერსიტეტში. საქმის გარჩევის შემდეგ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერამ უჩანეიშვილი გაამართლა, რადგან მასზე მიტანილი ეჭვები არ გამართლდა.

კრებები და მოხსენებები

— **ქ. თბილისის ყველა მუშკორებს.** 9 ნოემბერს, მუშათა ცენტრალურ კლუბში ლენინის კუთხეში ა | კ. რკ. გზ. სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. **ივანოვი** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე; საბჭოთა კავშირის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის რკინისგზის მეურნეობის მიღწევების და პერსპექტივების შესახებ. დასაწყისი საღამოს 6 საათზე. სასურველია ყველა მუშკორების დასწრება.

მე-2 საგლეხო სესხი

მეორე საგლეხო მომგებიანი სესხის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში აცნობეს შემდეგი:

— სესხის საერთო თანხა განსაზღვრულია 100 მილიონი მანეთით; ეს თანხა თავის მხრივ იყოფა სერიებათ, თვითეული 10 მილიონი მანეთის ღირებულებისა. თვითეული სერიიდან გამოშვებულია 5, 10 და 50 მანეთის ღირებულების ობლიგაციები.

პირველი ნოემბრიდან ხმარებაში გამოვიდა სარეალიზაციოთ მხოლოდ ორი სერია, თვითეული 20 მილიონი მანეთის ღირებულებისა; აქედან 2 მილიონი მანეთი განაღდებული იქნება სოფლად, 18 მილიონი კი ქალაქებში.

სესხის რეალიზაცია ხდება მხოლოდ ნებაყოფლობითი ხელისმოწერით, რომელიც დაიწყო 1-ლ ნოემბერს და დამთავრდება 15 ამა თვეს. ვინც ხელს არ მოაწერს ეხლა სესხზე, მას უფლება არ ექნება მონაწილეობა მიიღოს მოგებათა ტირაჟში, რომელიც დაიწყება მიმდინარე წლის 15 ნოემბერს, რადგან სხვა გზით ობლიგაციების შეძენა არ შეიძლება. 15 ნოემბერს სულ გათამაშებული იქნება 6,562 მოგება, რომელთა საერთო თანხა უდრის 25,000 მანეთს. ამ ტირაჟის გარდა მიმდინარე წელში მოხდება კიდევ სამი ტირაჟი.

ამრიგათ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ამაზე მეტი სერიები გამოშვებული არ იქნა, მოგებათა ტირაჟების საერთო თანხა მთელი წლის განმავლობაში მიაღწევს 1.000.000 მანეთს.

მეორე სახელმწიფო საგლეხო მომგებიანი სესხი აგებულია [illegible] წმინდა საბანკო საფუძვლებზე.

ის წლიურათ იძლევა 12 პროცენტს და ამას გარდა 5 პროცენტს მოგებით, ამიტომ საგლეხო სესხი დაგროვილი თანხების შენახვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი საშუალებაა. ამას ადვილათ მიხვდებიან ვაჭრები, ხელოსნები და ბირჟევიკები და ისინი, ალბათ, პირველნი ისარგებლებენ ამ სესხით, საჭიროა რომ მშრომელმა ელემენტებმაც ისარგებლონ საგლეხო სესხით დაგროვილი თანხების ხელსაყრელ პირობებში შენახვის მიზნით.

მუშებმა და მოსამსახურეებმა უნდა შეიგნონ, რომ საგლეხო სესხის ობლიგაცია იგივე საკრედიტო ბილეთია, რომელიც ყოველთვის შეიძლება გადაცვლილი იქნეს ჩერვონეცზე ანდა დაგირავებული იქნეს შემნახველ კასაში, ბანკში და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში.

მეორე საგლეხო მომგებიანი სესხის ობლიგაციების განაწილება ჩვენი ფინანსიური აღმშენებლობის ერთერთი სერიოზული საკითხია. მისი წარმატებით ჩატარება გააძლიერებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა თავდაცვას კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსიური ბლოკადის წინააღმდეგ.

ი—ნ.

ხელოვნება

ქართული საოპერო სტუდია

სტუდიამ თითქმის სრული შემადგენლობით მთელი ზაფხული გაატარა ბორჯომში, სადაც ის ინტენსიურად მეცადინეობდა. მეცადინეობას ხელმძღვანელობდა კომპოზიტორი არაყიშვილი და აკაკი ფაღავა, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ამ კულტურულ საქმეს და ხელმძღვანელობს სტუდიის მუშაობას ყველა დარგში. სტუდიის ორკესტრი სრული შემადგენლობით ასრულებდა საზაფხულო კონცერტების საორკესტრო პროგრამას ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. 1 ნოემბრიდან სტუდიამ განაახლა თავისი მუშაობა.

მეცადინეობის ხელმძღვანელებს მიზნად აქვთ პირველ ყოვლისა სცენიურად დაამუშაონ ბორჯომში შესწავლილი ოპერები: „ჯამბაზები" „რიგოლეტო", „კარმენ" და აგრეთვე გასულ წელს სანიმუშოთ დადგმული კლასიკური კომიკური ოპერა ჩიმაროზასი „ფარული ქორწინება". სტუდიის ორკესტრი უკვე შეუდგა თავისი პარტიის დეტალურად დამუშავებას. მომავალი მუშაობისათვის ორკესტრი შევსებულია 42 კაცამდე. ორკესტრი მთლიანად (გარდა ერთი მუსიკოსისა) შესდგება ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების მოწაფეებისაგან. მომავალ მუშაობაში სტუდიის მუსიკალური ნაწილის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და ორკესტრის მთავარი დირიჟორი ამის სახალხო არტისტი ივანე ფალიაშვილი, სამხატვრო ნაწილის და სცენების შესწავლას ხელმძღვანელობენ მარჯანიშვილი და ახმეტელი. ახალგაზრდა მომღერლებთან საოპერო პარტიების დასამუშავებლად მოწვეულია არტისტი და ვოკალური პედაგოგი ე. ა. ვრონსკი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

სტუდიურ მუშაკთა შემადგენლობაში არიან სახელმწიფო ოპერის ახალგაზრდა მსახიობები და სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს კურსების სტუდიელები, სახელდობრ,—ტენორები: ქუმსიაშვილი, ანდღულაძე, ბადრიძე, სვანიძე, კარტოზია; ბარიტონები: ელიოზიშვილი, ვენაძე, თარხნიშვილი, ცირღილაძე, ხოფერია; ბანები: ლორთქიფანიძე, იმერელი, გოგაშვილი, ხომაშურიძე, მჭედლიძე; სოპრანო: მრაველი, მექსანიშვილი, მაჭავარიანი, კურცხალია, კვირიკაძე; მეცო სოპრანო: მახარაძე, მაყაშვილი, გობილაია, ჭრელაშვილი; კოლორატურული სოპრანო: კალანდაძე, ღაბაშიძე, თოიძე-აფხაიძისა, გოგლიჩიძე, კარგარეთელი; კონცერტმეისტერები: ფალიაშვილი, შავერზაშვილი.

გარდა ამისა სტუდიასთან შემდგარია გუნდი 35 კაცისაგან.

ახალი კულტურული საქმე წინ მიდის, ფართოვდება და შორს არ არის ის დრო, როცა ქართული სტუდია თავის ხელმძღვანელობით და საუკეთესო ძალებით გამოვა სერიოზული მუშაობისათვის სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე.

მუსიკოსი.

ლეონარდო ზომერის კონცერტი

ახალგაზრდა პიანისტმა უკვე დაგვანახა თავისი დადებითი მხარეები. ის, როგორც სჩანს, სერიოზულად ემზადება საკონცერტო ესტრადისათვის. ჩვენ მოვისმინეთ პროგრამის პირველი ნაწილი და დავრწმუნდით, რომ ის დიდი ნიჭის პატრონია. პიანისტი იჩენს დიდ დაკვირვებას (პეტრარკას სონეტი). პიანისტი იჩენს საუცხოვო ტეხნიკას, ფრაზიროვკას და იძლევა კონტრასტებს. კარგად იყო შესრულებული ლისტის კამპანელა, მხოლოდ შუბერტის მუსიკალური პოემა და ლისტის „ზაფხულის ღამე" უნდა იქნეს შესრულებული უფრო დამთავრებულად, აქ საჭიროა მელოდიური სურათი და კონტრასტები, მეტი ტემპერამენტი მუსიკალურ დინამიკაში, სხვანაირად გაუგებარია ამ პოემის შინაარსი.

ვ. ზ.

—

— **სურათის განხილვა.** მხატვრული კინო-კომედიის „Чудесная книжка"-ს საზოგადოებრივი განხილვა, რომელიც გადაიდო სამგლოვიარო დღის გამო, მოხდება კვირას, 8 ნოემბერს, დღის 12 საათზე, კინო-თეატრ „აპოლოში".

შესვლა უფასოა წინდაწინ დაგზავნილ ბილეთებით.

დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც ბილეთები არ მიუღიათ, შეუძლიათ მიიღონ ასეთები კინო-თეატრში შესვლის დროს.

— **მხატვარ ლ. გუდიაშვილის დაბრუნება.** პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა მხატვარი ლ. გუდიაშვილ.

— **საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სალიტერატურო ორგანო „ლიანდაგი"-ს № 1, შემდეგი შინაარსით: 1. ნ. ზომლეთელი—უღელტეხილიდან, 2. გედეონ გუგუნავა—სოფლის პეიზაჟი, 3. ლეა ჟუჟუნაძე—ურმული, 4. ი. ხოშტარია—მესანდროფ სოფლათ, 5. ბ. პატარაია—პეიზაჟი, 6. ალკა სულავა—მოგონება პრიმიტივით, 7. იასამანი—მშრომელს, 8. სეზმან ერთაწმინდელი—ნისლიანი ღვინობისთვე, 9. კ. კობახიძე—მთვარე, 10. ი. ლისაშვილი ზოგჯერ და ეხლა, 11. მიშა აბაშისპირელი—პროლეტარიატი, 12. მ. გოგიაშვილი—ემილ ვერჰარნ, 13. ვილ-მარ—სიმინდის ტეხვა, 14. შაქრო ნავთლუღელი—ფიქრის სიმღერა, 15. სიო ხიდისთაველი—მზის ქვეყანაში, 16. გ. შინატეხელი—წითელი ავიატორის სიმღერა.

პროზა: 1. არჩილ ჩაჩიბაია—ეჰ!.. 2. გ. ციმბირელი—სიმონა, 3 გ. მალაქიაშვილი—სამნი (რომანი), 4. დ. ნინოწმინდელი—ქუჩის ფარანი, 5. შ. ჯანბერიძე—ასმათი; ბიბლიოგრაფია. ჟურნალი გამოცემულია სუფთად და კარგ ქაღალდზე.

— **ა. მ. კლდიაშვილის საღამო.** დღეს, 5 ნოემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში იმართება ხუროთმოძღვარ ა. კლდიაშვილის საღამო. გამოფენილი იქნება მისი ახალი ტეხნიკური გამოგონებები. საღამო იქნება კონცერტით და სალიტერატურო განყოფილებით.

ფიზიკური კულტურა

შეჯიბრი მძლეოსნობაში

გუშინ, 4 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე დაიწყო ფიზკულტურის მოვარჯიშეთა სრულიად საქართველოს პირველი შეჯიბრი.

გუშინ შეჯიბრი ხდებოდა სროლაში და მძლეოსნობაში. დღეს და ხვალ გაგრძელებული იქნება ორივე შეჯიბრება. 8 ნოემბერს მოხდება პიროვნული შეჯიბრი მძლეოსნობაში და ჯილდოების დარიგება მონაწილეთათვის.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს, აჭარისტანის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის და ყველა მაზრების საუკეთესო მოვარჯიშენი.

ფეხბურთი

კვირას, 8 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე მოხდება თბილისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის და კავკავის ნაკრებ გუნდის შეჯიბრება.

თბილისის ნაკრებ გუნდში შედიან პაპკოვი, კოზაკი, თედეევი, იმნაძე, ბერლინოვი, ბლანკმანი, ქებაძე, მდივანი, ფალავანდიშვილი, ჟორდანია და იზუმსკი. სათადარიგო მოთამაშენი: ქსენაფონტოვი, გუნია და ცომაია.

შემთხვევები

— **დაკარგვა.** 1 ნოემბერს, დილის 9 საათზე მე-4 ს.-მ. რაიონის უნცროსი მილიციონერი ვლადიმერ კობიძე, რომელიც ცხოვრობდა იმავე რაიონის მილიციის შენობაში, გასულა და დღემდე უკან აღარ დაბრუნებულა.

— **უეცარი სიკვდილი.** 3 ნოემბერს გოგილოს აბანოს ქვევით უეცრათ გარდაიცვალა უცნობი მოქალაქე.

— **უბედური შემთხვევა.** 3 ნოემბ., ნაშუადღევის 4 საათზე, საბჭოს ქუჩაზე ჯაფარიძის სახელობის ბაღთან მიმავალ ეტლს № 190 დაეჯახა ტრამვაის [illegible], რის დროსაც ეტლში მჯდომ ქალს ვართანუშა კალაშიანცს გადმოუვარდა 3 წლის ბავშვი, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

— **ქურდობა.** 31 ოქტომბერს დღით მახარაძის ქ. № 3, გაქურდეს ბიქტორ ბინსკის ბინა.

ამავე დღეს კონსტანტინეს ქ. № 13 გაქურდეს კ. ნედლიშვილის ბინა.

— **შეპყრობა.** 3 ნოემბერს შეიპყრეს არშაკა ოგანესოვი ქურდობისათვის.

— **ჯიბგირობა.** 31 ოქტ. მანიკ კარაპეტიანს ვერცხლის ქ. № 32, საკონდიტეროში ამოაცალეს 100 მან.

უბედური შემთხვევის შესახებ

თბილისის განაპირა უბნებში ყოველ წელიწადს ხდება უბედური შემთხვევები, რასაც იწვევს გაუფრთხილებელი მოპყრობა და თამაში საარტილერიო ყუმბარებთან, კაპსიულებთან, სადისტანციო მილებთან, ასაფეთქებელ მასალებთან და სხვა. ყველა ამ საგნებში მოთავსებულია ადვილათ ასაფეთქებელი მასალები, ამიტომ საჭიროა მეტათ ფრთხილი მოპყრობა მათდამი.

აუფეთქებელ ყუმბარებს, კაპსიულებს და მილებს მოქალაქენი შემთხვევით პოულობენ იმ ადგილებში, სადაც წინეთ სამხედრო მოქმედება ან და სასწავლო სროლა სწარმოებდა. ამ ასაფეთქებელი მასალების მპოვნელები ჩვეულებრივ სცდილობენ გააკეთონ იქიდან რაიმე ორიგინალური ნივთი ან და ამოკრიფონ ფერადი ლითონები, რომლებითაც მდიდარია ეს მასალები. ასეთი ნივთები, ბოლოს და ბოლოს, მეტათ ძვირათ უჯდება ცნობის მოყვარე მოქალაქეთ.

19 ოქტომბერს სადისტანციო მილებთან გაუფრთხილებლათ მოპყრობის გამო მოკლული იქნა ორი ბავშვი და დაიჭრა ოთხი მოქალაქე, რომელთაგან ორი მწყემსი აღმოჩნდა. კაპსულის აფეთქებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

1924 წელს ბავშვები ათამაშებდენ საარტილერიო ყუმბარას; აფეთქების დროს დაიღუპა რამდენიმე კაცი. 1922 წელში ნავთლუღის ახლო ჰაეროყუმბარის აფეთქებისაგან მოკვდა რამოდენიმე კაცი და დაიჭრა ხუთი. ერთერთ სამილიციო კომისარიატში 1925 წლის განმავლობაში აღნიშნულია დაჭრის 20 შემთხვევა.

ასეთივე შემთხვევებს ადგილი აქვს ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებშიაც.

მიუხედავათ იმისა, რომ სასროლ მინდვრებზე, სადაც მოქალაქენი პოულობენ კაპსიულებს და მილებს, ხდება ყუმბარების ნატეხების და ნაწილების მოგროვება, მაინც შეიძლება დარჩეს მიწაში ჩაფლული აუფეთქებელი სადისტანციო მილები და ყუმბარები, რომლების აღმოჩენა ძნელია მინდვრის შემოვლის დროს.

ჩვენი ცხოვრების ამ არანორმალური ფაქტების აღმოფხვრა შეიძლება, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ისე იმ მოქალაქეთა შეერთებული ბრძოლით, რომლებსაც სურთ ახალგაზრდა თაობის დაცვა უბედურ შემთხვევებისაგან. საჭიროა განემარტოთ განაპირა უბნების მოსახლეობას, რომ ყოველი უცნობი ნივთი, რომელსაც ესა თუ ის დამოკიდებულება აქვს ასაფეთქებელი მასალებთან, მიტანილი უნდა იქნეს მცოდნე პირთან, რომელიც აუხსნის მათ, თუ ვის უნდა მიმართონ საჭირო ცნობებისა და განმარტებისათვის.

საჭიროა ამ საქმეში ფართო საზოგადოებრივი თაოსნობის გამოჩენა.

გ-ნი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. მუშკორები

მოწვეული არიან სამხატვრო კინო-კომედიის „Чудесная книжка“-ს საზოგადოებრივ განხილვაზე, რომელიც შესდგება კვირას, 8 ნოემბერს, დღის 12 საათზე, კინო-თეატრ „აპოლლო“-ში.

შესვლა უფასოა, მისაპატიჟებელი ბილეთებით და რედაქციის მოწმობით.

თავი მოიწამლა და მოწამლა ცოლ-შვილიც

(ჩვენი მუშების ყოფა-ცხოვრებიდან)

— რა ამბავია, ავათ ხარ?

— მოწამლული ვარ, ჩემო ნიკო, ჩემი ხელით ჩემი სხეული მოვწამლე.

— რაო? რაზე ან რით მოიწამლე თავი? „თეთრი“ იყო თუ „წითელი“?

ერთიც ღმერთმა დასწყევლოს და მეორეც. მაგ შხამისაგან ჩემისთანები ათასობით იწამლებიან.

— მაინც რაშია საქმე, მართლა, სერიოზულად ავადა ხარ? ექიმს მოვიყვან.

— საქმე იმაშია, ჩემო კარგო, რომ გუშინ სამუშაოდან წამოსვლისას, როგორც ყოველთვის უსადილო ვიყავი, გავიარე იარმუკაში, მინდოდა ბავშვისათვის ფეხსაცმელი მეყიდნა, ბავშვი სკოლაში უნდა გამეგზავნა. იქ შემთხვევით შევხვდი ჩემს ნათლი-მამას. მცირე ხნის საუბრის შემდეგ ჩავედით ორივე ერთ სარდაფში და მოვითხოვეთ არაყი ერთი ბოთლი, ერთს მეორეც მოჰყვა სპირტმა თავისი ძალა გამოიჩინა და გამაბრუა. დაუკრეს მეზურნეებმაც. ამ „მომჯადოებელ“ მუსიკამ გავლენა მოახდინა ჩვენზეც და იქვე ცელ-გამოსმულ ბალახივით სკამებზე დავეშვით.

— კაცო მოგვიტანე კიდევ ერთი კვარტი!—წამოვიძახეთ ორივემ ერთხმად. მიკიტანმა სწრაფათ შეასრულა ჩვენი ბრძანება. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ბოლოს გონდაბნეული მივედით დახლთან და ჩვენი ჯიბეებიც დავცალეთ მიკიტნის სასარგებლოთ; დამავიწყდა ბავშვის ფეხსაცმელი, სკოლაც და წამოველ სახლისაკენ, გზაში წვიმამ წამომასწრო, და ისედაც შრომისაგან დასნეულებული სხეული უარესად დამისნეულდა. დღეს კი ლოგინიდან თავს ველარ ვწევ, კუჭ-ნაწლავი საშინლად მეწვის, წელი და გვერდები მტკივა; ხველამ მიმატა; შუბლი მიხურს და სამსახურშიც ვერ წავსულვარ.

— შენ მოწინავე მუშათ სცნობ შენს თავს და ასე იქცევი, რას იზამენ შენი მაყურებელი შეუგნებელი მუშები?!

— რა უნდა ჰქნან იმაზე მეტი, რასაც ისინი შვრებიან. ყოველ შაბათს და კვირას. რომ სხედან სარდაფებში და „მამაპაპურათ“ ლოთობენ, თავიანთ ოჯახს აქცევენ, მიკიტნებისაც კი აშენებენ, რავიანთ ცოლშვილს სიმშილით აქლევებენ და მიკიტნებისას კი ასუქებენ.

— ვაი, ჩვენს უგუნურობას! როდის მოეღება ბოლო ამ საშინელ სენს.

ალ. ბ—შვილი.

ხშირად ასეთი საღამოები

29 ოქტომბერს ჯანსახკომის კლუბში (ევანგულოვის ქუჩა № 12) ადგილობრივი ძალებით გამართული იქნა საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა სააგიტაციო-საპროპაგანდო სანპიესა „დაღუპული ოჯახი“. წარმოდგენის წინ წაკითხული იქნა ექიმის მიერ ლექცია ლოთობის წინააღმდეგ. ლექტორმა მოკლედ და შინაარსიანად გააცნო დამსწრეთ, თუ რანაირად მოქმედობს საერთოდ მაგარი სასმელები ადამიანის სხეულზე.

წარმოდგენა ყველასათვის უფასო იყო. დამსწრეთა უმრავლესობას შეადგენდენ წითელ არმიელები და კურსანტები; წარმოდგენა ჩატარდა კარგად. დასს ეტყობა კარგი ხელმძღვანელობა. ამ კლუბში ხშირად იდგმება ასეთი საყურადღებო და შინაარსიანი წარმოდგენები და იქვე მობანაკე წითელ არმიელთათვის მუდამ უფასოა შესვლა.

ეტყობა ჯანსახკომის კულტ-კომისია სდგას თავის სიმაღლეზე და არ იშურებს თავის ენერგიას კულტ-საქმიანობისათვის.

ასეთი კულტ-კომისია მადლობის ღირსია.

მუშკორი ა. ბობუთური.

მე-18 შრომის სკოლაში

1 ნოემბერს აქ გამოწვეული იქნა ქ. თბილისის მე-18 შრომის სკოლის მოწაფეთა მშობლების საერთო კრება, სადაც კრების გამგემ სოფიო ვახვახიშვილმა გააკეთა მოხსენება 1924 | 25 სამოსწავლო წლის მშობელთა დელეგატების პრეზიდიუმის და პედაგოგიურ საბჭოს მუშაობის შესახებ.

მუშაობა კრების მიერ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და მშობელთა პრეზიდიუმის სახელით უღრმესი მადლობა გამოუცხადეს, როგორც სკოლის გამგეს ისე პედაგოგიურ საბჭოს შემადგენლობას მათი ენერგიულ მუშაობისათვის.

განსაკუთრებით აღტაცებით მოიხსენიეს მშობლებმა ა. წ. გაზაფხულზე ამავე სკოლის მოწაფეთა მიერ მოწყობილი გამოფენანი.

დასასრულ კრების მიერ არჩეულ იქნენ ახალი დელეგატები, რომლებმაც თავის მხრიდან აირჩიეს ახალი პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისია.

ა. ნადარეიშვილი.

პროფკავშირის წევრებში იზრდება

ა. | წ. 18 ოქტომბერს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში შესდგა თბილისის მ. | გ. მილიციის მწყობრ ნაწილის თანამშრომელთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 200-ზე მეტი თანამშრომელი. კრებამ მოისმინა ექვსი თვის ანგარიშის შესახებ ადგილკომის მოხსენება, სარევიზიო კომისიის დასკვნით და სცნო იგი ფრიად დამაკმაყოფილებლად. ახალი მეთოდით არჩევნების შესახებ მოკლე შინაარსიანი ინფორმაციული მოხსენება გააკეთა კავშირების ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენლემა ამხ. თურქიამ, რის შემდეგ არჩეულ იქნა ახალი ადგილკომი და სარევიზიო კომისია.

აღსანიშნავია „ნაკაზი“, რომელიც კრებამ მისცა ახალ ადგილკომს, რომელიც შეიცავს შემდეგს:

1. მოწვეულ იქნას საერთო კრება რეგულიარულად თვეში არა ნაკლებ ერთისა;
2. მიექცეს ყურადღება კრებების საკითხებს დღიურ წესრიგში მილიციელების ყოფა-ცხოვრებიდან გამომდინარე საკითხების დასმით;
3. საერთო კრებას წარედგინოს ადგილკომის ანგარიში ორ თვეში ერთხელ სარევიზიო კომისიის დასკვნით, ხოლო საფინანსო ანგარიშები კი ყოველთვიურად თვით რაიონის კრებებზე;
4. გაცხოველებულ იქნეს სადელეგატო კრების მუშაობა;
5. დაევალოს დელეგატებს ანგარიშის წარდგინა ამომრჩევლებისათვის;
6. დაწყებულ იქნეს საეკონომიო მუშაობა რაიონების ჩაბმით; დაევალოს ადგილკომს მილიციელთა შრომის პირობების შესწავლა კავშირის ც. გ. საშუალებით;
7. ადგილკომმა შემოიღოს პრაქტიკაში განთავისუფლებულ უფრო მეტ ჯამაგირიან ადგილზე კანდიდატების წამოყენება;
8. დაევალოს ადგილკომს მოაწესრიგოს მილიციის მუშაკთა კრედიტის საკითხი;
9. მიიღოს ზომები მილიციელთა საცხოვრებლად ერთი სახლის მიღების შესახებ;
10. მიიღოს ზომები მილიციელთა კოოპერატივის წევრებათ ჩარიცხვის შესახებ;
11. კულტ-მუშაობა წარმოებულ უნდა იქნეს მუშაობის ერთეულებში გადატანით და ადგილობრივად კულტ-კომისიების მოწყობით;
12. წინადადება მიეცეს სარევიზიო კომისიას გაუკეთოს ადგილკომის ფინანსიურ დარგს რევიზია არა ნაკლებ ერთისა თვეში.

მუშკორი მილიციელი.

გამოგზავნილი წერილებიდან.

— **იყიდეთ ერთი საბეჭდი მანქანა.** სად. ქარელში არის რკინისგზის კანტორა, რომლის თანამშრომლებს შესასრულებელ ქაღალდების წერა და გადაწერა უხდებათ ხელით. ეს კი მათ ართმევს დიდ დროს; მასთან ასეთი სამუშაო მოითხოვს კანტორის შტატის გადიდებას, რაც მეტ ხარჯებს იწვევს, რომ ქაღალდები თავის დროზე იქნას შესრულებული. ყველა ამ ხარჯებს შევამცირებთ, თუ ერთ საბეჭდ მანქანას შევიძენთ.

გ. გ—შვილი.

— **სად. ბორჯომის ბუფეტში.** ეს ბუფეტი თითქოს იმისათვისაა გახსნილი, რომ ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს და მგზავრებს ტყავი გააძრონ. ამ ბუფეტში ყველაფერი საშინლად ძვირობს. მასთან ბუფეტი მოთავსებულია ფეხსადგილის გვერდით და იქაურობა საშინლად აყროლებულია და გაბინძურებული.

მიიღეთ ზომები!

მუშა გოგია.

— **ან ერთი ან მეორე!** სად. ქარელში ყოველთვის დიდი უსუფთაობა სუფევდა, ეხლა კი ეს სადგური მთლად გაბინძურებულია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სადგურის დარაჯი ამ ჟამად ადგილკომის პ. | მდივნად ითვლება და ორი სამუშაოს რიგიანად შესრულებას ვერც კი ახერხებს. ორივეში ეს მუშაკი მოიკოჭლებს. საჭიროა მას მიუჩინოთ ერთი რომელიმე სამუშაო.

მუშა განა.

— **ვის გაუგონია ყოველთვის დაკეტილი სამკითხველო!** სად. ქარელში არის ერთი სამკითხველო, რომელიც ძალიან ღარიბია წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. ეს კიდევ არაფერია, რომ შეიძლებოდეს სარგებლობა იმ წიგნებით მაინც, რაც აქ არის. ეს სამკითხველო ყოველთვის დაკეტილია. ადგილკომმა და კულტკომისიამ უნდა მიაქციონ ამ დაუშვებელ მოვლენას ყურადღება და მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკას ჰგავდეს; შეძენილ იქნეს სათანადო წიგნები და იგი იღებოდეს სათანადო დღეებში.

მუშა მკითხველი.

— **ამ კომენდანტს მუშები სძულს.** სასახლის სასტუმროს და მის ქვეშ მდებარე სარდაფების მუშებად ითვლებიან ამხ. ნაზიმიანცი სარქისიანცი და გასპარიანცი, რომელთაც სასტუმროს კომენდანტი სვანიძე დესპოტიურად ეპყრობა: თვითნებობით აპატიმრებს, არ უშვებს მათ თავიანთ ბინებში და უკრძალავს ხშირად მუშაობასაც. ამ ჟამად ამხ. ნაზიმიანცი და სარქისიანცი სამუშაოდანაც მოხსნა.

ალმასკომო, რაშია საქმე?

მუშა მოკეთე.

— **შეაკეთეთ.** კახეთის ქ. № 21 არის ორსართულიანი სახლი. სარდაფში მოთავსებულია საწყობი. ქუჩის მხრივ საწყობის ფანჯრები ჩამტვრეულია, თუ ეს ფანჯრები არ შეკეთდა იქ ვინმე ფეხებს მოიმტვრევს.

ალმასკომო, მიიღე ზომები!

მუშკორი ალ—ბე—შვილი.

— **შეაკეთეთ ეს ქუჩაც!** მე-9-რე უბანში ადგილობრივ სამილიციო უბნის შენობის წინ ქუჩის მთელი კვარტალი ძალზე გაფუჭებულია და ორმოებით დაფარული. ღამით ამ კვარტალით გავლა სახიფათოა და საშიში, მეტადრე წვიმიან დღეებში, როდესაც მუხლებამდის წყალში და ტალახში გიხდებათ ტოპვა. განსაკუთრებით აუტანელია ეს ქუჩა სკოლაში მოსიარულე ბავშვებისათვის.

მუშა ვახუშტი.

— **დრო და სურვილი უნაყოფოთ გვეკარგება.** ქ. პიათურაში არსებობს ე. წ. მაღალი ტიპის მუშათა სასწავლებელი, სადაც დაახლოებით მეცადინეობს ორასამდე მოსწავლე-მუშა. მოსწავლენი დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. მოწაფეებს აქვთ დიდი სურვილი მიიღონ სწავლა-განათლება, მაგრამ მათ ამაში ხელს უშლის ერთი გარემოება: პირველი ჯგუფის აუდიტორიაში, სადაც საღამოობით მეცადინეობა სწარმოებს, არა გვაქვს განათება, რის გამო ერთ ან და ორ გაკვეთილის მიცემის მეტს ვერ ახერხებენ მასწავლებლები და მსმენელთ სრულიად უნაყოფოდ ეკარგებათ დრო და ეკარგებათ სწავლის სურვილიც.

ვ. გეგეშიძე.

წერილები სოფლებიდან

ნუ მოგვაცხებთ ჩირქს

როგორც გაზეთებიდან სჩანს, ამ ბოლო ხანს ჩვენს სოფლის სკოლებშიაც ფეხი მოიკიდა საზოგადო სენმა, რომელსაც სახალხო ქონების მითვისება ეწოდება. მხოლოთ აქ ამ სენმა თავისებური და შეიძლება ბევრათ უფრო მახინჯი სახე მიიღო, ვიდრე ამას ადგილი აქვს სხვა რომელიმე დაწესებულებაში, თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში

ეს უმთავრესათ იმით აიხსნება, რომ სოფლის სკოლები ზოგიერთ შემთხვევაში მეტად უმწეო ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ არ სწვდებათ ცენტრის ხელი და ვერც ადგილობრივი ორგანოები უწევენ სათანადო დახმარებას. სკოლას არ უვარგა შენობა, არა აქვს სათანადო სასწავლო ნივთები, არ მოეპოება შეშა ზამთრისათვის და სხვადასხვა. ბევრჯერ მასწავლებელს თვითონვე უხდება ყოველივე ამაზე ზრუნვა. თავის პირდაპირ მოვალეობის გარდა ის ეძებს საშუალებებს სკოლისათვის ხელის შესაწყობათ და მის დახურვისაგან გადასარჩენათ.

აქ, რასაკვირველია, მასწავლებლებს მადლობის მეტს ვერაფერს ეტყვიან. აქედან ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ მასწავლებელს გული ერჩის სოფლის ჭირ-ვარამისადმი და თავის მოვალეობას ვიწრო ჩინოვნიკური თვალსაზრისით არ უდგება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგჯერ კეთილად დაწყებული საქმე, ერთობ სამარცხვინოთ თავდება და დიდი ზიანი მოაქვს, როგორც მასწავლებლის სახელისთვის, ისე სწავლა-განათლების საქმისათვისაც.

მაგალითად, კორესპონდენციებიდან ვტყობილობთ, რომ ამ და ამ მასწავლებელმა შეკრიბა მოწაფეებში შეშის ფული და მას ის შემოეჭამა, რომ შეგროვილი იყო თანხა სკოლისათვის სასწავლო ნივთების, ან ბავშვებისათვის სახელმძღვანელოების შესაძენათ და შემგროვებელს ფული შემოეხარჯა და სხვა. ამას წინად ერთ კორესპონდენციაში ასეთი ცნობაც იყო, რომ რომელიღაც მასწავლებელმა ოთხ თუმნამდე დააგროვა მოწაფეებთან საერთო სურათის გადასაღებათ. ექვსი თვე გავიდა ფულის შეგროვების შემდეგ და არც სურათი უნახავს ვისმე, არც შეგროვებული ფული.

თავისთავად ეს თითქოს დიდი ბოროტება არაა. რა უნდა იყოს სამი თუ ოთხი თუმანი იმ ათასებთან შედარებით, რომელსაც იჯიბავენ ვთქვათ კოოპერატივის უღირსი მუშაკები. მაგრამ მასწავლებლისათვის, მის საზოგადოებრივ მდგომარეობისათვის, ნემსის ოდენა ნაკლსაც კი აქლემის მნიშვნელობა ეძლევა. ჩვენ ვიცით როგორი თვალით უყურებს სოფელი მასწავლებელს. ის ზნეობრივ უმწიკვლოების და კეთილ-სინდისიერების პირველ მაგალითს წარმოადგენს, მას სამართლიანათ ეწოდება არა მხოლოთ სკოლის, მცირეწლოვანთა აღმზრდელი არამედ **სოფლის მასწავლებელი.**

ადვილი წარმოსადგენია ასეთ პირობებში რა მდგომარეობაც იქნება მასწავლებლის სახელის გარშემო „უმანკო“ დანაშაულის გამოც კი.

მე მგონია ამ თავისებურ სახის მფლანგველობას, სკოლის კედლებში ბოლოს მოუღებენ თვითონ მასწავლებლები. რაც ადრე იქნება ეს, მით უკეთესი საერთო საქმისათვის და სოფლის მასწავლებლის კეთილი სახელის დასაცავათ.

თოხწლიდელი.

ბებია დარია რუისიდან

(გ ო რ ი)

ამაზე მეტი უსამართლობა, დამეთანხმებით, რომ აღარ იქნება. კაცი რომ სრულიად უდანაშაულოთ და უკითხავათ სიცოცხლეს გამოასალმო და არა ერთი, ან ორი, არამედ რამდენიმე ათეული მოქალაქე. ასეთ საქმეს კი თავისუფლად, განუკითხავად სჩადიოდა ბებია ქალი დარია პეჟინა, სოფელ რუისიდან. მისი სახელი მეტად პოპულიარული შეიქნა რუისელ დედაკაცებში. ვის ფული მოჰქონდა ბებია დარიასთან, ვის სურსათ-სანოვაგე ორსულობისაგან თავის დასაღწევათ.

დარიაც დაუზარელათ მუშაობდა და ისე დღეს არ გაუშვებდა, რომ ერთი დედაკაცი მაინც არ გაეთავისუფლებია „ცოდვისა ამ ქვეყნისაგან“. რუისისთვის ეს სრულიად საკმარისი იყო. ამ სოფლის მცხოვრებთა ზრდა ყოველდღიურათ ერთ სულს არც კი აღემატება. ამნაირათ რუისი თითქმის გადაგვარების საფრთხის წინაშე იდგა. ვინ იცის რამდენ ხანს გასტანდა დარიას ასეთი საქმიანობა და რამდენ უდანაშაულო მომავალ საბჭოთა მოქალაქეს წაართმევდა ის საშვალებას ეხილა ოდესმე რუისის ბუნების მშვენიერება, რომ გლეხკორის კალამი არ ჩარეულიყო ბებია დარიას სახელსაქმო იარაღებში და არ დაერღვია მისი მყუდრო მუშაობა.

აგვისტოს რიცხვებში გაზეთ „მუშაში“ დაიბეჭდა ვინმე რუისელის წერილი, სადაც კორესპონდენტი, სხვათა შორის, ბრალს სდებდა ბებია დარიას გლეხ-ქალებისათვის მუცლის ხელოვნურათ მოშლაში... ბებია მეტად გულნატკენი დარჩა ამ წერილით. დატრიალდა ჯარასავით. ყველა მისი მწყალობელი ფეხზე დააყენა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში მოწვეულ იქნა სოფლის საერთო კრება. კრების დღისწესრიგში ბებიას შეურაცხყოფის საკითხაც იდგა. გააკეთეს მოხსენებაც. დამსწრეთა შორის, როგორც ეს ჩვეულებრივათ ხდება, მხოლოთ აქა-იქ იყვნენ დედაკაცები. კრების უმრავლესობა მამაკაცებისგან შესდგებოდა. დედაკაცებმა, ადვილათ გასაგები მიზეზების გამო სრული სიჩუმით მოისმინეს მოხსენება მუცლის წახდენის შესახებ. მამაკაცების მუცლებისთვის კი ბებია დარიას ხელი არასოდეს არ უხლია. რა უნდა ეთქვა მათ მომხსენებლის შეკითხვაზე? გლეხებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს და საქმე ამრიგათ დარიას სასარგებლოთ გათავდა. ის სოფლის ყრილობამ გაამართლა.

ბებია დარია ამის შემდეგ არხეინათ შეუდგა მომავალ რიუსელ მოქალაქეთა ბედზე „ზრუნვას“. ნუ თუ ისეთი ბრალდება, როგორიც მუცლის მოწყვეტაა, შეიძლებოდა საზოგადო კრებაზე ყოფილიყო გამოტანილი, სანამ წინასწარი კვლევაძიება არ მოხდებოდა? რას იტყვის ამაზე რუისის საბჭო?

მეთვალყურე.

უკლებლივ გამოცხადდენ

(თ ე ლ ა ვ ი)

1903 წელში დაბადებულთა გაწვევა უკვე დამთავრდა. ახალგაზრდები დაითხოვეს შინ 5 ნოემბრამდე. ამ დღეს უნდა გამოცხადდენ, ვინც მიღებულნი არიან და შეღავათი არა ჰქონდათ ოჯახურ მდგომარეობის გამო. 7 ნოემბერს გამოცხადდებიან მე-3 ხარისხის შეღავათიანები, ხოლო 9-შიმე-2 ხარისხისა.

თელავში, გამოწვევის დღეებში მათ აჩვენებდენ კინოს. ბევრმა პირველათ ნახა აქ კინო-წარმოდგენა.

წარსულ გაწვეულებზე ვერას ვიტყვი, მაგრამ წლევანდელ გაწვევას სულ სხვანაირად შეხვდენ ახალგაზრდანი. მათ კარგათ შეიგნეს რომ ეხლანდელი ყაზარმები არაფრით არ შეედარება წინანდელ შავ ყაზარმებს. სადაც ჯარისკაცებს ისე უყურებდენ, როგორც მონებს. ამიტომ წინათ ბევრი იმალებოდა, ბევრი სიწამლავით განგებ თავს ისნეულებდა და სხვადასხვა ხრიკებს ხმარობდა სალდათობის ასაცდენად.

ეხლა სულ სხვა სურათი გვეშლება. ჯარში წასვლას ისე უყურებენ, როგორც სახალისო საქმეს, ხოლო ყაზარმებს—როგორც სკოლას, სადაც ისწავლიან, გათვითცნობიერდებიან და შეგნებულ მოქალაქეებათ დაბრუნდებიან სახლში.

სწორედ ამით აიხსნება, რომ თითქმის ყველა გასაწვევი გამოცხადდა. დარჩენ ისინი, ვინც მთაში სცხოვრობს და ვისაც ზაფხულში ეხსნება გზა.

ვ.

ვინ მივდივართ

(ტყვიავი, გორ. მ.)

სასოფლო სამეურნეო ბანკმა აქაურ მეხილეთა ამხანაგობა „ლიახვს“ სესხათ მისცა 9 წლის ვადით 30 ათასი მანეთი. ამ ფულით შენდება ხილის საწყობი, სადაც ზამთრისათვის შეინახება 80 ათასი ფუთი ხილი. დღეიდან აქაური გლეხობა უზრუნველყოფილია. მას ხილი აღარ გაეყინება, როგორც ეს წინათ ხდებოდა. აღნიშნული შენობა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ამ ორი კვირისა.

ტყვიავში ალმასკომის ხარჯზე უნდა საფუძვლიანათ შეკეთდეს შვიდთვალიანი შენობა, სადაც მოთავსებული იქნება სასოფლო სამეურნეო ბანკი, მილიცია და სხვა. ალმასკომის დაარსების დღიდან აქ გაკეთებულია ხუთი ახალი ბოგირი, რომელიც დიდ საჭიროებას წარმოადგენდა გლეხობისათვის. განზრახულია ბოგირების გაკეთება სხვა ადგილებზედაც. სწარმოებს დიდი მუშაობა გზების შესაკეთებლათ, რომელშიც დიდ მონაწილეობას ღებულობს გლეხობა.

ტყვიავის გლეხობამ აგრეთვე მიზნათ დაისახა, რათაც არ უნდა დაუჯდეს, აბანო გააკეთონ, რისთვისაც გამოყვეს სამშენებლო კოლექტივი. ეს კოლექტივი მუშაობს ალმასკომსა და გლეხკომთან ერთად. გლეხკომს საამისოთ უკვე გადადებული აქვს 700 მანეთი.

აქვე შენდებოდა შვიდწლედისათვის ყოფილი თავადის დანგრეული სახლი, რომელიც დამთავრებული იქნა პირველი ნოემბრისათვის. აღსანიშნავია, რომ საჭირო მასალა შეძენილ იქნა ალმასკომის და გლეხკომის მიერ, მუშა-ხელი და ურმები დაიკისრა თვით გლეხობამ.

საჭიროა სხვა სოფლის თემალმასკომებმა და გლეხკომებმა მიჰბაძონ ტყვიავის საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობას.

ტაბუცაძე.

წერილებიდან

[illegible] (ზუგდ. მ.)

ვინ მისცა ამის უფლება. ამას წინათ აქ მიდიოდა წარმოდგენა. სცენის მოყვარეები სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდენ და იმდენათ დაამახინჯეს პიესა, რომ დარბაზში უკმაყოფილების ნიშნათ ხმაურობა ატყდა. ამ დროს სცენიდან თოფით ხელში გადმოიჭრა ს. მაქაცარია და შესძახა ხალხს: „შეჩერდით, თორემ გაგაქვავებთ!“ ვინ მისცა მაქაცარიას ამის უფლება?

ვალიკო.

სურამი

უკლებლივ გამოცხადდენ. 1903 წ. დაბადებულთა გაწვევა დამთავრდა. ახალგაზრდები უკლებლივ გამოცხადდენ. აღარ ჰქონია ადგილი პირისუფლების და ნათესაობის მხრივ იმ ჟივილ-ტირილს, რომელიც წინათ ხდებოდა გლეხობის ჯარში გაწვევის დროს. ახალგაზრდები დიდი აღფრთოვანებით ცხადდებოდენ შესაკრებ პუნქტზე.

ინგანი.

ზემო-ავჭალა (თბ. მ.)

საჭიროა შეფი. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი სოფელი თბილისის გვერდით მდებარეობს, არც ერთ ქალაქის დაწესებულებას არა აქვს ჩვენთან არც კულტურული და არც ეკონომიური კავშირი. ამავე დროს სოფელი მეტად ჩამორჩენილია და განსაკუთრებით მოიკოჭლებს სკოლის საქმე. საჭიროა შეფი.

შ. ლორთქიფანიძე.

ორულ-ერგეთი (ზუგდ. მ.)

საჭიროა საექიმო პუნქტი. აქ ძალიან გავრცელებულია ციებ-ცხელება. არც ექიმი და არც ფერშალი ჩვენ არა გვყავს. ხალხი ექიმბაშების და მკითხავების ხელშია. მაზრამ უნდა მიიღოს ზომები საექიმო პუნქტის დასაარსებლათ.

ჯაჯუ.

ზუგდიდი

ექიმბაში ფუხული. მიმდინარე წლის მაისიდან აქ მოღვაწეობს ექიმბაში ფუხული ლომაია. ის ისე ოსტატურათ იქცევა, რომ უკვე შორს გაითქვა სახელი თავის „ჯადოსნური“ ექიმობით. გლეხობა უკანასკნელ სახსარს არ იშურებს და მასთან მოაქვს, რომ განიკურნოს სენისაგან. ავადმყოფი დროებით რჩება, გასამრჯელოს აძლევს ფუხუს და სნეულება შემდეგ მეტი ტკივილებით უახლდება. საჭიროა გაიცოცხოს აქედან ექიმბაში ფუხული.

უბედური.

ცაგერი (ლეჩხუმი)

ზამთრისთვის არ გამოდგება. გვაქვს სახალხო სახლი, რომელიც ერთად ერთ კულტურულ და საზოგადოებრივ მუშაობისათვის გამოსადეგ დარბაზს წარმოადგენს, მაგრამ ის იმდენათ დაზიანებულია, რომ შეუკეთებლათ, ზამთარში იქ მამალიც კი გაიყინება.

ვარამი.

ქულაში (ქუთ. მ.)

უექიმოთ დავრჩით. აქ არის აფთიაქი და საექიმო პუნქტი. გვყავდა ექიმი ჟორდანია, რომელიც ჯარში გაიწვიეს. ამით სარგებლობენ კერძო ექიმები და სოფელს ტყავს აძრობენ. ჯანმრთელობის განყოფილებავ, რატომ აგვიანებ ექიმის გამოგზავნას?

აკ. მელქაძე.

სამიკიტნოს ნაცვლათ წითელი სასადილო.

თქვენს პატ. გაზეთში № 228 4 ოქტომბ. მოთავსებული იყო წერილი, რომ ს. ტყვიავის სამკითხველოს ხელს უშლის ხმაურობით სამიკიტნო, გაცნობებთ: სამიკიტნო დახურულია და გლეხკომის შენობა გადაეცა ადგილობრივ ქალთა წრის ორგანიზაციას წითელი სასადილოს გასახსნელად.

ტყვიავის თემის ალმასკომის მდივანი: გ. საბაშ.

ბოროტმოქმედების კვალ და კვალ

თანახმად თქვენდამი რწმუნებულ გაზეთში № 201—3 სექტემბ. მოთავსებულ წერილისა სათაურით „მხეცი კომისრის თანაშემწე“ გაცნობებთ, რომ ამ საქმის შესახებ დიღომის თემ-მილიციის უფროსი თანამშრომელი ნაკაშიძე, როგორც სჩანს თბილისის ალმასკომის ადმინ-განყოფილების ა | წ 12 ოქტ. № 186 მოხსენებიდან, დათხოვნილია სამსახურიდან და გამოკვლევა მოხდენილი, ზემოხსენებულ წერილის ირგვლივ, გადაეგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს ა | წ. 12 ოქტ. № 186 თარიღით.

რესპუბლიკის მილიც. უფროსი
ა. ბუჯიაშვილი.
კანცელარიის უფროსი:
ვ. ხაჟვარელიძე.

სოფლის ქრონიკა

— **გადასახლება.** ქუთაისის ალმასკომმა გადასწყვიტა გადაასახლოს სხვა უფრო უშიშარ ადგილზე გამოჩინებულის თემის წყალდიდობისაგან დაზარალებული გლეხები.

— **დახმარება წითელარმიელებს.** გორის მაზრაში დახმარება ეძლევა 42 წითელარმიელთა ოჯახის წევრებს.

— **სკოლები გლეხებისათვის.** ახალქალაქის ალმასკომმა დაადგინა ჩატარების კამპანია გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებში ჩარიცხვის შესახებ.

— **მთელ გორის მაზრაში** გლეხკომი ამუშავებს 5 სახარაზოს, 3 ფურნეს და 2 სამჭედლოს.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შეცდომით წავიდა ხელმოუწერელი კორესპონდენცია ლეჩხუმიდან: „ვინ არღვევს საბჭოთა კანონებს“. აღნიშნული კორესპონდენცია ეკუთვნის გლეხკორ „ვარამს“.

მიწათმოწყობა ჩვენში

იმერეთი, რაჭა და ლეჩხუმი

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებთან შედარებით, დასავლეთ საქართველოს მაზრები მიწათმოწყობის მხრივ განირჩევიან არსებითად: სოფელთა შორის საადგილმამულო დავა და მისი წინასწარ გადაჭრა, რაც ძალიან ხშირია აღმოსავლეთ საქართველოში, აქ არსად არაა. ერთხელ და სამუდამოთ გარკვეული სოფლის საზღვარი ურყევია და მისი შეცვლა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ეს გარემოება შედეგია საერთოდ მიწის სარგებლობის ხასიათის სიმტკიცის. აქ თვითეულ კომლს მიჩნეული აქვს საშვილიშვილოთ განსაკუთრებული მიწის ნაკვეთები და დავა ვისმესთან შეიძლება მოუხდეს საზღვარზე, ან მემკვიდრეობისა და მიწის გადაცვლის ნიადაგზე; სხვა საბაბს დავისას აქ ადგილი თითქმის არა აქვს.

მიწათმოწყობის თვალსაზრისით ესაა მთავარი განსხვავება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. ეს გარემოება უმთავრესათ უნდა აიხსნას მიწების სიმცირით დასავლეთ საქართველოში და აგრეთვე იმით, რომ დასავლეთმა საქართველომ თემური მიწის სარგებლობა არ იცის. აღმოსავლეთ საქართველოში კომლზე მოდის სასოფლო-სამეურნეო მიწა 1—2 დეს. დასავლეთში—კი 0,5 დესეტ.

მიწათმოწყობის მთავარი მომენტების დასახასიათებლად დასავლეთი საქართველო საკმაოა გაიყოს ორ ნაწილათ: იმერეთი (ზემო და ქვემო). რაჭა და ლეჩხუმი შეიძლება მოთავსებულ იქნას ერთად, გურია და სამეგრელო ერთად. მთავარი განსხვავება პირველსა და მეორე ნაწილს შორის არის მიწების დაქუცმაცება. მაშინ, როდესაც ეს დაქუცმაცება იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმში ისეთ უკიდურესობამდეა მისული, რომ იმაზე შორს წასვლა იქაურ სასოფლო-მეურნეობას ფიზიკურ განადგურებას უქადის, გურია სამეგრელოში ეს დაქუცმაცება საგრძნობლათ ნაკლებია. რაჭა-ლეჩხუმში და იმერეთში მიწების სხვადასხვაობა და მოსახლეობა შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

მაზრები.	სოფლების რიცხვი			კომლი.	სოფლების მცხოვრებთა სულისა.	მიწის სულზე სასოფლ.-სამეურნეო მიწა (დესეტინებში)	[illegible]	[illegible]	სამოსახლო.	ბაღი.	ვენახი.	სახნავ-სათესი.		ველ-ბუჩქნარი.	საზოგადო საძოვარი.	ტყე.	უვარგისი მიწები.	მაზრის ტერიტორია.
	პატარა.	საშუალ.	სხვილ.									სარწყავი.	ურწყავი.					
ქუთაისის	29	143	65	43.581	225.001	0,6	64.154	13	13.120	241	4137	3.980	84.736	25.736	20.650	126.716	30.174	309.500
შორაპნის	50	172	35	37.760	187.077	0,5	42.113	10	7.421	94	5622	2.998	48.806	31.986	8.530	113.561	37.457	256.475
რაჭის.	24	91	5	11.383	77.524	0,3	26.161	21	2.361	71	1700	2.389	10.920	2.360	55.620	64.106	87.978	227.075
ლეჩხუმის	49	56	2	7.635	45.267	0,3	22.782	14	2.440	325	81	1.292	8.114	3.141	58.742	218.443	140.243	433.421

(ლეჩხუმის მაზრის მიწების სხვადასხვაობაში და მთელ ტერიტორიაში ჩათვლილია სვანეთის მაზრაც).

მიწის ასეთი სივიწროვისა და დაქუცმაცების შედეგია ის, რომ ამ მაზრებიდან მუდამ იყო ლტოლვა კახეთში თავისუფალ მიწებზე დასახლებლად, ე. წ. კაბალში. იმერელს და რაჭველს ეს სიტყვა მუდამ პირზე ეკერა და როგორც აღთქმის ქვეყანა ისე ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა ბევრი იმერელი იმსხვერპლა კაბალის ციებცხელებამ. ამიტომაა, რომ ეხლანდელი რუქა ლაგოდეხის რაიონისა სრულიად აღარ ჰგავს 20—25 წლის წინათ შედგენილს, აქ უკვე რამდენიმე ათეული ახალი სოფელია მოწყობილი ტყისაგან გაწმენდილ ადგილებში და სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული მალარიასთან, ჩვენი გადასახლების საქმის ამ ერთ ერთ უძლიერეს მტერთან.

როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, ქუთაისის და შორაპნის მაზრებში სამოსახლო ადგილებს საგრძნობი პროცენტი უჭირავს (4 პროც.), რაც ადვილი ასახსნელია, თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამოსახლეობის ტიპი ძერ განირჩევა ერთიმეორისაგან. ის სივიწროვე, ანტისოციალური და ანტი - ჰიგიენური პირობები, რაც აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებშია, იმერეთმა არ იცის, ასე რომ მას ახალი მოწყობა, როგორც ეს აუცილებელია ქართლში, არ სჭირდება.

ამ მხრით დასავლეთ საქართველოში გამონაკლისს წარმოადგენენ მოზრდილი ნაწილი რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთი, სადაც სამოსახლო ადგილები ისეთივე არანორმალურ პირობებში არიან, როგორც ქართლში: რაჭაში სამოსახლოებს უჭირავს 1 პროც. და ლეჩხუმ-სვანეთში 0,6 პროც. მაზრის ტერიტორიის, რაც ქმნის აუტანელ სივიწროვეს ეზოებში.

მიწების სივიწროვე აიძულებს იმერელ გლეხს ძალაუნებურათ გაანადგუროს ტყე, გაახოვოს იგი, თუმცა იცის და ხედავს, რომ საკუთარი ხელით უთხრის სამარეს თავის მეურნეობას.

ყველაზე უფრო დამაფიქრებელია ამ მაზრებში მიწების დაქუცმაცება. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი კომლის მიწა, რომელიც უდრის სულ ერთ ან ორ დესეტინას, გაფანტულია 50—60 ნაკვეთათ, ე. ი. ნაკვეთები რამოდენიმე ასეული და ხშირათ ათეულ კვადრ. საჟენიც ჩვეულებრივი მოვლენაა; ადვილი წარმოსადგენია რამდენი ზედმეტი შრომა და ენერგია ეხარჯება ამ ნაკვეთების პატრონს მათ დამუშავებაზე. მიზეზი ასეთი დაქუცმაცებისა იმდენათ დაუძლეველია, რომ მისი მოსპობა თითქმის შეუძლებელია და ვერავითარი მიწისმოწყობა ამ ნაკლს არამც თუ სავსებით, ნახევრათაც ვერ გამოასწორებს. ერთად ერთი იმედი უნდა გვქონიოთ მიწის კოლექტიურათ დამუშავებისა; თუ მიწის მუშამ ეს არ შეითვისა, ისე ამ დაქუცმაცებას ვერაფერი უშველის.

შორაპნის მაზრაში მიწის სივიწროვეს კიდევ უფრო ამწვავებს შავიქვის სამრეწველო რაიონი: ის 7.000 დესეტინა მიწა, სადაც ითხრება მადანი, თითქმის სულ საყანე ადგილებია ან იქ სოფლებია გაშენებული; მადანი ითხრება, მიწა ინგრევა, წყალი შრება და იკარგება, სოფელს ესპობა ცხოვრების საშუალება და დღეს თუ ხვალ ათეული სოფელი და 2.000-მდე კომლი უნდა იქნენ გადასახლებული. ეს პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანაა ჩვენი მიწისმოწყობისა. საკითხი ჯერ კიდევ 1923 წელს დაისვა, მაგრამ საგადასახლებო მიწის ფონდის უქონლობის გამო დღემდე არაფერი გაკეთებულა. მთელი მაზრიდან-კი მიწის ნაკლებობის გამო 7.000 კომლამდეა გადასასახლებელი.

მიწათმოწყობის მუშაობის ინტენსივობა ამ მაზრებში მიწისმზომელთა სიმცირის გამო ვერ აკმაყოფილებს ნამდვილ მოთხოვნილების ერთ მეათედსაც. სულ მუშაობს ქუთაისის მაზრაში 3 მიწის მზომელი, შორაპნის მაზრაში 4, რაჭაში—2 და ლეჩხუმში—1.

საქმე კი ბევრია, რადგან როგორც მიწების სივიწროვე, ისე ხალხის ხასიათი მოითხოვს მიწათმოწყობისაგან ყველა ნაკვეთის ზედმიწევნით აზომვას და აგეგმვას. გამიჯვნის ძველი გეგმები ნახევრათ აღარ შეეფერებიან სინამდვილეს, აგრარულმა რეფორმამ მიწის ძველი დანაწილება სრულიად გარდაქმნა, ნაკვეთების რიცხვმა ერთი ორად იმატა, მიწა კიდევ უფრო დაქუცმაცდა, მოსარგებლე გამოეცვალა, დიდძალი ტყიანი ადგილი გაახოვდა, რაც ითხოვს აღნუსხვას და მიწის ნაკვეთების გადაჯგუფებას ნორმის ფარგლებში დასაცავათ. ყველა ასეთი მუშაობის მცირედი ნაწილის შესასრულებლათ საჭიროა მაზრაში 10—15 მიწისმზომელი ყოველ წლივ და არა თითო-ოროლა, როგორც დღესაა.

ვ. გ—ძე.

ცოტა რამ სვანეთის სამკურნალო წყაროებზე

ლაშხეთის თემი განთქმულია არა მარტო ბუნების სიმშვენიერით და მაუცხოვრ ჰავით, არამედ მეტად მაღალი ღირსების სამკურნალო წყაროებით; ასეთი წყარო აქ ცხრამდის იქნება. აქნობამდის ამათ შესახებ ლიტერატურაში არაფერი არ თქმულა; —საერთოდ სვანეთის შესახებ, ჯერ ჩვენ კიდევ, ძლიერ ცოტა რამ ვიცით.

უმთავრესი წყაროები სოფ. სოლაში იმყოფება; ამათ შორის აღსანიშნავია ნახშირმჟავე და რკინოვანი წყაროები; გარდა ამისა ე. წ. „ალტაცების კონცხის" მახლობლად არის მეტად მაღალი ღირსების რკინოვანი წყალი, არდევანის წყაროთ წოდებული. ყველა აქ არსებული წყაროები ცივია; მათი ტემპერატურა 7 გრად. 9 გრ. აღწევს. რადიოაქტივობა უმნიშვნელოა. აღნიშნულ წყალთა ნიმუში თან ჩამოვიტანე ტფილისში, სადაც ჯანსახკომის ქიმიურ ლაბორატორიაში გამორკვეული იქნება მათი ქიმიური შემადგენლობა.

სვან ექიმის, არდევან ახვლედიანის სიტყვით, ეს წყაროები, მეტადრე ნახშირმჟავე, კარგათ უხდება კუჭის სნეულებათ და ნერვიულ მოშლილობას. ადგილობრივი მკვიდრნი, დიდი ხანია, რაც სარგებლობენ ამ წყაროებით წელს რაღაც ხის ფარდულები აეგოთ ამ „კურორტზე" და, როგორც გადმომცეს, ხუთასამდის ავადმყოფს გაუტარებია აქ ზაფხული.

თუ მართლა გზა იქნა გაყვანილი სოფ. ლაშხეთზე, მაშინ ის ერთ საუკეთესო კურორტათ იქცევა მთელს საქართველოში.

როდესაც გაივლი ცხენის წყალის ხეობას და სოფ. ცერნაში მიუახლოვდები, პირველად მოგესმის სმენის დამატკბობელი ფოთოლთა ნელი შრიალი, ათ საჟენსაც ვერც კი გაივლი, რომ ეს ფოთოლთა შრიალი, ხშირი წვიმის შხაპუნის ხმად შეიცვლება; „ალტაცების კონცხს" რომ მიაღწევ, იხილავ ამ წვიმის მაგვარ შხაპუნის მიზეზს, და შენს წინაშე „წყალვარდნილთა ხეობა" გადაიშლება. ცოტას რომ კიდევ გაივლი, მოახლოვებულ მატარებლის ხმა გაისმის. ამას რომ ოდნავ გაშორდები, მატარებლის ხმა წყდება და ცხენის წყალის ნაზი დუდუნი მოისმის.

ლეჩხუმის აღმასკომი ყოველნაირათ სცდილობს, ამ წყაროების კეთილ-მოწყობისათვის; აღძრულია შუამდგომლობა, რომ ნახშირმჟავე წყაროს სვანეთში მეტად პოპულიარულ ამხ. ფილიპე მახარაძის სახელი ეწოდოს. რკინოვან წყაროს კი ამხ. სერ. ორჯონიკიძის სახელი.

მოხსენებულ წყაროებს გარდა, ლაშხეთის თემში კიდევ არის სამკურნალო წყაროები, რომელთა განხილვას ჩვენ აქ არ შეუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ისინი რკინისებრ კიროვან ჯგუფს ეკუთვნიან.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი პატარა მდინარე, რომელსაც პიშკირას უწოდებენ. ამის მეზობლად, რადიუმის მადნით მდიდარი დადიაშის მთა მდებარეობს.

ადგილობრივ მცხოვრებთა და ექიმ არდ. ახვლედიანის სიტყვით მდ. პიშკირა ზაფხულობით, მეტადრე ივლისში, ძლიერ იმღვრევა და გოგირდწყალბადის სუნს გამოსცემს. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ წყალით კანის სნეულებათ და რევმატიზმს სწამლობენ.

პიშკარას რადიოაქტივობა ძლიერ მაღალია და მახეს 565 ერთეულამდის აღწევს. ამიერ-კავკასიაში არსად არ მოიძებნება ასეთი მაღალი რადიოაქტივობის მქონე წყარო.—ეს მოვლენა უნდა ვისარგებლოთ და გამოვიყენოთ სამკურნალო საჭიროებისათვის.

ვათავებ რა ამ მცირე შენიშვნას, უნდა აღვნიშნო, რომ სვანეთის მთებში მრავლად არის თავმოყრილი სხვადასხვა გვარი მადანი, რომლის დამუშავება და გამოყენება დიდათ წინ წასწევდა ჩვენი რესპუბლიკის საარსებო რესურსებს.

მაგრამ, ამ ბუნების სიმდრიდეთა გამოყენება მხოლოდ კარგი გზების გაყვანის შემდეგ შეიძლება.

რობერტ კუპცისი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

დამატებითი შვებულების შესახებ

კითხვა

უკვე ერთ წელზე მეტია, რაც მე განუწყვეტლივ ვმუშაობ საბჭოთა ერთ-ერთ საბავშვო სახლში მასწავლებლად.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, მეკუთვნის თუ არა გარდა მორიგი შვებულებისა დამატებითი შვებულება და რა ხანგრძლივობით.

განათლების მუშაკი პ. გ—შვილი

პასუხი

თანახმად ა/კ. შრომის სახკომისატის დადგენილება № 92-ისა 1925 წ. 5 მაისიდან, საკავშ. საბჭ. რესპ. შრომის სახკომატის დადგენილება № 48-ის 1923 წ. 20 აგვისტოდან მოქმედება გავრცელებულია ა/კ. ფედერაციაზე. ამ უკანასკნელ დადგენილების თანახმად კი საბავშვო სახლების კერას და ბაღების მთელი პედაგოგიურ პერსონალს, რომელიც მუშაობდა მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ, აქვს უფლება ისარგებლოს, გარდა მორიგ შვებულებისა, დამატებითი შვებულებით ერთი თვის ხანგრძლივობით.

ვრცელდება თუ არა ჩემზე კოლხელშეკრულების პირობები?

კითხვა

ვმუშაობ დამლაგებლად ერთ-ერთ სამეურნეო დაწესებულებაში. მუშაობა მიხდება ყოველ დღიურად ორ-სამი სათის ხანგრძლივობით. ხელფასს მეძლევა სამნეო ნაწილის თანხიდან. მე არ ვითვლები შტატის მოსამსახურედ, არა ვარ კავშირის წევრი, არც დაზღვეული.

გთხოვთ განმარტებას—1. ვრცელდება თუ არა ჩემზე ჩვენ დაწესებულებაში არსებული კოლექტიური ხელშეკრულების პირობები?;

2. ადმინისტრაცია ვალდებულია

3. მაქვს თუ არა უფლება ვისარგებლო უფასო საექიმო დახმარებით?

მუშა-ქალი თებრო გ—შვილი

პასუხი

1. თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 16-ის, თქვენზე აუცილებლად ვრცელდება კოლხელშეკრულების ყველა პირობები;

2. ადმინისტრაცია ვალდებულია (თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 75-ისა.) თქვენ დაგაზღვიოთ საერთო წესით;

3) უფასო საექიმო დახმარებაც მოგეცემათ საერთო წესით სხვა დაზღვეულებთან თანაბრად.

ჯარში გაწვევის გამო

კითხვა

მე ვმსახურობდი ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში. ამ ჟამად მიწვევენ წითელ ჯარში ნამდვილ სამხედრო სამსახურის მოსახდელად.

გთხოვთ განმარტებას, ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია მომცეს სრული ანგარიში და ფული და გასამრჯელო, რა და რა სახის და რა რაოდენობით; აქვს თუ არა მას უფლება დამიკავოს ამ გასამრჯელოდან რაიმე თანხა მაგ. ავანსების ან კრედიტათ აღებულ საქონლის საფასურის დასაფარავად.

მუშა თ—ძე.

პასუხი.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 80-ისა ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყონებლივ გაგისწოროს თქვენ ანგარიში—მოგცეს ხელფასი ანგარიშის გასწორების დღის ჩათვლით: 2) გასასვლელი დახმარება (выходное пособие) ორი კვირის ხელფასის რაოდენობით; 3) გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო ჯილდო.

თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექ. მუხ. 289-ისა და ამის და სამატებლად რ. ს. ფ. რ-ის შრომის სახკომატის და იუსტიციის სახკომატის დადგენილება № 330/24 წ. და ამ.-კ. შრომის სახკომატის ცირკულიარი № 130-ისა 1924 წ. 1 აგვისტოდან, ადმინისტრაციას არა აქვს უფლება გასასვლელ დახმარებისა (выходного пособия) და გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო ჯილდოდან დაგიჭიროს რაიმე თანხა თქვენი ავანსების, თქვენ მიერ ნისიად წაღებულ საქონლის საფასურის და რაიმე კიდევ სხვა ვალების დასაფარავად. გასასვლელი დახმარება ორი კვირის ხელფასის რაოდენობით და გამოუყენებელ შვებულების საკომპენსაციო ჯილდო თქვენ უნდა მოგეცეთ ხელზე სრულად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 5

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წლის 4 ნოემბრის

„მოზარდთა დაქირავების შესახებ".

ადგილებზე მოზარდთა დაქირავების საკითხის ირგვლივ აღმოცენებულ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად და ა/კ. შრომ. სახ. კომისარიატის მიერ 1925 წლ. 19 იანვრის თარიღით სახელმძღვანელოთ მოწოდებული „ს. ს. რ. კ. შრომსახკომის შრომის ბირჟებთან არსებული მოზარდთა დაქირავების სექციათა დებულების (1924 წ. 30 დეკემბრის № 494—303) მე-6-ე მუხლის განსავითარებლად საქ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მოზარდთა დაქირავება ჯავშნის და ზე-ჯავშნის შესავსებათ და აგრეთვე მოზარდთა მიღება საქარხნო-საფაბრიკო და პროფესიონალურ სკოლებში მხოლოდ და მხოლოდ იმ მოზარდთა რიცხვიდან სწარმოებს, რომელიც შრომის ბიუროებთან არსებულ მოზარდთა დაქირავების სექციებში ან მისი ფუნქციების აღმასრულებელ ორგანოებში არიან აღრიცხულნი;

2. ამ დადგენილების შესრულებისათვის მეთვალყურეობა ევალებათ შრომის ინსპექტორებს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. შრომის სახ. კომისარი ა. მიქაძე.
საერთო-საორ. განყოფილების გამგე ვ. კვირიკაშვილი.

საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანება № 147

30 ოქტომბერი 1925 წ.

საქართველოს საგანგებო კომისიამ ბრძანებით № 35 ა. წ. 3 მარტის თარიღით წინადადება მისცა ყველა მოქალაქეებს და აგრეთვე საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს გაატარონ რეგისტრაციაში ამ ბრძანებაში აღნიშნულ ვადაში იარაღი, რომელიც მათ აქვთ. მიუხედავათ იმისა, რომ ვადა, რომელშიაც იარაღი უნდა იქნას გატარებული რეგისტრაციაში დიდი ხანია გათავდა, ზოგიერთ მოქალაქეებს ასეთი დღემდის არ გაუტარებიათ რეგისტრაციაში.

საქართველოს საგანგებო კომისია უბრძანებს: 1. ყველა მოქალაქეებს და ორგანიზაციებს არა უგვიანეს ა/წ. 1 დეკემბრისა, გაატარონ რეგისტრაციაში მათი იარაღი. ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის დამნაშავეთა წინაამდეგ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები და ისინი მიცემული იქნებიან სამართალში იარაღის ბოროტ განზრახვის მიზნით ტარებისათვის.

2. საქ. საგანგებო კომისიის ყველა ადგილობრივ ორგანოებს და კომენდანტებს ევალებათ იარაღის რეგისტრაციის ვადა გააგრძელონ და გაგრძელონ 1925 წ. 1 დეკემბრამდე. მიმავალში, ყველა იმ პირთ, რომელთაც აღმოაჩნდებათ რეგისტრაციაში გაუტარებელი იარაღი, ასეთი იარაღი ჩამოერთმევათ და ამავე დროს მიეცემიან სამართალში.

საქ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე—კვანტალიანი.

ადმინისტრატიული განყოფილების გამგე—სტანსკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ქალაქის რაიკომი იუწყება: დღეს 5 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება **რაიკომის პრეზიდიუმის საგანგებო თათბირი** უჯრედების მდივნების თანადასწრებით.

დასწრება სავალდებულოა ყველასათვის

საქართველოს ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 5 ნოემბერს, დღის 1 საათზე, მოწვეულია

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

ევალებათ საორგანიზაციო კოლეგიის წევრებს და კომკავშირის ლენინის რაიკომის მიერ მიღებულ კანდიდატებს, რომლებიც არ დაუმტკიცებია თბილისის კომიტეტს გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკიანთან.

1. ოგანიან გარეგინ, 2. კუჭავა ერემია ერმალოზის ძე, 3. რამიშვილი ილია ლევანის ძე, 4. ცინცაძე ნიკიფორე ქიშვარდის ძე, 5. გოგეშვილი სოფიო სილიბისტროს ასული, 6. ჩხარტიშვილი ნინო ნიკიფორეს ასული, 7. დოლიძე ალექსანდრე ვლადიმერის ძე, 8. ქორიძე ნეოფიტე ივანეს ძე, 9. ბერიძე აგრაფინა როსტომის ასული, 10. ეშმაკურაშვილი იოსებ ილარიონის ძე, 11. მაზრაჯევი სტეფანე ალექსანდრეს ძე, 12 შაფათავა ავქსენტი, 13. ლეჟავა გიორგი, 14. ქურიძე ე., 15. ქორიძე კლემ., 16. მამაცაშვილი, 17. ხომერიკი გ., 18. მაკაცარია არსენ (უმუშევრები),

ს. კ. პ. ც. კ. საალ.-განმანაწ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. შალვა პაპავას და რაქიმ ალავერდოვს დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ს. კ. პ. ცკას საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

საალ.-განმანაწ. განყ.

დღეს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში—მატერიალიზმი—მომხსენებელი ამხ. თალაქვაძე.

ორსრაიკომი იუწყება: დღეს, 5 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება კომუჯრედების მდივნების თათბირი სამხედრო უჯრედებისა, საფაბ. კომიტეტებისა და ადგილკომების მდივნებთან ერთად.

დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

მდივნის მაგ.—წითლიძე.

განცხადებები

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობა აცხადებს თავის თანამშრომლის

არჩილ ზაქარიას ძე გულდიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას, ა/წ. 4 ნოემბერს ქ. თელავში.

ნ. 1—1

ტფილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა თავის თანამშრომელთ უდროვოდ გარდაცვალებას ჯანგანყოფილების თანამშრომლის, სკოლის სანიტარულ

ექიმის ვლადიმერ არტემის ძე მირაქოვის

გამოსვენება ბინიდან (პლეხანოვის გამზირი № 174) 5 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. 1—1 405

მცხეთის დასასვენებელ სახლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, თავის ამხანაგის

სამსონ არჩვაძის

უდროვოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის), 5 ნოემბერს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1—1 406

ეგნატე ნინოშვილის სახელობის საცდელ-საჩვენებელი სკოლა-საკრებულოს თანამშრომელნი და მოწაფენი, ღრმა-მწუხარებით აცხადებენ, რომ 2 ნოემბერს ღამით გარდაიცვალა ამავე სკოლა-საკრებულოს ექიმი

ვლადიმერ არტემის ძე მირაქოვი

გამოსვენება მოხდება თავის ბინიდან (პლეხან. გამზირი, 174) 5 ნოემბერს დღის 3 ნახ. საათზე. დასაფლავება დიდუბის სასაფლაოზე. 403—1—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი" (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—10

პროფ. ი. აბულაძეს

ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ ლექსიკონის მორიგი შემოსატანი ვისაც არ შემოუტანია, გთხოვთ გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: რუსთაველის პროსპ. № 8 საექსპედიციო კანტორას.—თვიური შემოსატანი 1 ნახევარი მანეთი; საერთო ღირებულება 14 მანეთი; იანვრის შემდეგ 28 მ. ხელისმოწერა მიიღება გარდა ნაჩვენებ მისამართისა

წიგნის მაღაზია „განათლება"-ში

ოლღას ქუჩა № 6. ს. თავართქილაძესთან.

ნ. 157 2—2

აპოლლო
ართისტო
სოლეი

0—7 ნ. 115

საუკეთესო სურათი

„დიადი—მარადიული"

კარინა გრიფფიტის მონაწილეობით

ფასები პირველ სეანსის დაწყებამდის: პარტერი—35 კ. ამფითეატრი—25 კ. მეოთხე ადგილები—20 კ.

იუკონის ნაპირებზე

დოროტეაა დალტონის მონაწილეობით

სოლისტი—იაკობ ბროდსკი

მეორე კვირა გრძელდება

„ბაღდადელი ქურდი"

მთავარ როლში დუგლას ფერბენკს

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 5 ნოემბერს

პრემიერა

დაისი

ზ. ფალიაშვილის

„ცანგალას" ახალი კუპლეტებით. ავტორის მიერ ჩამატებული

1—1 ნ. 163

გაზეთ „კომუნისტი"-ს

მთავარი კანტორა აცხადებს, რომ 1 ნოემბრიდან დაწესებულია განცხადებებზე შემდეგი ტარიფი:

1. სტრიქონი ნონპარელით ტექსტის ბოლოს . . . 40 კაპ.
2. ტექსტში ორჯერ მეტი . 80 კაპ.

განცხადებებს იღებს გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა (რუსთაველის პრ. № 24) და რწმუნებულები, რომელთაც აქვთ სათანადო მოწმობები.

არავითარ საშუამავლო კანტორებს და სარეკლამო ბიუროებს განცხადებების მიღების უფლება არა აქვთ.

მთავარი კანტორა.

0—3

მუშკოოპი

აღვდის ბინაზე

ახალ, მაღალ ხარისხის მოუხდელ

რძეს ბოთლებში

რომლებიც დახურულ იქნებიან ალიუმინის საგანგებო სახურავით

გასაყიდი ფასები რძეზე და რძის ნაწარმოებზე

			დეპოზე და ბინაზე მიტანით.		დუქნიდან.		[illegible]
რძე ბოთლებში	1	ლიტრი	—	34	—	34	— 40
რძე ბოთლებში	1/2	„	—	17	—	17	— 25
ჩამოსხმით	1/4	„ ანუ ტოლჩა.	—	08	—	07½	— —
კარაქი 1 ნაჭერი 100 გრ.	(1/4 გირ.).		—	32	—	30	— —
მაწონი	1/4	ლიტრი.	—	11	—	10	— 15
„	1/2	„	—	21	—	20	— 25
კეფირი ბოთლი	1/2	„	—	25	—	25	— 05
არაჟანი („სმეტანა") ქილ. 150 გრ.	(3/2 გირ.		—	11	—	10	— 15
ხაჭო	1/2	კილ. წონ.	—	16	—	15	— —

ყველა ნაწარმოები პირველ ხარისხისაა

დაკვეთა მიიღება რძის დამტარებლების მიერ პირველ ყოვლისა შემდეგ რაიონებში:

1) პიროგოვის ქუჩა.
2) რტიშჩევისა და ტროცკის ქუჩა.
3) ძნელაძის ქ. (ყოფ. „საპიორნი").

სხვა რაიონებში დატარების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული მახლობელ დღეებში.

ნ. № 161 1—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(ხიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ)

კბილის ექიმი

ტ. ფაღავა

ძნელაძის ქ. (საპიორნაია) № 29
ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პირდაპირ)

ჰკურნავს კბილებსა და ღრძილებს, და აკეთებს პლომბებსა და ხელოვნურ კბილებს.

მიღება დილით 9—12-ს.
საღ. 4—7-ს. 25—1

ვინაიდან მომავალ ზამთარში მოსალოდნელია ყინვები, წყალსადენის ყველა აბონენტებს (სახლის პატრონებს) მოვაგონებთ, რომ თანახმად არსებული წესისა მათ ევალებათ

წყალსაზომების ყინვებისაგან დაცვას

მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რისთვისაც საჭიროა:

1. შეაკეთონ წყალსაზომების ჭის ხუფები და მუდამ დახურული იქონიონ.

2. საზომები შეახვიონ გვერდებიდან ერთიანი ნაჭრის მაუდით ან რაიმე თბილეულით და ზევიდან საზომის ხუფსაც დააფარონ ცალკე თბილი ნაჭერი, რომ ჩვენების აღების დროს შეიძლებოდეს მისი ახდა.

3. საზომის გარშემო ჭაში ჩაყარონ ნახერხი.

4. ღამ-ღამობით, დიდი ყინვების დროს, საზომის წინ დაკეტონ ბოჭი და დამხარჯი ბოჭის საშუალებით შტოდან გამოუშვან წყალი.

ამ საკითხის გარშემო ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლიან მიიღონ რჩევა-დარიგება წყალსადენის ტეხნიკურ ნაწილში და აგრეთვე ადგილობრივ რაიკანტრალიორებისაგან რაიონში ჩამოვლის დროს.

წყალსადენის სამმართველო ამითვე მოაგონებს ყველას, რომ იმ სახლებში, სადაც ყინვისაგან წყალსაზომები ვაიბერებიან, აბონენტსახლის პატრონებს გადახდებათ საზომის სრული ღირებულების საფასური და ამის შესახებ აღძრული რაიმე დავა სრულიად არ იქნება განხილული.

წყალსადენის დირექტორი ხოჯაევი

ნ. № 156—3—2

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 9 ნოემბერს, 1925 წ., დღის 12 საათზე, სახლში № 26, ვერცხლის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის სტეფან სერგეიანცის მოძრავ ქონებას: ბირის მოწყობილობას, შეფასებულს 265 მანეთად, სევერიან ლიპარტიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 25 აპრილს 1925 წ. თარიღით, № 1420 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

402 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

დოქტორი გ. მებრაგიანი

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით, პნეიმოტორაქსით და ტუბერკულინებით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს, და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

25—23

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებათა

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდის. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი ზ. ა. თარუმოვი

დაბრუნდა აბასთუმნიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 12.

31 13—1

ექიმი პ. გ. ვართანნოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—1.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

დაბრუნდა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

361 25—1

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ქლექზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, 9—2 საათ. და 4—6 საათ.

რუსთველის პროსპ. № 12.

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით—7-დან 8 საათამდე. ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5 დან 7 საათ.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (1 უბანი). 25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 12 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

ექიმი გ. ა. ლუკოვეცკი

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი მალაევი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47

ექიმი ა. დ. პეპელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს" პირდაპირ. მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

25—1

ექიმი ვ. ს. არგუტინსკი

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 5—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის),

25—1 ქგ. 326

ექიმი შუხმანი

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქ. 89.

(ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

25—1.

ექიმი ნ. გ. ახვერდოვი

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყოველ-დღე. ვერის დაღმართი № 15.

25—1.

ექიმი ბ. ხ. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

დაიკარგა მარტვილის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ მოცემული პირადი წიგნაკი № 284 ტარასი თედოს ძე რუხაიას სახელზე, ჩ. გ. 401 (ა) 1—1

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის შორაპნის სამგანყოფილების საწევრო წიგნაკი № 8437, ივანე ზადიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 400 1—1

დაიკარგა ლომბარდის ქვითარი № 17483, კამსარა ავანოვის სახელზე, ჩ. გ. 401 (ბ) 1—1

დაიკარგა პირადობის და მეტრიკის ამონაწერი კონდრატე ცანავას სახელობაზე, ჩ. გ. 407 1—1

დაიკარგა სალექციო წიგნაკი, მოცემული თბილისის სახუნივერსიტეტიდან № 864 მერი გუჯეჯიანის სახელზე. ჩ. გ. 408 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 5.000 ბეგლარ ასლამაზოვის სახელზე, ჩ. გ. 404 1—1

ტირაჟი—11.882

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს საშა წულუკიძის ქუჩა № 4